

## ლექსიკონი

ბირთვული დაცულობის ციკლიდან  
ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) ატომური დაცულობის  
განყოფილება (ვერსია 1.3), 2015 წლის ნოემბერი

სამუშაო ვერსია ტექნიკური ოფიცრების და ლექსიკონის შემდგენლებისთვის  
(შემდგომი კომენტარების წარმოდგენის მიზნით)

ლექსიკონი შეიცავს ტერმინოლოგიას, განსაზღვრებებს და განმარტებებს, რომლებიც მოცემულია ბირთვული დაცულობის ციკლის ფარგლებში მომზადებულ პუბლიკაციებში. რეფერირების ნუმერაციის საფუძველია პუბლიკაციის კატეგორია. მაგალითად, F აღნიშნავს ბირთვული დაცულობის ფუნდამენტურ ნაშრომებს, R მიუთითებს რეკომენდაციებზე, G აღნიშნავს გზამკვლევებს განხორციელების საკითხებში, ხოლო T - გზამკვლევებს ტექნიკურ საკითხებში. ლექსიკონი არ შეიცავს ბირთვული დაცულობის ციკლის ფარგლებში მომზადებულ პუბლიკაციებში განმარტებულ ზოგიერთ საბაზისო ტერმინს. კერძოდ, ამ ლექსიკონში არაა შეტანილი რადიაციული და ბირთვულ ტერმინები, რომლებიც განსაზღვრულია [6T]-ში, რადგან ეს ტერმინები და მათი განსაზღვრა სცილდება ბირთვული დაცულობის ციკლის ფარგლებს. როდესაც წყაროზე მითითება შეიცავს ასტერისკის ნიშანს (მაგ.. [13R\* , 14R]), ეს ნიშნავს, რომ ეს კონკრეტული განსაზღვრება დასახელებულის იდენტურია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ტერმინი „ბირთვული დაცულობა“ ჩანაცვლებულია „ფიზიკური დაცვით“ და/ან რადიაციული ნივთიერება ან მასთან დაკავშირებული მოწყობილობა ჩანაცვლებულია ბირთვული მასალით ან ბირთვული მოწყობილობით. ასეთ შემთხვევებში ტერმინის ძირითადი მნიშვნელობა იგივეა - უბრალოდ, სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ტერმინოლოგიაა გამოყენებული. თუ ბირთვული დაცულობის ციკლის პუბლიკაციებში გამოყენებულ ტერმინს იგივე და/ან მსგავსი მნიშვნელობით იყენებს ბირთვული დაცულობის სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა კონვენციები და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ან აესს-ის დაცულობის სტანდარტები (და ამდენად ეს ტერმინები შესულია აესს-ს დაცულობის ლექსიკონში), მაშინ მოცემულია ამ ტერმინის სხვა კონტექსტში გამოყენება (ან განსხვავებული განსაზღვრება).

სადაც საჭიროა, მოცემულია მოკლე განმარტებები, მაგრამ, ზოგადად, ჩამოთვლილ ტერმინებთან და განსაზღვრებებთან დაკავშირებით არ კეთდება კომენტარი. შესაძლებელია მომავალში ტერმინებს და განსაზღვრებებს დაერთოს კომენტარები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტულ ტერმინს რამდენიმე განსაზღვრება აქვს ან როდესაც ერთი შეხედვით, ერთი და იგივე კონცეპტის გამოსახატად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი. ასეთი ანოტაციები შექმნის დისკუსიების საფუძველს ტერმინოლოგიის და განსაზღვრებების ჰარმონიზაციის მისაღწევად.

ჯერჯერობით არაა გადაწყვეტილი, ამგვარი ანალიტიკური ხასიათი უნდა შეიძინოს ლექსიკონმა ახლა თუ ეს უნდა მოხდეს ამ ციკლის პუბლიკაციების სრული კომპლექტის პირველი გადახედვის შემდეგ, როდესაც ამ პუბლიკაციებთან დაკავშირებული ტერმინები და განსაზღვრებები დასრულებული სახით იქნება წარმოდგენილი.

## რას შეიცავს ლექსიკონი

ლექსიკონი მხოლოდ იმ მნიშვნელოვან ტერმინებზე აკეთებს აქცენტს, რომლებიც სპეციფიურია ბირთვულ დაცულობისთვის, კერძოდ კი, გამოყენებული ან განსაზღვრულია ბირთვული დაცულობის ციკლის პუბლიკაციებში. ლექსიკონში არაა შეტანილი ტერმინთა მთელი რიგი კატეგორიები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს დაცულობის საკითხებთან დაკავშირებულ ტექსტებში. ეს შეიძლება იყოს

ა) რადიაციული და ბირთვული ფიზიკის საბაზისო ტერმინები (მაგალითად, ალფა ნაწილაკი, დაშლა, ხლეჩა, რადიო ნუკლიდი). ამგვარი ტერმინები უკვე მიღებულად არის ჩათვლილი.

ბ) ტერმინოლოგია, რომელიც შეეხება ფიზიკურ დაცულობას (დაცულობას)<sup>1</sup> და გარანტიებს და შეტანილია აესს-ის დაცულობის და გარანტიების ლექსიკონებში. წინამდებარე ლექსიკონში შესაძლოა იყოს მითითებები ამ ტერმინებზე და განსაზღვრებებზე, მაგრამ ასეთ შემთხვევებში უპრიანია ხსენებული ლექსიკონების გამოყენება.

გ) სხვა სფეროებისთვის სპეციფიური ტერმინოლოგია, რომელიც არ შეეხება ბირთვულ დაცულობას (მაგალითად, კრიმინოლოგია, დაზვერვა, რადიაციის გამზომი ინსტრუმენტები ან მთვლელები). ეს ტერმინოლოგია შეიძლება გამოყენებული იყოს დაცულობის კონტექსტში, მაგრამ მათი განსაზღვრებები შესაბამისი სფეროების ექსპერტების საქმიანობის სფეროა.

დ) სპეციალური ტერმინოლოგია დაცულობასთან დაკავშირებული სპეციფიური სფეროდან (მაგალითად, ბირთვული ექსპერტიზის კვლევები ან დეტექციის სისტემები). თუ საჭირო გახდა, ასეთი ტერმინოლოგიის განსაზღვრის მოძიება შესაძლებელია სხვა პუბლიკაციებში, რომლებიც ასეთ საკითხებს ეხება.

---

<sup>1</sup> ქართული საკანონმდებლო აქტებში გამოიყენება ტერმინები „ფიზიკური დაცვა“ და „ფიზიკური უსაფრთხოება (დაცულობა)“, რომლებიც შეესაბამება აესს-ის ტერმინებს ‘Physical Protection’ და ‘Nuclear security’. ტექსტში ხშირად იქნება ნახსენები „ბირთვული დაცულობა“, რომელიც რეალურად ქართულ ტერმინს „დაცულობა“ შეესაბამება

## როგორ გამოვიყენოთ ლექსიკონი

თითოეული ტერმინს აქვს ერთი ან რამდენიმე განსაზღვრება. ალტერნატიული განსაზღვრებები მოცემულია<sup>2</sup>:

ა) თუ სხვადასხვა განსაზღვრებაა გამოყენებული ბირთვული დაცულობის ციკლის პუბლიკაციებში. ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს ამ განსხვავებული განსაზღვრებების აშკარა მიზეზები - მაგალითად, თუ პუბლიკაციები ეხება სხვადასხვა ტიპის მასალების დაცულობას, არის შემთხვევების, როდესაც არაა ნათელი, თუ რატომ შეიცვალა განსაზღვრებები ამ რატომ შეიქმნა ახალი განსაზღვრება;

ბ) თუ ტერმინი გამოყენებულია დაცულობასთან დაკავშირებულ ორ ან მეტ განსხვავებულ კონტექსტში;

გ) თუ აუცილებელია ამ ლექსიკონში ისეთი დამკვიდრებული განსაზღვრების შეტანა, რომელიც კვლავაც გამოყენებადია, მაგრამ არაა შესაფერისი ზოგადი განსაზღვრებისთვის (მაგალითად, შეიძლება საჭირო იყოს INFCIRC/225-დან ზოგიერთი დეფინიციის შენარჩუნება დამხმარე პუბლიკაციებში, მაგრამ ეს არ იქნებოდა საუკეთესო ზოგადი განსაზღვრება);

დ) ისეთი დეფინიციების ჩასართავად, რომლებიც უნდა იცოდნენ აესს-ის პუბლიკაციების შემქმნელებმა და რედაქტორებმა, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად სავარაუდოა ამ ტერმინების გამოყენება აესს-ის პუბლიკაციებში (მაგალითად, განსაზღვრებები, რომლებიც მოცემულია დაცულობის საკითხებთან დაკავშირებულ ძირითად კონვენციებში).

თითოეული ტერმინის სხვადასხვა განსაზღვრება დანომრილია და მითითებულია წყარო. თუ რაიმე სხვა მითითება არაა, პუბლიკაციების ავტორებმა უნდა გამოიყენონ მათი მიზნებისთვის ყველაზე შესაფერისი დეფინიცია. კერძოდ:

- სახელმძღვანელო დოკუმენტებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს „ყოვლისმომცველი“ რეკომენდაციებში ან განხორციელების გზამკვლევში მოცემულ დეფინიციებს;
- სხვადასხვა სფეროების გადამკვეთი თემების შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფუნდამენტურ რეკომენდაციებში მოცემულ დეფინიციებს [20F].
- ზოგადად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დეფინიციებს, რომლებიც იერარქიულად მაღლა დგას ბირთვული დაცულობის ციკლის პუბლიკაციებში/ან უფრო გვიან გამოცემაა. ამდენად, დეფინიციები ტექნიკური გზამკვლევის ადრეული გამოცემიდან [1T-6T] შეიძლება იყოს გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამ ციკლიდან სხვა წყარო.

<sup>2</sup> საბაზისოდ უნდა აღებული იქნას ის განსაზღვრებები, რომელიც მოცემულია აესს-ის ბირთვული უსაფრთხოების ლექსიკონში (2018 წლის გამოცემა), ხოლო ქართული რეალობისთვის კი განსაზღვრულია ქართული საკანონმდებლო აქტების მიერ

ზოგიერთ შემთხვევაში, დეფინიციებს თან ახლავს დამატებითი ინფორმაცია, როგორცაა:

ა) კონკრეტული გაფრთხილება (გამოხატული ნიშნით !) ისეთ შემთხვევებში, როდესაც ტერმინი არ აღნიშნავს იმას, რაც ერთი შეხედვით შეიძლება მოჩანდეს, ან თუ არის განსხვავება დაცულობასა და დაცულობასთან დაკავშირებულ სხვა ტერმინოლოგიასთან;

- ბ) დამატებითი ინფორმაცია (გამოხატული სიმბოლოთი 1). ეს შეიძლება იყოს:
- იმ კონტექსტის განმარტება, რომელშიც ესა თუ ის ტერმინი გამოიყენება ჩვეულებრივ (და, ზოგიერთ შემთხვევაში, კონტექსტი, რომელშიც ეს ტერმინი არ უნდა გამოიყენოთ);
  - მითითება დაკავშირებულ ტერმინებზე: სინონიმები, მსგავსი, მაგრამ არა იდენტური მნიშვნელობის ტერმინები, საპირისპირო მნიშვნელობის ტერმინები და ტერმინები, რომელთა გამოყენება უპირატესია (ან პირიქით, მოცემული ტერმინის გამოყენებაა უპირატესი);
  - სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია: მაგალითად, ერთეულები, რომელშიც ჩვეულებრივ იზომება რაოდენობა, რეკომენდირებული პარამეტრები, წყაროზე მითითებები და ა.შ.

დამატებითი ინფორმაცია არ წარმოადგენს განსაზღვრების ნაწილს, მაგრამ ის შეტანილია ლექსიკონში რათა დაეხმაროს მის შემდგენლებს ტერმინის გამოყენების ან არგამოყენების საკითხში.

რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაცულობის სახელმძღვანელოების შემდგენლებმა უნდა გამოიყენონ ამ ლექსიკონში მოცემული ტერმინები მათი აქ მოცემული მნიშვნელობით. ტერმინების გამოყენება უნდა იყოს თანამიმდევრული ხასიათის, განსაკუთრებით გზამკვლევებში.

|  |   |
|--|---|
| <p><b>access control</b></p> <p>Means to ensure that access to assets is authorized and restricted based on business and security requirements. [17T – from ISO]</p>                                   | <p><b>წვდომის კონტროლი</b></p> <p>საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ სისტემებზე წვდომა სანქცირებული და შეზღუდული იყოს საქმიანობის და უსაფრთხოების მოთხოვნების საფუძველზე, [17T – from ISO]</p>                                  |
| <p><b>access delay</b></p> <p>The element of a physical protection system designed to increase adversary penetration time for entry into and/or exit from the nuclear facility or transport. [13R]</p> | <p><b>წვდომის დაყოვნება</b></p> <p>ფიზიკური დაცვის სისტემის ელემენტი, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ გაზარდოს ბირთვულ ობიექტზე ან ტრანსპორტში დამრღვევის შეღწევის და/ან ობიექტიდან ან ტრანსპორტიდან მისი გამომღწევის დრო. [13R]</p> |

|  |  |
|--|--|
| <p>Access delay can be accomplished by physical barriers, activated delays, and/or personnel</p> | <p>წვდომის დაყოვნება შესაძლებელია ფიზიკური ბარიერების შექმნით, ან სისტემური შეფერხებით და/ან პერსონალის დახმარებით.</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p>დაყოვნება – დაცულობის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს უკანონო ქმედების შეფერხებას (დროის გახანგრძლივების მიზნით) ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე, რადიოაქტიურ წყაროებთან, რადიოაქტიურ ნარჩენებთან და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან უკანონო წვდომისას. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</p> |
| <p><b>adversary</b></p>  | <p><b>დამრღვევი</b></p> <p>ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს, ან ცდილობს განახორციელოს, ქმედება ბოროტი ზრახვით. [8G, 25G]</p> <p>! სხვადასხვა პუბლიკაციებში გამოყენებული ტერმინები დამრღვევი და საფრთხე გარკვეულწილად ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება ასეთი პირების აღსანიშნავად. დამრღვევი, როგორც წესი, აღნიშნავს პირს, რომელიც ფაქტიურად ცდილობს განახორციელოს ქმედება ბოროტი ზრახვით, ხოლო საფრთხე გამოიყენება სავარაუდო დამრღვევის აღსანიშნავად, რომლის მიმართაც დასახულია უსაფრთხოების ზომები.</p>  |
| <p><b>alarm threshold value</b></p>  | <p><b>განგაშის ზღურბლური სიდიდე</b></p> <p>ფონურ მნიშვნელობაზე მაღლა სიგმა მამრავლისთვის მინიჭებული მნიშვნელობა [1T]</p>   |

| Area  | სივრცე   |
|---|--|
| <p><b>hazard control area:</b> A designated geographical area, representing the maximum extent of all hazards within a radiological crime scene, into which, within and from which access is controlled. [22G]</p>                  | <p><b>საფრთხის კონტროლის სივრცე:</b> განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცე, რომელიც მოიცავს რადიოლოგიური დანაშაულის ადგილის შიგნით ყველანაირი საფრთხის მაქსიმალური გავრცელების არეს, სადაც შესვლა, გამოსვლა და ყოფნა გაკონტროლებულია. [22G]</p>  |
| <p><b>inner area:</b> An area with additional protection measures inside a protected area, where Category I nuclear material is used and/or stored. [13R]</p>   | <p><b>შიდა სივრცე:</b> დაცული სივრცის შიგნით დამატებითი დაცვის ზომებით უზრუნველყოფილი სივრცე, სადაც გამოიყენება და/ან ინახება პირველი კატეგორიის ბირთვული მასალა. [13R]</p>  |
| <p><b>limited access area:</b> Designated area containing a nuclear facility and nuclear material to which access is limited and controlled for physical protection purposes. [13R]</p>   | <p><b>შეზღუდული წვდომის სივრცე:</b> განსაზღვრული სივრცე, სადაც იმყოფება ბირთვული ობიექტი და განთავსებულია ბირთვული მასალა, რომელზეც წვდომა შეზღუდული და გაკონტროლებულია მისი ფიზიკური დაცვის მიზნით. [13R]</p>   |
| <p><b>operational control area:</b> A designated geographical area, representing the maximum extent of the area needed to support the management of a radiological crime scene, into and from which access is controlled. [22G]</p> | <p><b>ოპერაციული კონტროლის სივრცე:</b> განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცე, რომელიც წარმოადგენს რადიოლოგიური დანაშაულის ადგილის მართვის მხარდაჭერისთვის საჭირო, მაქსიმალური ზომის სივრცეს, რომელში შედგება და რომლიდან გამოსვლაც კონტროლირებულია. [22G]</p>                                      |
| <p><b>protected area:</b> Area inside a limited access area containing Category I or II nuclear material and/or sabotage targets surrounded by a physical barrier with additional physical protection measures. [13R, 26G, 16T]</p> | <p><b>დაცული სივრცე:</b> შეზღუდული წვდომის სივრცის შიგნით არსებული სივრცე, რომელშიც იმყოფება პირველი და მეორე კატეგორიის ბირთვული მასალა და/ან საბოტაჟის პოტენციური სამიზნე, რომელიც გარშემორტყმულია დამატებითი ფიზიკური დაცვის ზომებით აღჭურვილი. ფიზიკური ბარიერით. [13R, 26G, 16T]</p>    |
| <p><b>vital area:</b> Area inside a protected area containing equipment, systems or devices, or nuclear material, the sabotage of which could directly or indirectly lead to high radiological consequences. [13R, 16T]</p>         | <p><b>სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცე:</b> დაცული სივრცის შიგნით არსებული სივრცე, სადაც განლაგებულია აპარატურა, გარკვეული სისტემები ან მოწყობილობები, ან ბირთვული მასალები, რომლის საბოტაჟმაც შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი რადიოლოგიური შედეგები. [13R, 16T]</p> |

|  |  |
|--|--|
| <p><b>associated activity</b></p> <p>The possession, production, processing, use, handling, storage, disposal or transport of nuclear material or other radioactive material. [20F, 14R, 24G]</p> <p>! Although the wording does not explicitly exclude activities conducted by adversaries or threats, this term is presumably intended to refer only to authorized activities.</p>                   | <p><b>ასოცირებული საქმიანობა</b></p> <p>ბირთვული მასალის ან სხვა რადიოაქტიური ნივთიერების ფლობა, წარმოება, გადამუშავება, გამოყენება, მოპყრობა, შენახვა, სამარხში განთავსება (დამარხვა) ან ტრანსპორტირება. [20F, 14R, 24G]</p> <p>! მართალია, განმარტება გარკვევით არ გამორიცხავს დამრღვევის ან საფრთხის წარმომქნის მიერ ამგვარი საქმიანობის განხორციელებას, ეს ტერმინი, სავარაუდოდ, გამოიყენება მხოლოდ ავტორიზირებული (ნებადართული) საქმიანობის წარმოებისას.</p> |
| <p><b>associated facility</b></p> <p>A facility (including associated buildings and equipment) in which nuclear material or other radioactive material is produced, processed, used, handled, stored or disposed of and for which an authorization is required. [20F, 24G]</p> <p>† This includes nuclear facilities and any other facilities holding significant amounts of radioactive material.</p> | <p><b>ასოცირებული ობიექტი</b></p> <p>ობიექტი (მათ შორის, შენობა-დანადგარები), რომელშიც ხდება ბირთვული მასალის ან სხვა რადიოაქტიური მასალების წარმოება, გადამუშავება, გამოყენება, მოპყრობა, შენახვა, და სამარხში განთავსება (დამარხვა), და რომლისთვისაც აუცილებელია ავტორიზაცია. [20F, 24G]</p> <p>† ეს მოიცავს ბირთვულ და სხვა ობიექტებს, სადაც მოთავსებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის რადიოაქტიური ნივთიერებები.</p>   |
| <p><b>attack</b></p> <p>An attempt to destroy, expose, alter, disable, steal or gain unauthorized access to or make unauthorized use of an asset. [17T – from ISO]</p>   | <p><b>შეტევა</b></p> <p>ბირთვული და რადიაციული ობიექტების და მასალების განადგურების, ზემოქმედების, ცვლილების, მწყობრიდან გამოყვანის, მოპარვის ან მასზე არასანქცირებული წვდომის ან არაავტორიზებული გამოყენების მცდელობა. [17T – ISO]</p>  |
| <p><b>authentication</b></p> <p>The provision of assurance that a claimed characteristic of an entity is correct. [17T – from ISO]</p>   | <p><b>ავთენტიკაცია</b></p> <p>გარანტიების წარდგენა, რომ სუბიექტის განცხადებული მახასიათებლები სწორია. [17T – from ISO]</p>   |

|   |  |
|---|--|
| <p><b>authorization</b></p> <p>1. The granting by a competent authority of written permission for operation of an associated facility or for carrying out an associated activity, or a document granting such permission. [20F, 24G]</p> <p>2. The granting by a competent authority of written permission for operation of an associated facility or for carrying out an associated activity. [14R, 15R]</p> <p>3. A permission granted in a document by a regulatory body to a person who has submitted an application to manage a radioactive source. The authorization can take the form of a registration, a licence or alternative effective legal control measures which achieve the objectives of the Code of Conduct. [11G – taken from Code of Conduct]</p> | <p><b>ავტორიზაცია</b></p> <p>1. კომპეტენტური ორგანოს მიერ წერილობითი ნებართვის გაცემა ასოცირებულ ობიექტზე ოპერირების ან ასოცირებული საქმიანობის განსახორციელებლად, ან საბუთი, რომელიც ასეთ ნებართვას იძლევა. [20F, 24G]</p> <p>2. კომპეტენტური ორგანოს მიერ წერილობითი ნებართვის გაცემა ასოცირებულ ობიექტზე ოპერირების ან ასოცირებული საქმიანობის განსახორციელებლად.. [14R, 15R]</p> <p>3. ნებართვა, რომელიც გაცემულია მარეგულირებელი ორგანოს საბუთით პირზე, რომელმაც ითხოვა რადიოაქტიური წყაროს მართვის ნებართვა. ავტორიზაცია შეიძლება განხორციელდეს რეგისტრაციის ან ლიცენზიის გაცემის საშუალებით, ან ალტერნატიული ეფექტური სამართლებრივი კონტროლის ზომით, რომელიც შეესაბამება ქვეყნის კოდექსის მოთხოვნებს. [11G – taken from Code of Conduct]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>3'. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განხორციელებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილების მინიჭების მიზნით შესაბამისი დოკუმენტის (ლიცენზიისა და ნებართვის) გაცემის პროცედურა. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“)</i></p> |
| <p><b>authorized person</b></p> <p>A natural or legal person that has been granted an authorization. An authorized person is often referred to as a "licensee" or "operator". [20F, 14R, 15R]</p> <p>! The term “operator” is sometimes used in a broader sense to refer also</p>   | <p><b>ავტორიზირებული პირი</b></p> <p>ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც მიიღო ავტორიზაცია.. ასეთი პირი ხშირად მოიხსენება როგორც ლიცენზიის მქონე პირი ან ოპერატორი. [20F, 14R, 15R]</p> <p>! ტერმინი „ოპერატორი“ ხანდახან უფრო ფართე მნიშვნელობით გამოიყენება და</p>  |



|   |  |
|---|--|
| <p>to an organization or person applying for authorization [IAEA Safety Glossary].</p>  | <p>შეიძლება ნიშნავდეს ორგანიზაციას ან პირს, რომელსაც გაკეთებული აქვს განაცხადი ავტორიზაციის მისაღებად. [აესს-ის ბირთვული უსაფრთხოების ლექსიკონი , IAEA Safety Glossary].</p>   |
| <p><b>availability</b></p> <p>The property of being accessible and usable upon demand by an authorized entity. [23G, 17T]</p>   | <p><b>ხელმისაწვდომობა</b></p> <p>ავტორიზირებული სუბიექტისთვის - ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში - წვდომის და გამოყენების შესაძლებლობა. [23G, 17T]</p>  |
| <p><b>book inventory</b></p>  | <p><b>აღრიცხვა იხ. ინვენტარიზაცია</b></p>  |
| <p><b>[border crossing point] !</b><br/>Sometimes used in older documents, with the same meaning as point of entry (or point of exit or entry) and the same distinction between designated and undesignated points, but now superseded.</p>   | <p><b>იხილეთ შესვლის [ან გასვლის] ადგილი !</b><br/>! ზოგჯერ გვხვდება ძველ დოკუმენტებში იგივე მნიშვნელობით, როგორც აქვს ტერმინს „შესვლის (ან გამოსვლის) ადგილი“ და იგივე განსხვავებით, როგორცაა განსაზღვრულ (გამოყოფილ) და არა განსაზღვრულ (არაგამოყოფილ) ადგილებს შორის, მაგრამ ამჟამად ეს ტერმინი უკვე აღარ გამოიყენება.</p>  |
| <p><b>bulk analysis</b></p> <p>The analysis of either an entire sample or a portion of the sample to determine the average properties of the measured portion. [2G]</p>   | <p><b>მოცულობითი ანალიზი</b></p> <p>მთლიანი ნიმუშის ან ნიმუშის ნაწილის ანალიზი გაზომილი წილის გასაშუალებული თვისებების განსაზღვრის მიზნით. [2G]</p>  |
| <p><b>candidate vital area set</b></p> <p>A prevention set (complement cut set or minimal path set) for a sabotage area logic model that identifies a set of areas whose protection will prevent malicious acts leading to unacceptable radiological consequences. Sabotage cannot be accomplished unless the saboteur can enter at least one area in the prevention set. [16T]</p> | <p><b>პოტენციური სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცეების დაცვის პრევენციული ზომები</b></p> <p>პრევენციული ზომების კომპლექტი (სრული აღკვეთის ან გარკვეული ნაწილის მინიმალური დაცვის ზომები) საბოტაჟის სივრცის ლოგიკური მოდელისთვის, რომელიც განსაზღვრავს სივრცეების ერთობლიობას, რომლის დაცვაც უზრუნველყოფს ბოროტი ზრახვით ჩადენილი ქმედებების შედეგად წარმოქმნილი მიუღებელი რადიოლოგიური მდგომარეობის თავიდან აცილებას. საბოტაჟის განხორციელება შეუძლებელი იქნება თუ საბოტორი ვერ შეძლებს ამ ზონების ერთობლიობიდან ერთ-ერთში შესვლას მაინც. [16T]</p> |

|   |   |
|---|---|
| <p><b>Capacity</b></p> <p>An ‘absolute’ measure of the robustness of SSCs subjected to a particular threat that can include physical, operational and administrative attributes. Capacity is defined relative to a specific metric. Code capacity is a measure of a plant design feature relative to the code. Failure capacity is a measure of the robustness of SSCs subjected to a particular threat. [4T]</p>   | <p><b>მაქსიმალური შესაძლებლობა</b></p> <p>ფიზიკური, საოპერაციო და ადმინისტრაციული ელემენტების შემცველი კონკრეტული საფრთხისადმი სისტემების, სტრუქტურების და კომპონენტების (სსკ) მედეგობის აბსოლუტური“ საზომი.მაქსიმალური შესაძლებლობა განისაზღვრება სპეციფიური საზომი სისტემით. კოდექსის მქსიმალური შესაძლებლობა საწარმოს დიზაინის ელემენტია ამ კოდექსთან მიმართებაში წარუმატებლობის მაქსიმალური შესაძლებლობა ზომავს კონკრეტული საფრთხის მიმართ სისტემების, სტრუქტურების და კომპონენტების (სსკ-ს) მდგრადობას. [4T]</p>   |
| <p><b>capacity evaluation</b></p> <p>The process of establishing the capacity of SSCs, operational procedures, PPSs, etc., when subjected to a particular threat. An example is the establishment of the failure capacity, strength or robustness of structures and components to impact, impulse, explosion, vibration, steam and/or loading conditions. Capacity evaluation may identify vulnerabilities and systems interactions; items under evaluation are usually found to be considerably more robust than the design limits. [4T]</p> | <p><b>მაქსიმალური შესაძლებლობის შეფასება</b></p> <p>კონკრეტული საფრთხის მიმართ სისტემების, სტრუქტურების და კომპონენტების (სსკ-ს), საოპერაციო პროცედურების, ფიზიკური დაცვის სისტემები (ფდს) და სხვა სისტემების მაქსიმალური შესაძლებლობის დადგენის პროცესი.ამის მაგალითია წარუმატებლობის შესაძლებლობის და სს-ს სიმყარის და მდგრადობის განსაზღვრა ზემოქმედების, იმპულსის, აფეთქების, ვიბრაციის, ორთქლის და/ან სხვა ტიპის დატვირთვის პირობების მიმართ. შეფასებამ შეიძლება აღმოაჩინოს სისუსტეები და სისტემების ურთიერთქმედებები; როგორც წესი, შეფასების საგანი უფრო მდგრადი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე ეს მოსალოდნელია დიზაინის შეზღუდვებით. [4T]</p> |
| <p><b>carrier -</b></p> <p>Any person, organization or government undertaking the carriage of nuclear material by any means of transport. The term includes both carriers for hire or reward (known as common or contract carriers in some States) and carriers on own account (known as private carriers in some States). [26G]</p>  | <p><b>გადამტანი</b></p> <p>ნებისმიერი პირი, ორგანიზაცია ან მთავრობა, რომელსაც გადააქვს ბირთვული ნივთიერება რაიმე სახის ტრანსპორტით. ტერმინი მოიცავს როგორც დაქირავებულ და ფასიან გადამტანს (ჩვეულებრივი ან საკონტრაქტო გადამტანები - როგორც ზოგიერთ ქვეყანაში არიან ცნობილნი) ისე საკუთარ გადამტანებს. [26G]</p>  |

|   |  |
|---|--|
| <p>1 Definition from the IAEA Regulations for the Safe Transport of Radioactive Material, adapted to refer only to nuclear material.</p>  | <p>1 განსაზღვრება მოცემულია აესს-ის ტრასპორტის და რადიოაქტიური მასალების რეგულაციებში, რომლებიც ადაპტირებულია ბირთვული მასალებისთვის.</p>  |
| <p><b>[categorization]</b></p> <p>[A process performed to address the threat posed by a specific incident, with the goal of identifying the risk to the safety of first responders, law enforcement personnel and the public and determining if there is criminal activity or a threat to national security.]</p> <p>! This term was defined in the 2006 version of [2G] but not in the current version. It is replaced by identification in [22G], to avoid confusion with the many other usages of categorization in IAEA publications. The term is not included in the glossary of [22G], but is simply explained in the text as an initial step towards characterization.</p> | <p><b>[კატეგორიზაცია]</b></p> <p>[პროცესი, რომელიც ტარდება კონკრეტული ინციდენტით წარმოქმნილ საფრთხესთან გასამკლავებლად, და რომლის მიზანია პირველადი მორეაგირების, სამართალდამცავების და საზოგადოების წინაშე მდგარი რისკის იდენტიფიცირება და იმის განსაზღვრა, ადგილი აქვს თუ არა სამართალდარღვევას ან საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით.]</p> <p>! ტერმინი განსაზღვრულია [2G]-ის 2006 წლის ვერსიაში, მაგრამ არ არის მოცემული ახალ ვარიანტში. ის ჩაანაცვლა იდენტიფიკაციამ [22G]-ში, რათა თავიდან იყოს აცილებული გაურკვეველობა ამ ტერმინის გამოყენებისას აესს-ის პუბლიკაციებში. ტერმინი არ არის მოცემული ლექსიკონ [22G]-ში, მაგრამ ნათლად ახსნილია ტექსტში კატეგორიზაციის დასაწყისში.</p> |
| <p><b>central alarm station</b></p> <p>An installation which provides for the complete and continuous alarm monitoring, assessment and communication with guards, facility management and response forces. [13R]</p>  | <p><b>განგაშის ცენტრალური სისტემა</b></p> <p>სისტემა (მოწყობილობა), რომელიც უზრუნველყოფს განგაშის სრულ და მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას და კომუნიკაციას დაცვასთან, ინფრასტრუქტურის მენეჯმენტთან და ინციდენტებზე რეაგირების პერსონალთან. [13R]</p>  |
| <p><b>chain of custody</b></p> <p>The procedures and documents that account for the integrity of physical evidence by tracking its handling and storage from its point of collection to its final disposition. [22G, 2G]</p> <p>1 Other terms for this process are 'chain of evidence', 'chain of physical custody' and 'chain of possession'. [22G, 2G]</p>  | <p><b>დაცვის ჯაჭვი</b></p> <p>პროცედურები და დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური მტკიცებულებების ურღვევობას მტკიცებულებების მოპოვების დროიდან მათ საბოლოო გამოყენებამდე მათი მოპყრობის და შენახვის თვალის მიდევნებით. [22G, 2G]</p> <p>1 იგივე პროცესის აღსანიშნავად ასევე გამოიყენება ტერმინები " მტკიცებულებათა ჯაჭვი", „ფიზიკური მეურვეობის ჯაჭვი“ და ფლობის ჯაჭვი“. [22G, 2G]</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p>‡ Definition taken from UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME, Crime Scene and Physical Evidence Awareness for Non-forensic Personnel, ST/NAR/39, UNODC, New York (2009).</p>  | <p>‡ დეფინიცია აღებულია გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის პუბლიკაციიდან: Crime Scene and Physical Evidence Awareness for Non-forensic Personnel, ST/NAR/39, UNODC, New York (2009).</p>  |
| <p><b>characterization</b></p> <p>1. Determination of the nature of the radioactive material and associated evidence. [2G]</p> <p>‡ This replaces the definition given in the 2006 version of [2G] (“A process performed to determine the nature of the radioactive and associated evidence”).</p>   | <p><b>დახასიათება</b></p> <p>1. რადიოაქტიური მასალის და ასოცირებული მტკიცებულებების ბუნების განსაზღვრა. [2G]</p> <p>‡ ეს განსაზღვრება ანაცვლებს [2G]-ის 2006 წლის ვერსიაში მოცემულ დეფინიციას („რადიოაქტიური და ასოცირებული მტკიცებულებების ბუნების განსაზღვრის პროცესი“).</p>   |
| <p><b>class characteristic</b></p> <p>An attribute or feature shared by all members of a class of people or items. [2G]</p>  | <p><b>კლასის მახასიათებელი</b></p> <p>ადამიანების ან საგნების ერთი კლასისთვის დამახასიათებელი ნიშანი ან თვისება. [2G]</p>  |
| <p><b>competent authority</b></p> <p>1. A governmental organization or institution that has been designated by a State to carry out one or more nuclear security functions. [13R, 14R, 15R, 23G, 25G, 26G]. [For example, competent authorities may include regulatory bodies, law enforcement, customs and border control, intelligence and security agencies or health agencies, etc. [20F, 14R, 15R, 19G f/n, 22G, 24G, 2G]</p> <p>2. Any national authority or authorities designated or otherwise recognized as such for any purpose relevant to this guide. [9G f/n]</p> | <p><b>კომპეტენტური ორგანო</b></p> <p>1. სამთავრობო ორგანიზაცია ან ინსტიტუტი, რომელსაც სახელმწიფომ დაავალა ერთი ან მეტი ბირთვული დაცულობის ფუნქციის გატარება. [13R, 14R, 15R, 23G, 25G, 26G]. [კომპეტენტური ორგანოები შეიძლება იყოს მარეგულირებელი ორგანოები, სამართალდამცავები, საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის, დაზვერვის და უსაფრთხოების სააგენტოები ან ჯანდაცვის დაწესებულებები და სხვა. [20F, 14R, 15R, 19G f/n, 22G, 24G, 2G]</p> <p>2. ნებისმიერი ეროვნული ორგანო, რომელიც ასეთად დანიშნული ან სხვაგვარად აღიარებულია ამ ინსტრუქციების შესაბამისად. [9G f/n]</p> |

|   |  |
|---|--|
| <p><b>Compromise</b></p> <p>The accidental or deliberate violation of confidentiality, loss of integrity, or loss of availability of an information object. [23G]</p>   | <p><b>დაზიანება</b></p> <p>კონფიდენციალურობის შემთხვევითი ან განზრახ დარღვევა, ინფორმაციის ურღვევობის ან ხელმისაწვდომობის დაკარგვა. [23G]</p>  |
| <p><b>computer security</b></p> <p>A particular aspect of information security that is concerned with computer based systems, networks and digital systems. [17T]</p>   | <p><b>კომპიუტერული უსაფრთხოება</b></p> <p>ინფორმაციული უსაფრთხოების კონკრეტული ასპექტი, რომელიც შეეხება კომპიუტერულ სისტემებს, ქსელებს და ციფრულ სისტემებს. [17T]</p>  |
| <p><b>computer security incident</b></p> <p>An occurrence that actually or potentially jeopardizes the confidentiality, integrity, or availability of a computer based, networked or digital information system or the information that the system processes, stores, or transmits or that constitutes a violation or imminent risk of violation of security policies, security procedures, or acceptable use policies. [17T]</p> | <p><b>კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტი</b></p> <p>შემთხვევა, რომელიც ფაქტიურ ან პოტენციურ საფრთხეს უქმნის კომპიუტერული, ქსელური ან ციფრული საინფორმაციო სისტემების ან ამ სისტემური პროცესებით მიღებული, შენახული და გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობას, მთლიანობას ხელმისაწვდომობას ამ ინფორმაციის დამუშავებისას, შენახვისა და გადაცემისას. ან შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს დაცულობის პოლიტიკის, და პროცედურების ან ამ პოლიტიკის ჩვეულებრივი გამოყენების დარღვევას ან ქმნის ამგვარი დარღვევის გარდაუვალ რისკს. [17T]</p> |
| <p><b>computer security perimeter</b></p> <p>The logical border around a network to which critical assets are connected and to which access is controlled. [17T]</p>  | <p><b>კომპიუტერული დაცულობის პერიმეტრი</b></p> <p>ლოგიკური საზღვარი ქსელის გარშემო, რომელთანაც მიერთებულია კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა და რომელზე წვდომაც ექვემდებარება კონტროლს. [17T]</p>  |
| <p><b>computer security policy</b></p> <p>Aggregate of directives, regulations, rules and practices that prescribes how an organization manages and protects computers and computer systems. [17T]</p>  | <p><b>კომპიუტერული დაცულობის პოლიტიკა</b></p> <p>დირექტივების, რეგულაციების, წესების და პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც ადგენს, თუ როგორ მართავს და იცავს ორგანიზაცია. კომპიუტერებს და კომპიუტერულ სისტემებს. [17T]</p>  |

|   |   |
|---|---|
| <p><b>confidentiality</b></p> <p>The property that information is not made available or disclosed to unauthorized individuals, entities, or processes. [23G, 17T]</p>   | <p><b>კონფიდენციალურობა</b></p> <p>სისტემის თვისება, რომლის თანახმად ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი და გამჟღავნებული არაავტორიზირებული პირებისთვის, სუბიექტებისთვის და პროცესებისთვის. [23G, 17T]</p>   |
| <p><b>configuration management</b></p> <p>The process of identifying and documenting the characteristics of a facility’s physical protection system — including computer systems and software — and of ensuring that changes to these characteristics are properly developed, assessed, approved, issued, implemented, verified, recorded and incorporated into the facility documentation [13R, 25G]</p> | <p><b>კონფიგურაციის მართვა</b></p> <p>პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება ობიექტის ფიზიკური დაცვის სისტემის - მათ შორის, კომპიუტერული სისტემების და პროგრამების - მახასიათებლების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება და უზრუნველყოფა, რომ ამ მახასიათებლების ცვლილებები სათანადოდ იქნება შემუშავებული, შეფასებული, დამტკიცებული, გამოქვეყნებული, განხორციელებული, გადამოწმებული, ჩაწერილი და შეტანილი ობიექტის დოკუმენტაციაში. [13R, 25G]</p> |
| <p><b>containment</b></p> <p>Structural elements (cans, gloveboxes, storage cabinets, rooms, vaults, etc.), which are used to establish the physical integrity of an area or items and to maintain the continuity of knowledge of nuclear material. [25G]</p>   | <p><b>შეკავება</b></p> <p>სტრუქტურული ელემენტები (ქილები, გრძელსახელოურიანი სამანიპულაციო ინსტრუმენტები, სათავსები, ოთახები, კამარები და სხვა) რომლებიც გამოიყენება კონკრეტული სივრცის ან საგნების ფიზიკური ურღვევობის შესაქმნელად და ბირთვული მასალების შესახებ ცოდნის განგრძობითობის უზრუნველსაყოფად. [25G]</p>   |
| <p><b>contingency plan</b></p> <p>1. Predefined sets of actions for response to unauthorized acts indicative of attempted unauthorized removal or sabotage, including threats thereof, designed to effectively counter such acts. [13R, 19G f/n, 26G]</p>   | <p><b>რეაგირების გეგმა</b></p> <p>1. არავტორიზირებულ საქმიანობაზე რეაგირების წინასწარ განსაზღვრული ქმედებების წყება,, რომლებიც მინიშნებენ არასანქცირებული გატანის ან საბოტაჟის მცდელობაზე, მათი საფრთხის გათვალისწინებით, და რომლებიც შექმნილია ამგვარ საქმიანობასთან (ქმედებებთან) ეფექტურად ბრძოლისათვის. [13R, 19G f/n, 26G]</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p>2. A part of the security plan or a stand-alone document that identifies reasonably foreseeable security events, provides initial planned actions, (including alerting appropriate authorities) and assigns responsibilities to appropriate operator personnel and response personnel.[11G definition of “security contingency plan”]</p>   | <p>2. დაცულობის გეგმის ნაწილი ან ცალკე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს გონივრულობის ფარგლებში წინასწარ განჭვრეტად უსაფრთხოების მოვლენებს, გეგმავს პირველად ქმედებებს (მათ შორის სათანადო ორგანოების დროულ შეტყობინებას) და განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს სათანადო ოპერაციული პერსონალისთვის და პირველადი რეაგირების პერსონალისთვის. [11G definition of “security contingency plan”]</p>   |
| <p><b>control (of nuclear material)</b></p> <p>Activities, devices, systems and procedures that ensure that the continuity of knowledge (e.g. location, quantitative measurements) about nuclear material is maintained. [25G]</p>   | <p><b>(ბირთვული მასალების) კონტროლი</b></p> <p>საქმიანობა, მოწყობილობები, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბირთვული მასალების შესახებ ცოდნის (მათ შორის მდებარეობაზე, რაოდენობრივ გაზომვებზე) განგრძობითობას (უწყვეტობას). [25G]</p>   |
| <p><b>conveyance</b></p> <p>For transport (a) by road or rail: any vehicle used for carriage of nuclear material cargo; (b) by water: any seagoing vessel or inland waterway craft, or any hold, compartment, or defined deck area of a seagoing vessel or inland waterway craft used for carriage of nuclear material cargo; and (c) by air: any aircraft used for carriage of nuclear material cargo. [13R, 26G]</p> <p>† Definition from the IAEA Regulations for the Safe Transport of Radioactive Material, adapted to limit to nuclear material cargo.</p> | <p><b>ტრანსპორტი</b></p> <p>ტრანსპორტირებისთვის ა) მანქანით ან რკინიგზით: ნებისმიერი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება ბირთვული მასალის გადაზიდვისთვის; ბ) წყლით: ნებისმიერი წყლის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება ბირთვული მასალის გადაზიდვისთვის; გ) საჰაერო: ნებისმიერი საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება ბირთვული მასალის გადაზიდვისთვის. [13R, 26G]</p> <p><sup>1</sup>. განსაზღვრება აქვს-ის რადიოაქტიური მასალების უსაფრთხო ტრანსპორტირების რეგულაციიდან, ადაპტირებული ბირთვული მასალის გადაზიდვისთვის</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>სატრანსპორტო საშუალება – სახმელეთო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება რადიოაქტიური</i></p> |

|   |  |
|---|--|
|   | <p>მასალის ტრანსპორტირებისათვის.<br/>(საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის N305 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესი“)</p>   |
| <p><b>countermeasure</b></p> <p>An action taken to counteract a threat, or to eliminate or reduce vulnerabilities. [17T]<br/>! In safety, the term “countermeasure” is specifically reserved for actions aimed at alleviating the radiological consequences of an accident.</p>   | <p><b>კონტროლები</b></p> <p>ქმედება, რომელიც ხორციელდება საფრთხის საწინააღმდეგოდ, მისი აღმოფხვრის ან ზიანის შემცირებისთვის. [17T]<br/>! უსაფრთხოების შემთხვევაში ტერმინი „კონტროლები“ სპეციალურად გამოიყენება რადიაციული ავარიის რადიოლოგიური შედეგების შერბილების განსაზღვრისთვის.</p>  |
| <p><b>crime scene</b></p> <p>A site containing records of activities, alleged to be a crime. [22G]</p> <p>† Definition taken from UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME, Crime Scene and Physical Evidence Awareness for Non-forensic Personnel, ST/NAR/39, UNODC, New York (2009).</p> <p><b>radiological crime scene</b></p> <p>A crime scene at which a criminal act or intentional unauthorized act involving nuclear or other radioactive material has taken place or is suspected. [22G, 2G]</p> | <p><b>დანაშაულის ადგილი</b></p> <p>ადგილი, რომელიც შეიცავს სავარაუდო დანაშაულებრივი საქმიანობის კვალს. [22G]</p> <p>† დეფინიცია აღებულია გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის პუბლიკაციიდან: Crime Scene and Physical Evidence Awareness for Non-forensic Personnel, ST/NAR/39, UNODC, New York (2009).</p> <p><b>რადიოლოგიური დანაშაულის ადგილი</b></p> <p>დანაშაულის ჩადენის ადგილი, სადაც განხორციელდა ან სავარაუდოდ განხორციელდა ბირთვულ და სხვა რადიოაქტიურ მასალებთან დაკავშირებული კრიმინალური აქტი ან წინასწარგანზრახული არაავტორიზირებული ქმედება. [22G, 2G]</p> |
| <p><b>crime scene operations</b></p> <p>The procedures that aim to control access at a crime scene, to document the scene as it was first encountered, and to recognize, collect, package and remove from the scene all relevant evidence. [22G]</p>  | <p><b>დანაშაულის ადგილზე ჩასატარებელი ღონისძიებები</b></p> <p>პროცედურები, რომელთა მიზანია დანაშაულის ადგილზე წვდომის კონტროლი, ადგილის პირველყოფილი სახით დოკუმენტირება, და დანაშაულის ადგილზე მოპოვებული ყველა რელევანტური მტკიცებულების აღიარება, შეგროვება, შეფუთვა და ადგილიდან გადატანა. [22G]</p>   |



|   |  |
|---|--|
| <p>‡ Definition taken from UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME, Crime Scene and Physical Evidence Awareness for Non-forensic Personnel, ST/NAR/39, UNODC, New York (2009).</p>   | <p>‡ დეფინიცია აღებულია გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის პუბლიკაციიდან: Crime Scene and Physical Evidence Awareness for Non-forensic Personnel, ST/NAR/39, UNODC, New York (2009).</p>  |
| <p><b>criminal act</b></p>  | <p><b>იხ. კრიმინალური ან (წინასწარ განზრახული) არაავტორიზებული აქტები (ქმედებები)</b></p>  |
| <p><b>criminal or [intentional] unauthorized acts</b></p> <p>A general term encompassing malicious acts and any other intentional acts or omissions contrary to national law or regulations and having nuclear security implications.</p> <p>‡ A ‘criminal act’ is normally covered by criminal or penal law in a State, whereas an ‘unauthorized act’ is typically the subject of administrative or civil law. In addition, criminal acts involving nuclear or other radioactive material may constitute offences related to acts of terrorism[, including those set out in the Convention on the Physical Protection of Nuclear Material and its Amendment and the International Convention for the Suppression of Acts of Nuclear Terrorism, all of] which, in some States, are subject to special legislation. Unauthorized acts with nuclear security implications could include both intentional and unintentional unauthorized acts as determined by the State. Examples of a criminal act or an unauthorized act with nuclear security implications could, if determined by the State, include: (1) the undertaking of an unauthorized activity involving radioactive material by an authorized person; (2) the unauthorized possession of radioactive material by a person with the intent to commit a</p> | <p><b>კრიმინალური ან (წინასწარგანზრახული) არაავტორიზებული აქტები (ქმედებები)</b></p> <p>ზოგადი ტერმინი, რომელიც მოიცავს ავი ზრახვით ჩადენილ ქმედებებს და სხვა წინასწარგანზრახულ ქმედებებს ან შეცდომებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ კანონმდებლობასთან და რომლებსაც აქვს ბირთვული დაცულობის იმპლიკაციები.</p> <p>‡ „კრიმინალური აქტი“, როგორც წესი, რეგულირდება ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ხოლო „არაავტორიზებული აქტი“ ჩვეულებრივ რეგულირდება ადმინისტრაციული ან სამოქალაქო კანონებით. ამასთან, კრიმინალური აქტები, რომლებიც შეეხება ბირთვულ და სხვა რადიოაქტიურ მასალებს, შეიძლება შეიცავდეს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებულ დანაშაულებს [მათ შორის, ისეთს, რომლებიც ჩამოთვლილია ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის კონვენციაში და მის დამატებებში და ბირთვული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენციაში], რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში მთლიანად რეგულირებულია ცალკე კანონმდებლობით. ბირთვული დაცულობის იმპლიკაციის მქონე არაავტორიზებული ქმედებები სახელმწიფოს გადაწყვეტილებით შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც წინასწარგანზრახული, ისე არა წინასწარგანზრახული. ბირთვული დაცულობის იმპლიკაციების მქონე კრიმინალური ან არავტორიზებული აქტის</p> |

|   |   |
|---|---|
| <p>criminal or unauthorized act with such material, or to facilitate the commission of such acts; or (3) the failure of an authorized person to maintain adequate control of radioactive material, thereby making it accessible to persons intending to commit a criminal or an unauthorized act, using such material. [15R, 19G f/n with square bracketed text]</p>  | <p>მაგალითები, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, შეიძლება იყოს: 1) ავტორიზირებული პირის მიერ რადიოაქტიური მასალის არავატორიზირებული გამოყენება; 2) პირის მიერ რადიოაქტიური მასალის არავატორიზირებული ფლობა ამ მასალით კრიმინალური ან უნებართვო აქტის ჩადენის, ან ამგვარი აქტის დავალების ხელშეწყობის მიზნით; ან 3) ავტორიზირებული პირის მიერ რადიოაქტიურ მასალაზე სათანადო კონტროლის ვერ განხორციელება, რომლის შედეგად მასალაზე წვდომა მიეცათ პირებს, რომლებიც აპირებენ კრიმინალური ან არავატორიზირებული აქტის ჩადენას ამ მასალის გამოყენებით. [15R, 19G f/n with square bracketed text]</p>   |
| <p><b>defence in depth</b></p> <p>1. The combination of successive layers of systems and measures for the protection of targets from nuclear security threats. [20F, 17T]</p> <p>2. The combination of multiple layers of systems and measures that have to be overcome or circumvented before nuclear security is compromised. [13R* , 14R, 25G, 26G]</p> <p>3. The combination of multiple layers of systems and measures for the protection of targets from nuclear security threats. [15R]</p> <p>4. Implementing several layers of defence, including both administrative aspects (procedures, instructions, sanctions, access control rules, confidentiality rules) and technical aspects (multiple layers of protection together with measures for detection and delay) that adversaries would have to overcome or circumvent to achieve their objectives. [9G f/n]</p> <p>! The term “defence in depth” is widely used in safety standards. While the general concept is similar, the</p> | <p><b>მრავალდონიანი დაცვა</b></p> <p>1. სისტემების და ზომების თანმიმდევრული ფენების (წყობების) კომბინაცია, რომელიც იცავს სამიზნეს ბირთვული საფრთხისგან. [20F, 17T]</p> <p>2. მრავალშრიანი სისტემათა და ზომათა კომბინაცია, რომელთა გავლა ან გვერდიდან ავლა საჭიროა, რათა მოხდეს ბირთვული დაცულობის დაზიანება. [13R*, 14R, 25G, 26G]</p> <p>2'. რამდენიმე დონის სისტემისა და დონისძიებების ერთობლიობა, რომლის გადალახვის ან გვერდის ავლის საფუძველზე შესაძლებელია ფიზიკური დაცვის დარღვევა (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</p> |

|   |  |
|---|--|
| <p>safety definition of “defence in depth” is too complex and specific to be directly adapted for security.</p>   | <p>3. მრავალდონიან სისტემათა და ზომათა კომბინაცია, რომელიც იცავს სამიზნეს ბირთვული საფრთხისგან. [15R]</p> <p>4. დაცვის რამდენიმე დონის დანერგვა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ ასპექტებს (პროცედურები, ინსტრუქციები, სანქციები, წვდომის კონტროლის წესები, კონფიდენციალურობის წესები) და ტექნიკური ასპექტებს (მრავალშრიანი დაცვა დეტექციის და შეყოვნების მექანიზმებთან ერთად) რომლების გავლა და გვერდის ავლაც მოუხდებათ დამრღვევებს თავიანთი ამოცანის მისაღწევად. [9G f/n]</p> <p>! ტერმინი „მრავალდონიანი დაცვა“ ფართოდ გამოიყენება დაცულობის სტანდარტებში. მართალია ზოგადი კონცეპტი მსგავსია ორივე კონტექსტში, დაცულობის შემთხვევაში ტერმინის განსაზღვრება უფრო კომპლექსური და კონკრეტულია იმისათვის, რომ ზუსტად შეესაბამებოდეს დაცულობის კონტექსტს.</p>                           |
| <p><b>design basis threat</b></p> <p>1. The attributes and characteristics of potential insider and/or external adversaries, who might attempt unauthorized removal or sabotage, against which a physical protection system is designed and evaluated. [13R, 26G, 4T, 16T]</p> <p>2. A description of the attributes and characteristics of potential insider/external adversaries who might attempt unauthorized removal of nuclear material or radioactive material or sabotage, against which a physical protection system is designed and evaluated. [9G f/n]</p> <p>3. A comprehensive description of the motivation, intentions and capabilities of potential adversaries against which protection systems are designed and evaluated. [10G, 11G]</p> | <p><b>პროექტირების საბაზისო საფრთხე (პსს)</b></p> <p>1. პოტენციური შიდა და/ან გარე დამრღვევის თვისებები და მახასიათებლები, რომელმაც შეიძლება სცადოს არავატორიზირებული გატანა ან საბოტაჟი, რის წინააღმდეგაც იქმნება და ფასდება ფიზიკური დაცვის სისტემა. [13R, 26G, 4T, 16T]</p> <p>1' იმ შიდა დამრღვევისა და გარეში პირის მახასიათებლები, რომელთაც შეიძლება სცადონ უკანონო დაუფლება ან საბოტაჟის განხორციელება, რის თავიდან ასაცილებლად ხდება დაცულობის სისტემის შემუშავება და შეფასება (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</p> |

|  |   |
|--|---|
|  | <p>2. პოტენციური შიდა და/ან გარე დამრღვევის თვისებების და მახასიათებლების აღწერა, რომელმაც შეიძლება სცადოს ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის არაავტორიზირებული გატანა ან საბოტაჟი, რის წინააღმდეგაც იქმნება და ფასდება ფიზიკური დაცვის სისტემა. [9G f/n]</p> <p>3. პოტენციური დამრღვევების მოტივაციის, ზრახვების და შესაძლებლობების სრულფასოვანი აღწერა, რის მიმართაც შექმნილი და შეფასებულია ფიზიკური დაცვის სისტემა. [10G, 11G]</p>   |
| <p><b>designated nuclear forensic laboratory</b></p> <p>A laboratory that has been identified by a State as being capable of accepting or analysing samples of nuclear and/or other radioactive material for the purpose of supporting nuclear forensic examinations. [2G]</p>   | <p><b>ბირთვული ექსპერტიზის სპეციალური ლაბორატორია</b></p> <p>ლაბორატორია, რომელსაც, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, აქვს შესაძლებლობა, მიიღოს და ანალიზი გაუკეთოს ბირთვული და /ან სხვა რადიოაქტიური მასალის ნიმუშებს ბირთვული ექსპერტული შემოწმების მიზნით. [2G]</p>   |
| <p><b>detection</b></p> <p>1. A process in a physical protection system that begins with sensing a potentially malicious or otherwise unauthorized act and that is completed with the assessment of the cause of the alarm. [13R, 26G]</p> <p>2. Awareness of criminal act(s) or unauthorized act(s) with nuclear security implications or measurement(s) indicating the unauthorized presence of nuclear material, or other radioactive material at an associated facility or an associated activity or a strategic location. [15R, 19G f/n with “Means of attaining...” at beginning, 21G]</p> <p>3. Awareness of a criminal or unauthorized act with nuclear security implications or measurement(s) indicating the unauthorized presence</p> | <p><b>დეტექტირება</b></p> <p>1. ფიზიკური დაცვის სისტემის პროცესი, რომელიც იწყება პოტენციურად ბოროტი ზრახვით განსახორციელებელი ან სხვაგვარად უნებართვო აქტის ეჭვით და სრულდება განგაშის მიზეზის შეფასებით. [13R, 26G]</p> <p>2. გაცნობიერება, რომ არსებობს კრიმინალური ან არავტორიზირებული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა, რომლებსაც აქვს ბირთვული დაცულობის იმპლიკაციები ან გაზომვები, რომლებიც მიუთითებენ ასოცირებულ ობიექტზე ბირთვული ან სხვა რადიაციული მასალის არავტორიზირებულ არსებობაზე ან ასოცირებულ საქმიანობაზე ან</p> |

|   |   |
|---|---|
| <p>of nuclear and other radioactive material at an associated facility or associated activity or a strategic location. [18G]</p>  | <p>სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილზე. [15R, 19G f/n იწყება “Means of attaining...-ით”, 21G]</p> <p>3. ვარაუდი, რომ მოსალოდნელია კრიმინალური ან არაავტორიზირებული ქმედება ბირთვული დაცულობის იმპლიკაციებით ან გაზომვებით, რაც მიუთითებს ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის არაავტორიზირებულ არსებობაზე ასოცირებულ ობიექტზე და ასოცირებული საქმიანობაზე ან სტრატეგიულ ლოკაციაზე. [13R, 26G].</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p><i>3' დაცულობის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს უკანონო ქმედების აღმოჩენას და ამ ქმედებით გამოწვეული განგაშის მიზეზების შეფასებას. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“).</i></p> |
| <p><b>detection instrument</b></p> <p>A complete functional system, being a combination of hardware and software (or firmware) supported by procedures for installation, calibration, maintenance and operation, used for detecting nuclear material or other radioactive material. [21G]</p> | <p><b>დეტექტირებს ინსტრუმენტი</b></p> <p>ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის დეტექტირებისთვის გამოსაყენებელი სრულად ფუნქციონირებადი სისტემა, რომელიც შედგება აპარატურის და პროგრამებისგან და რომელსაც თან ახლავს ინსტალაციის, კალიბრაციის, მოვლის და ოპერაციის პროცედურები.[21G]</p>  |

|   |  |
|---|--|
| <p><b>detection measure</b></p> <p>Measures intended to detect a criminal or an unauthorized act with nuclear security implications. [15R, 18G – with “criminal or unauthorized act”, 21G]</p>  | <p><b>დეტექტირების ზომები</b></p> <p>ზომები, რომელთა მიზანია ბირთვული დაცულობის იმპლიკაციების მქონე კრიმინალური ან არაავტორიზირებული ქმედების გამოვლენა/დეტექტირება. [15R, 18G – “criminal or unauthorized act”, 21G]</p>  |
| <p><b>detection system</b></p> <p>Integrated set of detection measures including capabilities and resources necessary for detection of a criminal act or an unauthorized act with nuclear security implications. [15R, 18G – with “criminal or unauthorized act”, 21G]</p>  | <p><b>დეტექტირების სისტემა</b></p> <p>დეტექციის ზომების ერთიანი კომპლექტი, რომელიც მოიცავს ბირთვული დაცულობის იმპლიკაციების მქონე კრიმინალური ან უნებართვო აქტის დეტექტირებისთვის საჭირო შესაძლებლობებს და რესურსებს. [15R, 18G – “criminal or unauthorized act”, 21G]</p>   |
| <p><b>deterministic safety assessment</b></p> <p>A comprehensive, structured analysis that assesses the performance of the facility against a broad range of operating conditions, postulated initiating events, and other circumstances, demonstrating that normal operation can be carried out safely, in such a way that facility parameters do not exceed operating limits. [16T]</p>                         | <p><b>უსაფრთხოების დეტერმინისტული შეფასება</b></p> <p>სრულფასოვანი, სტრუქტურირებული ანალიზი, რომელიც აფასებს ობიექტის მუშაობას სხვადასხვა საოპერაციო პირობების, განსაზღვრული საწყისი შემთხვევისა და სხვა გარემოებების მიმართ, და რომელიც აჩვენებს, რომ ობიექტის ოპერირება ნორმალურ პირობებში შეიძლება განხორციელდეს უსაფრთხოდ, ისე რომ ობიექტის მახასიათებლები არ აღემატებოდეს საოპერაციო ზღვრებს. [16T]</p> |
| <p><b>device</b></p> <p>1. [The term is used without definition in the following terms and their definitions.]<br/><b>improvised nuclear device:</b> A device incorporating radioactive materials designed to result in the formation of a nuclear-yield reaction. Such devices may be fabricated in a completely improvised manner or may be an improvised modification to a nuclear weapon. [21G, 22G, 24G]</p> | <p><b>მოწყობილობა</b></p> <p>1. [ტერმინი გამოიყენება განსაზღვრების გარეშე შემდეგ ტერმინებში და მათ განსაზღვრებებში]<br/><b>იმპროვიზირებული ბირთვული მოწყობილობა:</b> მოწყობილობა, რომელშიც მოთავსებულია რადიოაქტიური მასალა ბირთვული ენერჯის გამოყოფის რეაქციის შექმნის მიზნით. ამგვარი მოწყობილობები შესაძლოა შეიქმნას სრულიად იმპროვიზირებულად ან</p>  |

|   |  |
|---|--|
| <p><b>radiation exposure device:</b> A device with radioactive material designed to intentionally expose members of the public to radiation. [21G, 22G, 24G]</p> <p><b>radiological dispersal device:</b> A device to spread radioactive material using conventional explosives or other means. [21G, 22G, 24G]</p> <p>1 ICSANT defines a “device” in this sense as: “Any nuclear explosive device; or any radioactive material dispersal or radiation-emitting device which may, owing to its radiological properties, cause death, serious bodily injury or substantial damage to property or to the environment.”</p> <p>2. A piece of machinery or instrument in which a radioactive source is used, and which safely houses the source. The manufacture of devices generally conforms to national or international safety standards. [5T]</p> <p>! Clearly this is a different type of “device” from those listed under definition 1. The term should therefore only be used with definition 2 in contexts in which there is no risk of confusion, and then with great care.</p> | <p>წარმოადგენდეს სხვა მოწყობილობიდან მოდიფიცირებულ ბირთვულ იარაღს. [21G, 22G, 24G]</p> <p><b>რადიაციული დასხივების მოწყობილობა:</b> მოწყობილობა, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ მასალას და რომელიც შექმნილია მიზანმიმართულად მოსახლეობის რადიაციით დასახივებლად [21G, 22G, 24G]</p> <p><b>რადიოლოგიური გამფრქვევევი მოწყობილობა</b> მოწყობილობა, რომელიც აფრქვევს რადიოაქტიურ მასალას ჩვეულებრივ ასაფეთქებელი მასალის ან სხვა საშუალების გამოყენებით. [21G, 22G, 24G]</p> <p>1 ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (ICSANT) განსაზღვრავს „მოწყობილობას“ ამ მნიშვნელობით შემდეგნაირად: „ნებისმიერი ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა, ან ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც აფრქვევს რადიოაქტიურ მასალას და ასხივებს რადიაციას, და რომელმაც, მისი რადიოლოგიური თვისებების გამო, შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება ან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საკუთრებას და გარემოს.“</p> <p>2. დანადგარი ან ინსტრუმენტი, რომელშიც მოთავსებულია რადიოაქტიური წყარო და რომელიც დაცულად ინახავს ამ წყაროს. მოწყობილობის დიზაინი, როგორც წესი, შეესაბამება უსაფრთხოების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. [5T]</p> <p>! ეს მოწყობილობა, ცხადია, განსხვავდება პირველ პუნქტში აღწერილი მოწყობილობისგან. ამდენად, ტერმინი,</p> |
|---|--|

|  |  |
|--|--|
|  | როგორც ეს განსაზღვრულია მეორე პუნქტში, უნდა იყოს გამოყენებული დიდი სიფრთხილით და მხოლოდ ისეთ კონტექსტში, რომელშიც არ გამოიწვევს დაბნეულობას.   |
| <b>direct dispersal or release</b>   | იხ. dispersal or release. (გაფრქვევა და გაშვება)   |
| <b>dispersal or release</b><br><br>direct dispersal or release: Dispersal or release of material by application of energy from an external source (for example, an explosive or incendiary device) on the material. [16T]<br>indirect dispersal or release: Dispersal or release of material by utilizing the potential energy (i.e. heat or pressure) contained in the nuclear or radioactive material or in a process system to disperse the material. [16T] | <b>გაფრქვევა ან გაშვება</b><br><br><i>პირდაპირი გაფრქვევა ან გაშვება:</i> გარე ენერჯის წყაროდან (მაგ., ფეთქებადი ან აალებადი მოწყობილობიდან) საშუალებით მასალის გაფრქვევა ან გაშვება. [16T]<br><i>არაპირდაპირი გაფრქვევა ან გაშვება:</i> მასალის გაფრქვევა ან გაშვება ბირთვულ ან რადიოაქტიურ მასალაში ან მასალის გამოფრქვევის პროცესის სისტემაში არსებული პოტენციური ენერჯის (ანუ სითბოს ან წნევის) გამოყენებით. |
| <b>disused source -</b><br><br>A radioactive source which is no longer used, and is not intended to be used, in facilities and activities for which authorization has been granted [11G, attributed to Safety Glossary].   | <b>გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყარო</b><br><br>რადიოაქტიური წყარო, რომელიც აღარ გამოიყენება - და არც იგეგმება მისი გამოყენება - მოწყობილობებში და საქმიანობაში, რომლისთვისაც გაცემულია შესაბამისი ავტორიზაცია. [11G, უსაფრთხოების ლექსიკონი, Safety Glossary].   |
| <b>examination</b><br><br>A procedure used to obtain information from evidence in order to reach conclusions concerning the nature of and/or associations related to evidence. [2G]  | <b>გამოკვლევა</b><br><br>პროცედურა, რომელიც გამოიყენება მტკიცებულებებიდან ინფორმაციის მისაღებად, რათა გაკეთდეს დასკვნა მტკიცებულებების ბუნების და/ან მტკიცებულებებთან დაკავშირებულ სხვა რამეზე. [2G]   |
| <b>false alarm</b><br><br>An alarm found by subsequent assessment not to have been caused by the presence of nuclear or radioactive material. [21G]  | <b>მცდარი განგაში</b><br><br>განგაში, რომელიც, შემდგომი შეფასებით, არ იყო გამოწვეული ბირთვული ან რადიოაქტიური მასალის არსებობით. [21G]   |



|   |   |
|---|---|
| <p><b>force-on-force exercise</b></p> <p>A performance test of the physical protection system that uses designated trained personnel in the role of an adversary force to simulate an attack consistent with the threat or the design basis threat. [13R, 26G]</p>  | <p><b>შეტევის სიმულაციის ვარჯიში</b></p> <p>ფიზიკური დაცვის სისტემის საოპერაციო მუშაობის შეფასების ტესტი, რომელშიც დამრღვევის როლში გამოდის სპეციალურად მომზადებული პერსონალი, ახორციელებს რა დამრღვევის მხრიდან მიმდინარე საფრთხის შესაბამისი შეტევის სიმულაციას. [13R, 26G]</p>   |
| <p><b>front line system</b></p> <p>A system that directly performs a facility safety function. See also the definition of support system. [16T]</p>   | <p><b>წინა ხაზის სისტემა</b></p> <p>სისტემა, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ობიექტის უსაფრთხოების ფუნქციას. იხ. ასევე support system-ის *დამხმარე სისტემის) განსაზღვრება. [16T]</p>  |
| <p><b>graded approach</b></p> <p>1. The application of nuclear security measures proportional to the potential consequences of a malicious act. [13R* , 14R, 25G, 26G (with “proportionate”)]</p> <p>2. The application of nuclear security measures proportionate to the potential consequences of criminal or intentional unauthorized acts involving or directed at nuclear material, other radioactive material, associated facilities or associated activities or other acts determined by the State to have an adverse impact on nuclear security. [20F, 15R with “proportional” instead of “proportionate”, 24G]</p> <p>3. An approach or process by which the scope, depth and rigour of the management and engineering control measures (such as physical protection system) are commensurate with the evaluation of the threat and the magnitude of any hazard involved with the failure of the item or process concerned. [9G f/n]</p> | <p><b>დიფერენცირებული (ეტაპობრივი) მიდგომა</b></p> <p>1. დაცულობის ზომების გამოყენება, რომლებიც ბოროტი ზრახვით ჩადენილი აქტის პოტენციურ შედეგებს შეესაბამება. [13R* , 14R, 25G, 26G (გამოიყენება “proportionate”)]</p> <p>1' დაცულობის უზრუნველსაყოფად სავარაუდო უკანონო ქმედებების შედეგების გათვალისწინებით ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“);</p> <p>2. დაცულობის ზომების გამოყენება, რომლებიც შეესაბამება, კრიმინალური და განზრახ ჩადენილი არაავტორიზირებული ქმედებების პოტენციურ შედეგებს, რომლებიც მოიცავს ან შეეხება ბირთვულ მასალას,</p> |

|  |  |
|--|--|
|  | <p>სხვა რადიოაქტიურ მასალებს, ან ასოცირებულ ობიექტებს ან ასოცირებულ საქმიანობას ან სხვა აქტივობას, რომელიც, სახელმწიფო ს გადაწყვეტილებით, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს დაცულობაზე [20F, 15R “proportional” ნაცვლად “proportionate”-ისა, 24G]</p> <p>3. მიდგომა ან პროცესი, რომლის მეშვეობითაც მართვის და საინჟინრო კონტროლის ზომების (როგორცაა ფიზიკური დაცვის სისტემა) მოქმედების სფერო, ინტენსივობა და მედეგობა შესაბამისობაში მოდის საფრთხის შეფასებასთან და მოცემული ობიექტის ან პროცესის წარუმატებლობით გამოწვეული კატასტროფის მასშტაბთან. [9G f/n]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>3' ქმედებათა თანამიმდევრობა, რომელიც ითვალისწინებს საფრთხის შეფასებას, ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) ღონისძიებების უზრუნველყოფის ეტაპობრივ განხორციელებას (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 50, პ.2 (ვ))</i></p> |
| <p><b>Guard</b></p> <p>A person who is entrusted with responsibility for patrolling, monitoring, assessing, escorting individuals or transport, controlling access and/or providing initial response. [13R, 26G]</p> | <p><b>დაცვის თანამშრომელი</b></p> <p>პირი, ვისაც აქვს მინიჭებული პატრულირების, მონიტორინგის, შეფასების, ადამიანების და ტრანსპორტის ესკორტის, წვდომის კონტროლის და/ან პირველადი რეაგირების პასუხისმგებლობა. [13R, 26G]</p>  |
| <p><b>hazard control area</b></p>  | <p>საფრთხის კონტროლის სივრცე იხ. Area (სივრცე)</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p><b>high confidence of low probability of failure (HCLPF)</b></p> <p>The probabilistic definition of the HCLPF is 95% confidence of less than about a 5% probability of failure. HCLPF values can be estimated using probabilistic or deterministic techniques. The deterministic approach is preferred because, once rules governing the definition of demand and capacity are established, engineers without training in probabilistic methods can perform the evaluations. [4T]</p> | <p><b>მარცხის დაბალი ალბათობის მაღალი რწმენა (მდამრ)</b></p> <p>მდამრ-ის ალბათურ განსაზღვრაში იგულისხმება მარცხის დაახლოებით 5-პროცენტზე ნაკლები ალბათობის 95 პროცენტი რწმენა. მდამრ მნიშვნელობები შეიძლება შეფასდეს ალბათური და დეტერმინისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით, დეტერმინისტული მიდგომა უპირატესია, რადგან როდესაც კი მოთხოვნის და შესაძლებლობის განსაზღვრის წესები დადგინდება, ინჟინრები, რომლებსაც არ აქვთ მიღებული ალბათობის მეთოდებში მომზადება, შეძლებენ შეფასებების ჩატარებას. [4T]</p>                   |
| <p><b>improvised nuclear device</b></p>  | <p><b>იმპროვიზირებული ბირთვული მოწყობილობა იხ. Device (მოწყობილობა)</b></p>  |
| <p><b>incident</b></p> <p>Several types of incident are defined as a basis for categorizing entries in the Agency’s Incident and Trafficking Database (ITDB).</p>  | <p><b>ინციდენტი</b></p> <p>ინციდენტის რამდენიმე ტიპი განსაზღვრულია აესს-ის ინციდენტების და ტრეფიკინგის მონაცემთა ბაზაში (ITDB).</p>  |
| <p><b>incident commander (IC)</b></p> <p>The person in charge of the nuclear security event. The IC commands the entire response and directs all those supporting the response. The IC may delegate authority for performing certain activities to others as required, e.g. to on-scene controller, the public information officer/team. [18G]</p>   | <p><b>ინციდენტის მართვის ხელმძღვანელი (იშხ)</b></p> <p>პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბირთვული დაცულობის შემთხვევაზე. იგი ხელმძღვანელობს ინციდენტზე რეაგირების მთლიან პროცესს და მართავს მათ, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს. ინციდენტის მართვის ხელმძღვანელმა შეიძლება მოახდინოს თავისი უფლებამოსილების დელეგირება ზოგიერთი საქმიანობის შესასრულებლად საჭიროების მიხედვით, მაგ., გადასცეს პასუხისმგებლობა ინციდენტის ადგილზე განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველს, საჯარო ინფორმაციის მართვის ოფიცერს/ჯგუფს. [18G]</p> |
| <p><b>indirect dispersal or release</b></p>  | <p><b>არაპირდაპირი გაფრქვევა ან გაშვება იხ. dispersal or release (გაფრქვევა ან გაშვება).</b></p>   |

|   |  |
|---|--|
| <p><b>individualization</b></p> <p>The ability to associate a forensic result or a set of results uniquely with a single source, such as a person, place or production process. [2G]</p>  | <p><b>ინდივიდუალიზაცია</b></p> <p>შესაძლებლობა, დააკავშირო ექსპერტიზის შედეგი ან შედეგთა ერთობლიობა ერთ კონკრეტულ წყაროსთან, როგორცაა პირი, ადგილი ან წარმოების პროცესი. [2G]</p>  |
| <p><b>information alert</b></p> <p>Time sensitive reporting that could indicate a nuclear security event, requiring assessment, and may come from a variety of sources, including operational information, medical surveillance, accounting and consigner/consignee discrepancies, border monitoring, etc. [15R, 18G, 21G, 22G]</p> | <p><b>საინფორმაციო სიგნალი (გაფრთხილება)</b></p> <p>დროში შეზღუდული ანგარიშგება ბირთვული დაცულობის შემთხვევის შესახებ, რომელიც მოითხოვს შეფასებას და რომელიც შეიძლება მოდიოდეს სხვადასხვა წყაროებიდან. მათ შორისაა, საოპერაციო ინფორმაცია, სამედიცინო ზედამხედველობა, ინფორმაცია აღრიცხვასა და ტვირთის გამგზავნ/მიმღების მონაცემთა შორის შეუსაბამობების შესახებ, სსაზღვრის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია და სხვა. [15R, 18G, 21G, 22G]</p> |
| <p><b>information object</b></p> <p>Knowledge or data that have value to the organization. [23G]</p>  | <p><b>საინფორმაციო ბაზა</b></p> <p>ცოდნა ან მონაცემები, რომელიც ორგანიზაციისთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს. [23G]</p>   |
| <p><b>information security</b></p> <p>The preservation of the confidentiality, integrity and availability of information. [23G]<br/>[Note: In addition, other properties such as authenticity, accountability, non-repudiation and reliability can also be involved. [17T]]</p>   | <p><b>ინფორმაციული უსაფრთხოება</b></p> <p>ინფორმაციის კონფიდენციალურობის, ურღვევობის და წვდომის დაცვა. [23G]<br/>[შენიშვნა: ამასთან, შეიძლება ასევე გულისხმობდეს სხვა თვისებებს, როგორცაა ავთენტურობა, ანგარიშვალდებულება, არარეპუდიაცია და სანდოობა[17T]]</p>   |
| <p><b>initial assessment</b></p> <p>The process of analysing systematically and evaluating an information alert or an instrument alarm to determine whether a nuclear security event has occurred. [22G]</p>  | <p><b>თავდაპირველი (საწყისი) შეფასება</b></p> <p>საინფორმაციო გაფრთხილების ან ინსტრუმენტის განგაშის სისტემატური ანალიზის და შეფასების პროცესი იმის გადასაწყვეტად, მოხდა თუ არა ბირთვული დაცულობის შემთხვევა. [22G]</p>   |

|  |   |
|--|---|
| <p><b>initial entry</b></p> <p>The first controlled entry made into a crime scene, conducted for the purpose of gathering data regarding the nature and extent of on-scene hazards. [22G]</p>  | <p><b>თავდაპირველი შესვლა</b></p> <p>პირველი კონტროლირებული შესვლა დანაშულის ადგილას საფრთხის ხასიათის და ხარისხის შესახებ მონაცემების შეგროვების მიზნით. [22G]</p>   |
| <p><b>initiating event</b></p> <p>An event identified during design as capable of leading to anticipated operational occurrences or accident conditions.<br/> <small>1 Sometimes referred to as a postulated initiating event. [16T]</small></p>               | <p><b>საწყისი შემთხვევა (მოვლენა)</b></p> <p>დიზაინის სტადიაზე იდენტიფიცირებული შემთხვევა (მოვლენა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საოპერაციო შემთხვევები ან შექმნას საავარიო პირობები.<br/> <small>1 ზოგჯერ მოიხსენიება როგორც განსაზღვრული საწყისი მოვლენა.</small></p> |
| <p><b>initiating event of malicious origin</b></p> <p>A maliciously initiated initiating event. A malicious act that upsets the operation in such a way that, if mitigation were unsuccessful, would lead to unacceptable radiological consequences. [16T]</p> | <p><b>ბოროტი ზრახვით ჩადენილი საწყისი მოვლენა</b></p> <p>ბოროტი ზრახვით ინიცირებული შემთხვევა. ბოროტი ზრახვით ჩადენილი აქტი, რომელიც აფერხებს ოპერაციებს ისე, რომ თუ ზიანის შემცირების ზომები წარუმატებელი იქნება, გამოიწვევს მიუღებელ რადიოლოგიურ შედეგებს. [16T]</p>  |
| <p><b>inner area</b></p>   | <p>შიდა სივრცე იხ. area (სივრცე)</p>  |
| <p><b>innocent alarm</b></p> <p>An alarm found by subsequent assessment to have been caused by nuclear or other radioactive material under regulatory control or exempt or excluded from regulatory control. [22G]</p>   | <p><b>უვნებელი განგაში</b></p> <p>განგაში, რომელიც შემდგომი შეფასებით, გამოწვეულია მარეგულირებელ კონტროლს ქვეშ მყოფი ან ასეთი კონტროლისგანგათავისუფლებული ან გამორიცხული ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალით. [22G]</p>   |
| <p><b>insider</b></p> <p>1. An individual with authorized access to associated facilities or associated activities or to sensitive information or sensitive information assets, who could commit, or</p>   | <p><b>შიდა დამრღვევი</b></p> <p>1. პირი, რომელსაც აქვს ავტორიზირებული წვდომა ასოცირებულ ობიექტებზე ან ასოცირებულ საქმიანობაზე ან სენსიტიურ ინფორმაციაზე ან სენსიტიურ საინფორმაციო</p>   |

|  |   |
|--|---|
| <p>facilitate the commission of criminal or intentional unauthorized acts involving or directed at nuclear material, other radioactive material, associated facilities or associated activities or other acts determined by the State to have an adverse impact on nuclear security. [20F]</p> <p>2. An adversary with authorized access to a nuclear facility, a transport operation or sensitive information. [8G]</p> <p>3. One or more individuals with authorized access to nuclear facilities or nuclear material in transport who could attempt unauthorized removal or sabotage, or who could aid an external adversary to do so. [13R, 25G, 26G]</p> <p>4. An individual with authorized access to associated facilities or associated activities or to sensitive information or sensitive information assets, who could commit, or facilitate the commission of a malicious act. [14R]</p> | <p>ინფრასტრუქტურაზე, და რომელსაც შეუძლია ჩაიდინოს ან ხელი შეუწყოს არავტორიზირებულ კრიმინალური და წინასწარგანზრახული აქტების შეკვეთას, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალას, ასოცირებულ ობიექტებს ან ასოცირებულ აქტებს ან სხვა ქმედებებს, რომლებიც სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ჩათვლილია როგორც უარყოფითი ზეგავლენის მომხდენი ბირთვულ დაცულობაზე.[20F]</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p><i>1' პირი, რომელსაც გააჩნია ოფიციალური დაშვება ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე, რადიოაქტიურ ნარჩენებზე, ბირთვულ მასალებზე, რადიოაქტიურ წყაროებზე, მათ შემცველ დანადგარებზე და შესაბამის ინფორმაციაზე და რომელსაც აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს უკანონო ქმედება ან დაეხმაროს გარეშე პირს უკანონო ქმედების განხორციელებაში (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</i></p> <p>2. დამრღვევი, რომელსაც აქვს ავტორიზირებული წვდომა ბირთვულ და რადიაციულ ობიექტზე, ტრანსპორტირების საქმიანობაზე ე ან სენსიტიურ ინფორმაციაზე. [8G]</p> <p>3. ერთი ან მეტი პირი, რომელსაც აქვს ავტორიზირებული დაშვება ბირთვულ და რადიაციულ ობიექტზე, ან</p> |
|--|---|

|   |  |
|---|--|
|   | <p>ტრანსპორტირებად ბირთვულ მასალაზე, და რომელმაც შეიძლება სცადოს ამ მასალის არავტორიზირებული გატანა ან საბოტაჟი, ან რომელიც შეიძლება დაეხმაროს გარეშე დამრღვევს ამგვარი აქტის განხორციელებაში. [13R, 25G, 26G]</p> <p>4. პირი, რომელსაც აქვს წვდომა ასოცირებულ ობიექტზე ან ასოცირებულ საქმიანობაზე ან სხვა სენსიტიურ ინფორმაციაზე ან სენსიტიური ინფორმაციის აქტივებზე, და რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩაიდინოს ბოროტი ზრახვით აქტი ან ხელი შეუწყოს ასეთი აქტის ჩადენას. [14R]</p> |
| <p><b>institutional control</b></p> <p>Regulatory control or control by any institution that has a role in the investigation, prosecution, extradition or other proceedings of a State related to the location, seizure or recovery of nuclear or other radioactive material. [19G f/n]</p>   | <p><b>ინსტიტუციური კონტროლი</b></p> <p>მარეგულირებელი კონტროლი ან ნებისმიერი ისეთი ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კონტროლი, რომელიც უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ გამოძიებაში, სასამართლო წესით დევნაში, ექსტრადიციაში ან სხვა საქმეში, რომელიც უკავშირდება ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის ლოკაციას, კონფისკაციას ან ამოღებას. [19G f/n]</p>   |
| <p><b>instrument alarm -</b></p> <p>Signal from instruments that could indicate a nuclear security event, requiring assessment. An instrument alarm may come from devices that are portable or deployed at fixed locations and operated to augment normal commerce protocols and/or in a law enforcement operation. [15R, 18G, 21G with “a detection instrument or set of such instruments”, 22G]</p> | <p><b>ინსტრუმენტული განგაში</b></p> <p>ინსტრუმენტებიდან წამოსული სიგნალი, რომელიც მიუთითებს ბირთვული დაცულობის შემთხვევაზე და რომელიც მოითხოვს შეფასებას. ინსტრუმენტული განგაში შეიძლება მომდინარეობდეს პორტაბელური ან ფიქსირებული მოწყობილობებიდან, რომლებსაც იყენებენ ჩვეულებრივი სამუშაო პროტოკოლით გათვალისწინებული ოპერაციების დროს და/ან სამართალდაცვის ოპერაციებში. [15R, 18G, 21G with “a detection instrument or set of such instruments”, 22G]</p>                     |

|   |  |
|---|--|
| <p><b>integrity</b></p> <p>1. The property of accuracy and completeness of information [23G]<br/> 2. The property of protecting the accuracy and completeness of assets. [17T – from ISO]</p>   | <p><b>ურღვევობა</b></p> <p>1. ინფორმაციის სიზუსტის და სისრულის თვისება [23G]<br/> 2. აქტივების სიზუსტის და სისრულის დაცვის თვისება [23G]</p>   |
| <p><b>inventory</b></p> <p><b>book inventory:</b> The algebraic sum of the previous physical inventory (as determined at a physical inventory taking) and any subsequent inventory changes (as reflected in the inventory change reports). [25G]</p> <p><b>physical inventory:</b> The sum of all the measured or derived estimates of batch quantities of nuclear material physically present at a given time within a material balance area, obtained by a facility operator in accordance with specified procedures. [25G]</p> | <p><b>ინვენტარიზაცია</b></p> <p><b>აღრიცხვა:</b> წინა ფიზიკური აღრიცხვების (საწყისი ფიზიკური აღრიცხვის მიხედვით) და ნებისმიერი შემდგომი აღრიცხვის ცვლილებების (აღწერილი აღრიცხვის ცვლილების ანგარიშებში) ალგებრული ჯამი. [25G]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>ბირთვული მასალების აღრიცხვა - მასალების რაოდენობის და შემცველობის განსაზღვრა, აღრიცხვისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 ნოემბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული გაუფრცვლებლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“)</i></p> <p><b>ფიზიკური ინვენტარიზაცია:</b> განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად ოპერატორის მიერ მასალის ბალანსის ზონაში დროის კონკრეტულ მონაკვეთში ფიზიკურად არსებული ბირთვული მასალის ერთობლივი რაოდენობების ზუსტი ან დაახლოებითი გაზომვების ჯამი. [25G]</p> <p>მზუ-ში მოცემულ მომენტში ბირთვული მასალის ფაქტობრივი რაოდენობის დადგენა გაზომვებისა და შეფასებების საშუალებით, შესაბამისი გაზომვათა სისტემის გამოყენებით. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 ნოემბრის N39 ბრძანებით</p> |



|  |   |
|--|---|
|  | <p>დამტკიცებული „ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“)</p>   |
| <p><b>Irregularity</b></p> <p>An unusual observable condition which might result from unauthorized removal of nuclear material, or which restricts the ability of the facility operator to draw the conclusion that unauthorized removal has not occurred. [25G]</p>   | <p><b>მიუღებელი მდგომარეობა</b></p> <p>უჩვეულო მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დასრულდეს ბირთვული მასალის არაავტორიზირებული გატანით, ან რომელიც ზღუდავს ოპერატორის შესაძლებლობას, დაასკვნას, რომ არ მომხდარა არაავტორიზირებული გატანა. [25G]</p>  |
| <p><b>limited access area</b></p>  | <p>შეზღუდული წვდომის სივრცე იხ. Area (სივრცე)</p>   |
| <p><b>logic model</b></p> <p>A statement, algebraic expression, or graphical representation that captures the combinations of item failures that lead to an undesired event or undesired system state. [16T]</p> <p><b>sabotage logic model:</b> A logic model that documents the malicious events or combinations of malicious events that could lead to unacceptable radiological consequences. [16T]</p> <p><b>sabotage area logic model:</b> A sabotage logic model that identifies the physical areas from which the malicious events can be performed. The sabotage area logic model can be analysed to identify the combinations of areas from which sabotage resulting in unacceptable radiological consequences can be committed and also the areas that should be protected to prevent unacceptable radiological consequences. [16T]</p> | <p><b>ლოგიკური მოდელი</b></p> <p>მტკიცება, ალგებრული გამოხატულება ან გრაფიკული გამოსახულება, რომელიც აჩვენებს არასასურველი მოვლენის ან სისტემის არასასურველი მდგომარეობის გამომწვევი შეცდომების კომბინაციებს. [16T]</p> <p><b>საბოტაჟის ლოგიკური მოდელი:</b> ლოგიკური მოდელი, რომელიც დოკუმენტალურად აფიქსირებს ბოროტი ზრახვით ჩადენილ მოვლენებს ან მათ კომბინაციებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მიუღებელი რადიოლოგიური შედეგები. [16T]</p> <p><b>საბოტაჟის სივრცის ლოგიკური მოდელი:</b> ლოგიკურ მოდელი, რომელიც ამოიცნობს ფიზიკურ სივრცეებს, საიდანაც შესაძლებელია ბოროტი ზრახვის აქტის განხორციელება. საბოტაჟის სივრცის ლოგიკური მოდელის ანალიზით შესაძლებელია იმ სივრცეების კომბინაციების განსაზღვრა, საიდანაც შეიძლება განხორციელდეს მიუღებელი რადიოლოგიური შედეგების გამომწვევი საბოტაჟი და ასევე, იმ სივრცეების განსაზღვრა, რომელთა დაცვაც აუცილებელია მიუღებელი რადიოლოგიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. [16T]</p> |

|  |   |
|--|---|
| <p><b>major public event</b></p> <p>1. A high-profile event that a State has determined to be a potential target. [20F, 15R, 21G]</p> <p>2. A high profile event that a State has determined to be a potential target to include, for example, sporting, political, and religious gatherings involving large numbers of spectators and participants. [18G]</p> <p>! This refers to a different type of “event” from a nuclear security event.</p>  | <p><b>მნიშვნელოვანი საჯარო მოვლენა</b></p> <p>1. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მოვლენა, რომელსაც სახელმწიფო ჩათვლის პოტენციურ სამიზნედ. [20F, 15R, 21G]</p> <p>2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მოვლენა, რომელსაც სახელმწიფო ჩათვლის პოტენციურ სამიზნედ, მათ შორის, სპორტული, პოლიტიკური, ან რელიგიური შეკრება, რომელსაც მრავალი დამსწრე და მონაწილე ჰყავს. [18G]</p> <p>! ეს შეეხება „მოვლენას“ რომელიც განსხვავდება ბირთვული დაცულობის მოვლენისგან.</p>   |
| <p><b>malicious act</b></p> <p>1. An act or attempt of unauthorized removal of radioactive material or sabotage. [13R* , 14R, 26G*]</p> <p>2. A wrongful act or activity intentionally done or engaged in without legal justification or excuse (e.g. smuggling) or an act or activity intended to cause death or physical injury to any person, material damage to a</p> <p>† This definition is taken from GOV/2002/10.</p> <p>3. A deliberate act to remove radioactive material from authorized control (theft) or an act directed against radioactive material (e.g. sabotage) that could endanger workers, the public and the environment by exposure to radiation or the release or dispersal of radioactive material, including the deliberate dispersion of radioactive material to cause economic and social disruption. [9G f/n]</p> <p>ny person (e.g. theft) or damage to property or to the environment. [11G]</p> | <p><b>ბოროტი ზრახვით ჩადენილი აქტი</b></p> <p>1. რადიოაქტიური მასალის არაავტორიზირებული გატანის ან საბოტაჟის აქტი ან ასეთის მცდელობა. [13R* , 14R, 26G* ]</p> <p>2. არაკანონიერი აქტი ან ქმედება, რომელიც ჩადენილია წინასწარი განზრახვით ან სამართლებრივი საფუძვლის ან გამართლების გარეშე (მაგალითად, უკანონო გატანა-გადაზიდვა) ან აქტი ან ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ნებისმიერი პირის სიკვდილს ან ფიზიკურ დაზიანებას ან მისთვის მატერიალური ზარალის (მაგალითად, ქურდობა) მიყენებას ან საკუთრების ან გარემოსთვის ზიანის მიყენებას.</p> <p>† ეს განსაზღვრება აღებულია GOV/2002/10-დან.</p> <p>3. რადიოაქტიური მასალის კონტროლის სივრციდან გატანის წინასწარგანზრახული ქმედება (ქურდობა) ან აქტი, რომლის დროსაც გამოიყენება რადიოაქტიური მასალა და, რომელმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს მუშაკები, საზოგადოება და გარემო მაიონებელი გამოსხივების ზემოქმედების გამო ან რადიოაქტიური მასალის გარემოში გაფრქვევით ან გაშვებით; მათ შორის რადიოაქტიური მასალის განზრახული გაფრქვევით ეკონომიკური და სოციალური ზიანის გამოწვევის მიზნით. [11G]</p> |

|   |   |
|---|---|
| <p><b>margin</b></p> <p>A relative measure of expected performance versus a specified criterion or metric. It can be measured and expressed deterministically or probabilistically. One measure of margin is the relationship between capacity and loading condition. For example, for a structural element, a ratio of blast pressure demand and pressure capacity to failure (D/C) of less than one indicates that there is margin to failure. [4T]</p> <p><b>safety margin:</b> A measure of the expected performance of the plant as a system when measured against a safety metric and when subjected to a particular threat. Intermediate results include the expected performance of SSCs when subjected to a particular threat and can be defined as the minimum ratio of capacity to demand for SSCs on the success path. [4T]</p> | <p><b>ზღვარი</b></p> <p>კონკრეტული კრიტერიუმის ან საზომის მიმართ მოსალოდნელი მუშაობის ხარისხის შეფასების ფარდობითი ზომა. ის შეიძლება გაიზომოს და გამოიხატოს დეტერმინისტულად და ალბათურად. ზღვარის ერთი ზომა შეიძლება იყოს შესაძლებლობას და ათვისებას შორის ფარდობა. მაგალითად, სტრუქტურული ელემენტის შემთხვევაში, თუ თანაფარდობა აფეთქების მოთხოვნილ წნევასა და რეალურ წნევას (D/C) შორის 1-ზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ გადალახულია წარუმატებლობის ზღვარი. [4T]</p> <p><b>უსაფრთხოების ზღვარი:</b> საწარმოს. როგორც სისტემის, მოსალოდნელი მუშაობის ხარისხის შეფასების ზომა, რომელიც იზომება უსაფრთხოების საზომის საშუალებით კონკრეტულ საფრთხისას. შუალედური შედეგები მოიცავს სისტემების, სტრუქტურების და კომპონენტების (სსკ-ს) მოსალოდნელ მუშაობის ხარისხს კონკრეტულ საფრთხის დროს და შეიძლება განისაზღვროს როგორც შესაძლებლობის და მოთხოვნის მინიმალურ თანაფარდობად სსკ-ს წარმატებული მოქმედებისას [4T]</p> |
| <p><b>material balance area (MBA)</b></p> <p>An area in a nuclear facility designated such that: (a) the quantity of nuclear material in each movement into or out of each MBA can be determined; and (b) the physical inventory of nuclear material in each MBA can be determined when necessary, in accordance with specified procedures, in order that the material balance can be established.</p>  | <p><b>მასალის ბალანსის ზონა (მზზ)</b></p> <p>სივრცე ბირთვულ ობიექტზე, რომელიც მონიშნულია ისე, რომ: (ა) შესაძლებელია ბირთვული მასალის ყოველი გადატანის შემთხვევაში მასალის ბალანსის კონკრეტულ სივრცეში შემავალი და სივრციდან გამომავალი ბირთვული მასალის რაოდენობის განსაზღვრა; და (ბ). შესაძლებელია, მასალის ბალანსის განსაზღვრის მიზნით, მასალის ბალანსის კონკრეტულ სივრცეში არსებული ბირთვული მასალის ფიზიკური ინვენტარიზაცია დადგენილი პროცედურების შესაბამისად.</p>   |

|   |   |
|---|---|
|   | <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p>ბირთვული მასალების მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ტერიტორიული ან ადმინისტრაციული პრინციპით განსაზღვრული ზონა, სადაც შესაძლებელია ბირთვული მასალის რაოდენობის განსაზღვრა ყველა სახის გადაადგილების შემთხვევაში მის შიგნით და გარეთ და ბირთვული მასალის ფიზიკური ინვენტარიზაცია, არსებული პროცედურებისა და მეთოდების მიხედვით. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 ნოემბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული გაუფრცვლებლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“)</p> |
| <p><b>minimal cut set</b></p> <p>A smallest set of events sufficient to cause the outcome of a logic model. For a fault tree, a minimal cut set is a smallest set of basic events that will cause the top event to occur. [16T]</p> | <p><b>მოვლენების უმცირესი სიმრავლე</b></p> <p>მოვლენების უმცირესი სიმრავლე, რომელიც საკმარისია ლოგიკური მოდელის შედეგების მისაღებად. შეცდომის მიზეზების ხეზე მოვლენების უმცირესი სიმრავლე წარმოადგენს საწყისი მოვლენების უმცირეს სიმრავლეს, რომელიც გამოიწვევს შეცდომების ხის წვერში განთავსებულ მოვლენას.[16T]</p>   |
| <p><b>national nuclear forensics library</b></p> <p>An administratively organized collection of information on nuclear and other radioactive material produced, used or stored within a State. [2G]</p>                             | <p><b>ბირთვული ექსპერტიზის ეროვნული ინფორმაციის საცავი</b></p> <p>ადმინისტრაციულად ორგანიზებული ინფორმაციის ნაკრები სახელმწიფოს მიერ წარმოებული, გამოყენებული და შენახული ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალის შესახებ. [2G]</p>   |
| <p><b>need to hold</b></p> <p>Rule by which individuals are permitted to have in their physical possession only the information assets that are necessary to conduct their work effectively. [23G]</p>                              | <p><b>მხოლოდ საჭირო ინფორმაციის აქტივების ფლობა</b></p> <p>წესი, რომლის თანახმად დაშვებულია, რომ პირი ფლობდეს მხოლოდ იმ საინფორმაციო აქტივებს, რომლებიც ამ პირის მიერ მისი საქმიანობის ეფექტურად შესასრულებლად არის საჭირო. [23G]</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p><b>need to know</b></p> <p>1. Rule by which individuals, processes, and systems are granted access to only the information, capabilities and assets which are necessary for execution of their authorized functions. [23G]</p> <p>2. A principle under which users, processes and systems are granted access to only the information, capabilities and assets which are necessary for execution of their authorized functions. [17T, 19G f/n]</p> | <p><b>მხოლოდ საჭირო ცოდნის ფლობა</b></p> <p>1. წესი, რომლის თანახმად ხდება პირის, პროცესების და სისტემების დაშვება მხოლოდ იმ ინფორმაციასთან, შესაძლებლობებთან და საშუალებებთან, რომლებიც აუცილებელია მათთვის ავტორიზირებული ფუნქციების შესასრულებლად. [23G]</p> <p>2. პრინციპი, რომლის თანახმად მომხმარებლებს, პროცესებს და სისტემებს აქვთ დაშვება მხოლოდ იმ ინფორმაციასთან, შესაძლებლობებთან და საშუალებებთან, რომლებიც აუცილებელია მათთვის ავტორიზირებული ფუნქციების შესასრულებლად. [17T, 19G f/n]</p> |
| <p><b>[nuclear attribution] -</b></p> <p>[The process of identifying the source of nuclear or radioactive material used in illegal activities, to determine the point of origin and routes of transit involving such material, and ultimately to contribute to the prosecution of those responsible.]</p> <p>! This term was defined in the 2006 version of [2G] but is not used in the current version.</p>   | <p><b>[ბირთვული მიკუთვნება]</b></p> <p>[უკანონო საქმიანობაში გამოყენებული ბირთვული ან რადიოაქტიური მასალის წყაროს იდენტიფიცირების პროცესი, რომლის მიზანია ამგვარი მასალის წარმოშობის ადგილის და ტრანზიტის გზების განსაზღვრა და საბოლოო ჯამში პასუხისმგებელი პირების მიმართ სასამართლო წესით დევნის აღძვრა]</p> <p>! ტერმინის განსაზღვრება მოცემულია 2006 წლის ვერსიაში [2G] და აღარ გამოიყენება ამ ვერსიაში.</p>   |
| <p><b>nuclear facility</b></p> <p>1. A facility (including associated buildings and equipment) in which nuclear material is produced, processed, used, handled, stored or disposed of and for which an authorization or licence is required. [20F, 17T]</p> <p>2. A facility (including associated buildings and equipment) in which nuclear material is produced, processed, used, handled, stored or</p>   | <p><b>ბირთვული ობიექტი</b></p> <p>1. ობიექტი (ასოცირებული შენობები და აპარატურა), რომელშიც ხდება ბირთვული მასალის წარმოება, გადამუშავება, გამოყენება, მოპყრობა, შენახვა და დამარხვა და რომლისთვისაც აუცილებელია ავტორიზაცია ან ლიცენზია. [20F, 17T]</p> <p>2. ობიექტი (მათ შორის, ასოცირებული შენობები და აღჭურვილობა) სადაც ხდება ბირთვული მასალის წარმოება, გადამუშავება, გამოყენება, მოპყრობა,</p>  |

|  |   |
|--|---|
| <p>disposed of and for which a specific licence is required. [13R, 25G, 26G]</p> <p>† The 2005 CPPNM Amendment defines a nuclear facility as a facility (including associated buildings and equipment) in which nuclear material is produced, processed, used, handled, stored or disposed of, if damage to or interference with such facility could lead to the release of significant amounts of radiation or radioactive material.</p> <p>† ICSANT defined a nuclear facility as any nuclear reactor, including reactors installed on vessels, vehicles, aircraft or space objects for use as an energy source in order to propel such vessels, vehicles, aircraft or space objects or for any other purpose; or any plant or conveyance being used for the production, storage, processing or transport of radioactive material.</p> | <p>შენახვა და დამარხვა და რომლისთვისაც აუცილებელია სპეციალური ლიცენზიის ქონა. [13R, 25G, 26G]</p> <p>† 2005 წლის ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის კონვენციის )CPPNM) დამატება განსაზღვრავს ბირთვულ ობიექტს როგორც ობიექტს (მათ შორის, ასოცირებულ შენობებს და აღჭურვილობას), სადაც ხდება ბირთვული მასალის წარმოება, გადამუშავება, გამოყენება, მოპყრობა, შენახვა და დამარხვა, თუ ასეთი ობიექტის დაზიანებას და მასზე ზემოქმედებას შეუძლია რადიაციის ან რადიოაქტიური მასალის დიდი რაოდენობით გარემოში გაშვება.</p> <p>† ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (ICSANT) განსაზღვრავს ბირთვულ ობიექტს როგორც ბირთვულ რეაქტორს, მათ შორის, რეაქტორს, რომელიც განთავსებულია ხომალდზე, სახმელეთო ან საჰაერო ან კოსმოსურ სატრანსპორტო საშუალებაზე და რომლის მიზანია ამგვარი საზღვაო, სახმელეთო, საჰაერო ან კოსმოსური საშუალების გატყორცნა ან სხვა რამ; ან ნებისმიერ საწარმოს ან გადასაზიდ საშუალებას, რომელიც გამოიყენება რადიოაქტიური მასალის წარმოების, შენახვის, გადამუშავების ან ტრანსპორტირებისთვის.</p> |
| <p><b>nuclear forensic interpretation</b></p> <p>1. The process of correlating sample characteristics with existing information on types of material, origins and methods of production of nuclear and other radioactive material, or with previous cases involving similar material. [2G]</p> <p>† This replaces the definition given in the 2006 version of [2G] (“The process of correlating the material characteristics with the production history”).</p>  | <p><b>ბირთვული ექსპერტიზის ინტერპრეტირება</b></p> <p>1. ნიმუშის მახასიათებლების ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის ტიპის, წარმოშობის და მისი წარმოების მეთოდების შესახებ ინფორმაციასთან, ან მსგავსი მასალის გამოყენების წარსულ შემთხვევებთან, კორელაციის პროცესი. [2G]</p> <p>† ეს განსაზღვრება ანაცვლებს 2006 წლის ვერსიაში [2G] მოცემულ განსაზღვრებას („მასალის მახასიათებლების კორელაცია წარმოების ისტორიასთან“).</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p><b>nuclear forensic science or nuclear forensics</b></p> <p>1. A discipline of forensic science involving the examination of nuclear or other radioactive material, or of other evidence that is contaminated with radionuclides, in the context of legal proceedings. [2G]</p> <p>† This replaces the definition given in the 2006 version of [2G] (“The analysis of intercepted illicit nuclear or radioactive material and any associated material to provide evidence for nuclear attribution”).</p>  | <p><b>ბირთვული ექსპერტიზის დისციპლინა ან ბირთვული ექსპერტიზა</b></p> <p>1. ექსპერტიზული დისციპლინა, რომელიც გულისხმობს სასამართლო საქმის წარმოების პროცესში ჩატარებული ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის, ან რადიონუკლიდებით დაბინძურებული სხვა ნივთმტკიცების შემოწმებას. [2G]</p> <p>† ამ განმარტებით ჩანაცვლებულია განმარტება, რომელიც მოცემულია 2006 წლის ვერსიაში [2G] („დაკავებული უკანონო ბირთვული ან რადიოაქტიური მასალის და სხვა მასთან ასოცირებული მასალის ანალიზი ბირთვული მიკუთვნებულობის განსაზღვრისთვის მტკიცებულების მოსაპოვებლად“).</p>   |
| <p><b>nuclear material</b></p> <p>1. Material listed in the table on the categorization of nuclear material, including the material listed in its footnotes, in Section 4 of IAEA Nuclear Security Series No. 13, Nuclear Security Recommendations on Physical Protection of Nuclear Material and Nuclear Facilities (INFCIRC/225/Revision 5). [13R, 14R, 26G] (Table is reproduced below)</p> <p>2. Any material that is either special fissionable material or source material as defined in Article XX of the IAEA Statute. [20F, 15R, 21G, 23G, 24G, 25G]</p> <p>3. Plutonium except that with isotopic concentration exceeding 80% in plutonium-238; uranium-233; uranium enriched in the isotope 235 or 233; uranium containing the mixture of isotopes as occurring in nature other than in the form of ore or ore-residue;</p> | <p><b>ბირთვული მასალა</b></p> <p>1. ბირთვული მასალის კატეგორიზაციის ცხრილში ჩამოთვლილი მასალა, მათ შორის, მასალა, რომელიც მოცემულია მის სქოლიოში, აესს-ის ბირთვული დაცულობის ციკლის N 13-ის ნაწილში 4. „ბირთვული მასალის და ბირთვული ობიექტების ფიზიკური დაცვის შესახებ ბირთვული დაცულობის რეკომენდაციები“ (INFCIRC/225/ვარიანტი 5). [13R, 14R, 26G] (ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ)</p> <p>2. ნებისმიერი მასალა, რომელიც არის ან ხლეჩადი მასალა ან წყარო მასალა, როგორც ეს განსაზღვრულია აესს-ის წესდების მუხლში XX. [20F, 15R, 21G, 23G, 24G, 25G]</p> <p>3. პლუტონიუმი, გარდა პლუტონიუმისა, რომელსაც პლუტონიუმ 238-ში აქვს 80 %-ზე მეტი იზოტოპური კონცენტრაცია, ურანი 233; 235 ან 233 იზოტოპით გამდიდრებული ურანი; ურანი, რომელიც შეიცავს იზოტოპების ნარევს, როგორც ეს ბუნებაში ხდება, გარდა მადნის ან მადნის</p> |

|   |  |
|---|--|
| <p>any material containing one or more of the foregoing. [9G f/n, 12T f/n]</p> <p>‡ This definition is used in the CPPNM and ICSANT.</p> <p>‡ For practical purposes, the three definitions of “nuclear material” all refer to broadly the same range of material.</p>  | <p>ნარჩენების; ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს ნებისმიერ ზემოთ ხსენებულს. [9G f/n, 12T f/n]</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p><i>3’ ურანი 233; ურანი235-ით ან ურანი233-ით გამდიდრებული ურანი; ამ იზოტოპების შემცველი ურანი, რომლის შემადგენლობა ემთხვევა ბუნებრივს, მაგრამ რომელიც არ არის მადანი ან მადნის ნარჩენი; გადარიბებული ურანი; პლუტონიუმი, გარდა პლუტონიუმ 238-ისა, რომელშიც იზოტოპური კონცენტრაცია აღემატება 80%-ს; თორიუმი მეტალური, შენადნობის, სინჯის, ქიმიური მინარევის ან კონცენტრატის სახით ; ნებისმიერი მასალა, რომელიც ხდება ხლეჩადი მის შემადგენლობაში მყოფი იზოტოპების ნეიტრონებთან ურთიერთქმედებისას და რომელიც წარმოქმნის მაიონებელ გამოსხივებას ბირთვული ხლეჩადი პროცესის დროს. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“)</i></p> <p>‡ ამ განმარტებას იყენებს CPPNM და ICSANT</p> <p>‡ პრაქტიკული მიზნებისთვის, „ბირთვული მასალის“ სამივე განმარტება ზოგადად შეეხება ერთი და იგივე რიგის მასალებს.</p> |
| <p><b>nuclear security -</b></p> <p>1. The prevention of, detection of, and response to, criminal or intentional unauthorized acts involving or directed at nuclear material, other radioactive material, associated facilities, or associated activities. [14R, 15R f/n]</p> <p>2. The prevention and detection of and response to, theft, sabotage, unauthorized access, illegal transfer or other malicious acts involving nuclear material, other</p> | <p><b>ბირთვული დაცულობა</b></p> <p>1. ბირთვული მასალის, სხვა რადიოაქტიური მასალის, ასოცირებული ობიექტის ან ასოცირებული საქმიანობის მიმართ კრიმინალური ან განზრახ ჩადენილი არაავტორიზირებული აქტის პრევენცია, დეტექცია და რეაგირება. [14R, 15R f/n]</p> <p>2. ბირთვული მასალის, სხვა რადიოაქტიური ნივთიერებების ან სხვა მათთან ასოცირებულ ობიექტებთან დაკავშირებული ქურდობის, საბოტაჟის, უკანონო გადაცემის ან სხვა ბოროტი</p>   |



|  |   |
|--|---|
| <p>radioactive substances or their associated facilities. [9G f/n, 11G, 12T f/n] It should be noted that 'nuclear security' includes 'physical protection', as that term is understood from consideration of the Physical Protection Objectives and Fundamental Principles, the CPPNM and the Amendment to the CPPNM. [7G f/n]</p> <p>‡ The first part of this definition is taken from GOV/2005/50.</p>   | <p>ზრახვით ჩადენილი აქტის პრევენცია და დეტექცია ან მასზე რეაგირება. [9G f/n, 11G, 12T f/n] უნდა აღინიშნოს, რომ „ბირთვული დაცულობა“ მოიცავს „ფიზიკურ დაცვას“, როგორც ეს ტერმინი არის გაგებული „ფიზიკური დაცვის ამოცანებში და ფუნდამენტურ პრინციპებში“, CPPNM-ში და CPPNM-ის დამატებაში. [7G f/n]</p> <p>‡ ამ განმარტების პირველი ნაწილი აღებულია GOV/2005/50-დან.</p>  |
| <p><b>nuclear security culture</b></p> <p>1. The assembly of characteristics, attitudes and behaviours of individuals, organizations and institutions which serves as a means to support, enhance and sustain nuclear security. [20F, 13R, 14R, 15R, 26G and 4T; 7G without “sustain”]</p> <p>2. The characteristics and attitudes in organizations and of individuals which establish that security issues receive the attention warranted by their significance. [11G]</p> <p>‡ The IAEA Safety Glossary defines safety culture as “The assembly of characteristics and attitudes in organizations and individuals which establishes that, as an overriding priority, protection and safety issues receive the attention warranted by their significance.”</p> | <p><b>ბირთვული დაცულობის კულტურა</b></p> <p>1. ადამიანების, ორგანიზაციების და ინსტიტუტების მახასიათებლების, მიმართებების და ქცევის ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის, გაძლიერების და შენარჩუნების საშუალებას. [20F, 13R, 14R, 15R, 26G and 4T; 7G „შენარჩუნების“ გარეშე]</p> <p>2. ორგანიზაციების და ინდივიდების მახასიათებლები და განწყობები, რომლებიც ადგენენ, რომ დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს მათი მნიშვნელობის შესაბამისი ყურადღება ექცევა. [11G]</p> <p>‡ აესს-ის „უსაფრთხოების ლექსიკონი განსაზღვრავს „უსაფრთხოების კულტურას“ როგორც „ორგანიზაციების და ინდივიდების მახასიათებლების და დამოკიდებულებების (მიმართებების) ერთობლიობას, რომელიც ადგენს, რომ დაცვის და უსაფრთხოების საკითხებს ენიჭებათ მათი მნიშვნელობის შესაბამისი ყურადღება, როგორც უპირატეს პრიორიტეტს.“</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>2' ინდივიდების, ორგანიზაციებისა და უწყებების მახასიათებლების, მიდგომებისა</i></p> |

|   |  |
|---|--|
|   | <p>და ქვეყნის ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ბირთვული უსაფრთხოების მხარდაჭერის, განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალებას. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</p>  |
| <p><b>nuclear security detection architecture</b> nuclear security detection architecture The integrated set of nuclear security systems and measures as defined in the IAEA Nuclear Security Recommendations on Nuclear and Other Radioactive Material out of Regulatory Control [15R] and is based on an appropriate legal and regulatory framework needed to implement the national strategy for the detection nuclear and other radioactive material out of regulatory control. [19G f/n]</p> | <p><b>ბირთვული დაცულობის დეტექციის არქიტექტურა</b></p> <p>აესს-ის ბირთვულ მარეგულირებელ კონტროლს არდაქვემდებარებულ ბირთვულ და სხვა რადიოაქტიურ მასალასთან დაკავშირებულ ბირთვული დაცულობის რეკომენდაციებში განსაზღვრული ბირთვული დაცულობის სისტემების და ზომების ერთობლიობა [15R], რომელიც ეფუძნება შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც საჭიროა რეგულაციას არდაქვემდებარებული ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის დეტექციის ეროვნული სტრატეგიის განსახორციელებლად. [19G f/n]</p> |
| <p><b>nuclear security event</b></p> <p>1. An event that has potential or actual implications for nuclear security that must be addressed. [20F, 15R, 18G, 19G f/n, 21G, 22G, 24G, 26G]</p> <p>2. An event that is assessed as having implications for nuclear security. [13R* , 14R, 19G* f/n]</p> <p>† [19G] refers to this definition (with “physical protection” in</p>   | <p><b>ბირთვული დაცულობის შემთხვევა</b></p> <p>1. შემთხვევა, რომელსაც აქვს ბირთვული დაცულობისთვის პოტენციური ან რეალური იმპლიკაციები, რომლებიც მოითხოვს რეაგირებას. [20F, 15R, 18G, 19G f/n, 21G, 22G, 24G, 26G]</p> <p>2. შემთხვევა, რომელიც შეფასებულია როგორც ბირთვული დაცულობის იმპლიკაციების შემცველი. [13R* , 14R, 19G* f/n]</p>  |

|   |  |
|---|--|
| <p>place of “nuclear security”) as particular to the context of physical protection.</p>  | <p>1 [19G] ეხება განსაზღვრებას (სადაც „ბირთვული დაცულობის“ ნაცვლად არის „ფიზიკური დაცვა“) კონკრეტულად ფიზიკური დაცვის კონტექსტში.</p>  |
| <p><b>nuclear security measures</b></p> <p>1. Measures intended to prevent a threat from completing a malicious act or to detect or respond to nuclear security events. [14R]</p> <p>2. Measures intended to prevent a nuclear security threat from completing criminal or intentional unauthorized acts involving or directed at nuclear material, other radioactive material, associated facilities, or associated activities or to detect or respond to nuclear security events. [20F, 15R, 21G in singular form, 24G]</p> <p>3. Measures intended to prevent a nuclear security threat from completing criminal or intentional unauthorized acts involving or directed at nuclear and other radioactive material, associated facilities, or associated activities or to detect or respond to nuclear security events. [18G]</p> | <p><b>ბირთვული დაცულობის ზომები</b></p> <p>1. ზომები, რომლებიც მიმართულია ბოროტი ზრახვით ჩასადენი აქტის საფრთხის პრევენციაზე ან ბირთვული დაცულობის შემთხვევის დეტექციაზე ან მასზე რეაგირებაზე. [14R]</p> <p>2. ზომები, რომელთა მიზანია ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის, მათთან ასოცირებული ობიექტების ან ასოცირებული აქტივობების გამოყენებით ან მათზე მიმართული კრიმინალური ან წინასწარგანზრახული არავტორიზირებული ქმედებით გამოწვეული, ბირთვული დაცულობისთვის შექმნილი საფრთხის პრევენცია ან ბირთვული დაცულობის შემთხვევის დეტექცია ან მასზე რეაგირება. [20F, 15R, 21G მხოლოდობითში, 24G]</p> <p>3. ზომები, რომელთა მიზანია ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის, მათთან ასოცირებული ობიექტების ან ასოცირებული აქტივობების გამოყენებით ან მათზე მიმართული კრიმინალური ან წინასწარგანზრახული არავტორიზირებული ქმედებით გამოწვეული ბირთვული დაცულობისთვის შექმნილი საფრთხის პრევენცია ან ბირთვული უსაფრთხოების შემთხვევის დეტექცია ან მასზე რეაგირება. [18G]</p> |
| <p><b>nuclear security regime</b></p> <p>1. A regime comprising:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• The legislative and regulatory framework and administrative systems and measures governing the nuclear security of nuclear material, other radioactive</li> </ul>   | <p><b>ბირთვული დაცულობის რეჟიმი</b></p> <p>1. რეჟიმი, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოს და ადმინისტრაციულ სისტემებს და ზომებს, რომლებიც მართავენ ბირთვული მასალის, სხვა რადიოაქტიური მასალის, ასოცირებული ობიექტების და ასოცირებული</li> </ul>   |

|   |   |
|---|---|
| <p>material, associated facilities, and associated activities,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• The institutions and organizations within the State responsible for ensuring the implementation of the legislative and regulatory framework and administrative systems of nuclear security;</li> <li>• Nuclear security systems and nuclear security measures for the prevention of, detection of, and response to, nuclear security events. [20F, 14R, 15R]</li> </ul> <p>2. The nuclear security regime comprises:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• The legislative and regulatory framework and administrative systems and measures governing the nuclear security of nuclear and other radioactive material, associated facilities and associated activities;</li> <li>• The institutions and organizations within the State responsible for ensuring the implementation of the legislative and regulatory framework and administrative systems of nuclear security;</li> <li>• Nuclear security systems and nuclear security measures at the facility level, transport level and activity level for detection of, and response to, nuclear security events. [18G]</li> </ul> | <p>აქტივობების ბირთვულ დაცულობას;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახელმწიფოში მოქმედი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბირთვული დაცულობის საკანონმდებლო, მარეგულირებელი ჩარჩოს და ადმინისტრაციული სისტემების აღსრულების უზრუნველყოფაზე;</li> <li>• ბირთვული დაცულობის სისტემები და ბირთვული დაცულობის ზომები, რომელთა მიზანია ბირთვული დაცულობის შემთხვევების პრევენცია, დეტექცია და მათზე რეაგირება. [20F, 14R, 15R]</li> </ul> <p>2. ბირთვული დაცულობის რეჟიმი მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოს და ადმინისტრაციულ სისტემებს და ზომებს, რომლებიც მართავენ ბირთვული მასალის, სხვა რადიოაქტიური მასალის, ასოცირებული ობიექტების და ასოცირებული აქტივობების ბირთვულ დაცულობას;</li> <li>• სახელმწიფოში მოქმედი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბირთვული დაცულობის საკანონმდებლო მარეგულირებელი ჩარჩოს და ადმინისტრაციული სისტემების აღსრულების უზრუნველყოფაზე;</li> <li>• ბირთვული დაცულობის სისტემები და ზომები ბირთვული საწარმოს, ტრანსპორტის და საქმიანობის დონეზე, რომელთა მიზანია ბირთვული დაცულობის შემთხვევების პრევენცია, დეტექცია და მათზე რეაგირება. [18G]</li> </ul> |
|---|---|

|  |  |
|--|--|
| <p><b>nuclear security system</b></p> <p>An integrated set of nuclear security measures. [20F, 14R, 15R, 18G, 21G, 24G]</p>  | <p><b>ბირთვული დაცულობის სისტემა</b></p> <p>ბირთვული დაცულობის ზომების ერთობლიობა. [20F, 14R, 15R, 18G, 21G, 24G]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>1' ფიზიკური დაცვის ღონისძიებების – პერსონალის, პროცედურებისა და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის 2017 წლის 26 ივნისის მინისტრის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</i></p>   |
| <p><b>nuclear security threat</b></p>  | <p><b>ბირთვული დაცულობის საფრთხე იხ. საფრთხე (threat)</b></p>  |
| <p><b>operational control area</b></p>   | <p><b>ოპერაციული კონტროლის სივრცე იხ. სივრცე (area)</b></p>  |
| <p><b>operator</b></p> <p>1. Any person, organization, or government entity licensed or authorized to undertake the operation of an associated facility or to perform an associated activity. [20F, 26G]</p> <p>2. Any person, organization, or government entity licensed or authorized to undertake the operation of a nuclear facility. [13R, 25G]</p> <p>† Also used in [14R], with “associated facility” in place of “nuclear facility”.</p> <p>3. Any person, organization, or government entity licensed or authorized to undertake the operation of a nuclear facility, an associated facility or an associated activity such as transport of nuclear or other radioactive material. The term therefore includes</p> | <p><b>ოპერატორი</b></p> <p>1. ნებისმიერი პირი, ორგანიზაცია, ან სახელმწიფო უწყება, რომელსაც აქვს ლიცენზია ან უფლებამოსილება, განახორციელოს ასოცირებულ ობიექტის ოპერირება ან აწარმოოს ასოცირებული საქმიანობა. [20F, 26G]</p> <p>2. ნებისმიერი პირი, ორგანიზაცია, ან სახელმწიფო უწყება, რომელსაც აქვს ლიცენზია და უფლებამოსილება, შეასრულოს ოპერაცია ბირთვულ ობიექტზე. [13R, 25G]</p> <p>† ასევე გამოიყენება [14R]-ში, სადაც ტერმინის „ბირთვული ობიექტი“ ნაცვლად გამოყენებულია „ასოცირებული ობიექტი“.</p> <p>3. ნებისმიერი პირი, ორგანიზაცია, ან სახელმწიფო უწყება, რომელსაც აქვს ლიცენზია და უფლებამოსილება, შეასრულოს ოპერაცია ბირთვულ ან მასთან ასოცირებულ ობიექტზე, ან განახორციელოს ასოცირებული საქმიანობა, როგორცაა, ბირთვული და სხვა</p> |

|  |   |
|--|---|
| <p>shippers/consignors and carriers. [19G f/n]</p> <p>4. An entity (person or organization) authorized to operate a nuclear or radiological facility or authorized to use, store or transport nuclear material and/or radioactive material. Such an entity would normally hold a licence or other document of authorization from a competent authority or be contractors of a holder of such an authorization. [8G, 9G f/n]</p> <p>5. Any organization or person applying for authorization or authorized and/or responsible for nuclear, radiation, radioactive waste or transport safety when undertaking activities or in relation to any nuclear facilities or sources of ionizing radiation. This includes, inter alia, private individuals, governmental bodies, consignors or carriers, licensees, hospitals, self-employed persons, etc. [10G, 11G]</p> <p>‡ This is the definition from the IAEA Safety Glossary.</p> | <p>რადიოაქტიური მასალის ტრანსპორტირება. ეს ტერმინი ამის გამო მოიცავს ტვირთის გამგზავნ/მიმღებებს და გადამზიდავებს. [19G f/n]</p> <p>4. პირი (ფიზიკური ან იურიდიული) რომელსაც აქვს უფლებამოსილება, მართოს ბირთვული ან რადიოლოგიური ობიექტი ან უფლებამოსილება, გამოიყენოს, შეინახოს ან გადაიტანოს ბირთვულ მასალა და /ან რადიოაქტიური მასალა. ასეთი პირი, როგორც წესი, უნდა ფლობდეს ლიცენზიას ან უფლებამოსილების დამადასტურებელ სხვა რაიმე დოკუმენტს, რომელიც გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ ან უნდა იყოს ამგვარი უფლებამოსილების მქონე პირის კონტრაქტორი. [8G, 9G f/n]</p> <p>5. ნებისმიერი ორგანიზაცია ან პირი, რომელსაც შეტანილი აქვს განაცხადი ავტორიზაციაზე, ან ავტორიზირებულია და/ან პასუხისმგებელია ბირთვული, რადიაციული, რადიოაქტიური ნარჩენების ან ტრანსპორტის უსაფრთხოებაზე, როდესაც ახორციელებს ბირთვულ ობიექტთან ან მაიონებელი გამოსხივების წყაროსთან დაკავშირებულ საქმიანობას. ეს მოიცავს, სხვათა შორის, კერძო პირებს, სახელმწიფო ორგანოებს, ტვირთის გამგზავნებს ან გადამზიდავებს, ლიცენზიის მფლობელებს, კლინიკებს, თვითდასაქმებულებს და სხვა. [10G, 11G]</p> <p>‡ ეს განსაზღვრება აღებულია აესს-ის უსაფრთხოების ლექსიკონიდან (IAEA Safety Glossary).</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>5' ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც წარდგენილი აქვს განცხადება ან შეტყობინება ამ კანონით რეგულირებადი საქმიანობის განხორციელების უფლების მისაღებად ან მიღებული აქვს ამგვარი უფლება. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“)</i></p> |
|--|---|

|  |  |
|--|--|
| <p><b>other radioactive material</b></p> <p>Any radioactive material that is not nuclear material. [20F, 14R, 23G, 24G]</p>  | <p><b>სხვა რადიოაქტიური მასალა</b></p> <p>ნებისმიერი რადიოაქტიური მასალა, რომელიც არ არის ბირთვული მასალა. [20F, 14R, 23G, 24G]</p>  |
| <p><b>out of regulatory control</b></p>  | <p><b>მარეგულირებელი კონტროლის გარეშე (მიღმა) იხ. მარეგულირებელი კონტროლი (regulatory control)</b></p>   |
| <p><b>outsider</b></p> <p>An adversary other than an insider. [8G]</p>   | <p><b>გარეშე პირი</b></p> <p>დამრღვევი, რომელიც არ არის შიდა დამრღვევი. [8G]</p>   |
| <p><b>performance testing</b></p> <p>Testing of the physical protection measures and the physical protection system to determine whether or not they are implemented as designed; adequate for the proposed natural, industrial and threat environments; and in compliance with established performance requirements. [13R, 26G]</p> | <p><b>მუშაობის ხარისხის ტესტირება</b></p> <p>ფიზიკური დაცვის ზომების და ფიზიკური დაცვის სისტემის ტესტირება, რათა განისაზღვროს, არის თუ არა ის დიზაინის შესაბამისად მოწყობილი; შესაფერისი მისთვის განსაზღვრული ბუნებრივი, საწარმოო და საფრთხის გარემოსთვის; და შეესაბამება თუ არა მუშაობის ხარისხის დადგენილ მოთხოვნებს. [13R, 26G]</p> |
| <p><b>physical barrier</b></p> <p>A fence, wall or similar impediment which provides access delay and complements access control. [13R]</p>  | <p><b>ფიზიკური ბარიერი</b></p> <p>ღობე, კედელი ან მსგავსი შემაფერხებელი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს შეღწევის დაყოვნებას და წარმოადგენს დამატებით ზომას შეღწევის კონტროლისთვის. [13R]</p>   |
| <p><b>physical inventory</b></p>   | <p><b>ფიზიკური ინვენტარიზაცია იხ. ინვენტარიზაცია (inventory)</b></p>   |
| <p><b>physical protection</b></p> <p>1. The nuclear security of nuclear material and nuclear facilities.<br/> ⌘ A footnote in Ref. [13R] effectively defines physical protection in this way. Hence, when the context is clearly nuclear material and nuclear</p>  | <p><b>ფიზიკური დაცვა</b></p> <p>1 ბირთვული მასალის და ბირთვული ობიექტების ბირთვული დაცულობა<br/> ⌘ ამგვარად განსაზღვრავს ფიზიკურ დაცვას. [13R]-ში მოცემული სქოლიო. ამდენად, როდესაც კონტექსტი ამჟღავნებს ბირთვული მასალის ან ბირთვული ინფრასტრუქტურის</p>  |

|  |   |
|--|---|
| <p>facilities, physical protection and nuclear security may be considered synonymous.</p> <p>2. Measures (including structural, technical and administrative protective measures) taken to prevent an adversary from achieving an undesirable consequence (such as radiological sabotage, or the unauthorized removal of nuclear or other radioactive material in use, storage or transport) and to mitigate or minimize the consequences if the adversary initiates such a malicious act. [16T]</p> | <p>არის, ფიზიკური დაცვა და ბირთვული დაცულობა შეიძლება სინონიმებად ჩაითვალოს.</p> <p>2. ზომები (მათ შორის სტრუქტურული, ტექნიკური და ადმინისტრაციული დაცვის ზომები), რომლებიც მიიღება დამრღვევის მიერ არასასურველი შედეგის (როგორცაა, რადიოლოგიური საბოტაჟი, ან გამოყენებაში მყოფი, საცავში მოთავსებული, ტრანსპორტირების პროცესში მყოფი ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის არაავტორიზირებული გატანა) პრევენციისთვის და ასეთი შედეგების შესამსუბუქებლად და შესამცირებლად, თუკი დამრღვევი შეძლებს ბოროტი განზრახვის შესრულებას. [16T]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>2' ავტორიზებულ ობიექტებზე მაიონებელი გამოსხივების წყაროების დაცვის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ბირთვული და რადიოაქტიური მასალების მიტაცების ან უკანონო გადატანის აღკვეთისკენ ან ამ სისტემის მიმართ საბოტაჟის დაუშვებლობისკენ. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“)</i></p> |
| <p><b>physical protection measures</b></p> <p>The personnel, procedures, and equipment that constitute a physical protection system. [13R, 26G]</p>  | <p><b>ფიზიკური დაცვის ზომები</b></p> <p>ფიზიკური დაცვის სისტემის შემადგენელი პერსონალი, პროცედურები და აღჭურვილობა. [13R, 26G]</p>  |
| <p><b>physical protection regime</b></p> <p>A State's regime including:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• the legislative and regulatory framework governing the physical protection of nuclear material and nuclear facilities;</li> <li>• the institutions and organizations within the State responsible for</li> </ul>  | <p><b>ფიზიკური დაცვის რეჟიმი</b></p> <p>სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეჟიმი, რომელიც გულისხმობს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკანონმდებლო და მარეგულირებელსისტემას, რომელიც არეგულირებს ბირთვული მასალის და ბირთვული ობიექტების ფიზიკურ დაცვას;</li> </ul>  |



|  |   |
|--|---|
| <p>ensuring implementation of the legislative and regulatory framework;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• facility and transport physical protection systems. [13R, 26G]</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>• სახელმწიფოში მოქმედ ინსტიტუტებს და ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საკანონმდებლო და მარეგულირებელი სისტემის მუშაობაზე;</li> <li>• ობიექტების და ტრანსპორტის ფიზიკური დაცვის სისტემებს. [13R, 26G]</li> </ul>  |
| <p><b>physical protection system</b></p> <p>An integrated set of physical protection measures intended to prevent the completion of a malicious act. [13R, 26G]</p>  | <p><b>ფიზიკური დაცვის სისტემა</b></p> <p>ფიზიკური დაცვის ზომების ერთობლიობა, რომლის მიზანია ბოროტი ზრახვის აქტის შესრულების პრევენცია. [13R, 26G]</p> <p><b>ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) სისტემა</b> – სამართლებრივი, კვლევითი და საინჟინრო ღონისძიებები, რომელთა მიზანია ბირთვული ტერორიზმის, ბირთვული და რადიოაქტიური მასალების დატაცების ან მათთან არაკანონიერი მოპყრობის თავიდან აცილება. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“)</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p><i>დაცულობის სისტემა – ფიზიკური დაცვის ღონისძიებების – პერსონალის, პროცედურებისა და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</i></p> |
| <p><b>point of [exit or ]entry</b></p> <p>1. An officially designated point of exit or entry is a place on the land border between two States, seaport, international airport or other point where travellers, means of transport, and/or goods are inspected. Often, customs and immigration facilities are</p> | <p><b>შესვლის [ან გასვლის] ადგილი</b></p> <p>1. ოფიციალურად მონიშნული გასვლის ან შესვლის ადგილი არის ორ სახელმწიფოს შორის სახმელეთო საზღვარზე მონიშნული ადგილი, საზღვაო პორტი, საერთაშორისო აეროპორტი, ან სხვა ადგილი, სადაც მგზავრები, სატრანსპორტო საშუალებები,</p>   |

|   |   |
|---|---|
| <p>provided at these points of exit and entry. An undesignated point of exit or entry is any air, land and water crossing point that is not officially designated for travellers and/or goods by the State, such as green borders, sea shores and local airports. [15R, 18G]</p> <p>2. An officially designated place on the land border between two States, seaport, international airport or other point where travellers, means of transport and/or goods are inspected. Often, customs and immigration facilities are provided at these POEs. An undesignated POE is any air, land or water crossing point that is not officially designated for travellers and/or goods by the State, such as green borders, sea-shores and local airports. [21G]</p> <p>⌘ See also border crossing point.</p> | <p>და/ან საქონელი გადიან შემოწმებას. ხშირად გასვლის და შემოსვლის ადგილებში არსებობს საბაჟო და საემიგრაციო ინფრასტრუქტურა. არამონიშნული გასვლის ან შემოსვლის ადგილი არის ნებისმიერი საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო გადასაკვეთი წერტილი, რომელიც არ არის ოფიციალურად განსაზღვრული სახელმწიფოს მიერ მგზავრების და/ან საქონლისთვის, მაგ. მწვანე საზღვარი, ზღვის სანაპირო და ადგილობრივი აეროპორტები. [15R, 18G]</p> <p>2. ოფიციალურად მონიშნული გასვლის ან შესვლის ადგილი არის ორ სახელმწიფოს შორის სახმელეთო საზღვარზე მონიშნული ადგილი, საზღვაო პორტი, საერთაშორისო აეროპორტი, ან სხვა ადგილი, სადაც მგზავრები, სატრანსპორტო საშუალებები, და/ან საქონელი გადიან შემოწმებას. გასვლის და შემოსვლის ადგილებში ხშირად არსებობს საბაჟო და საემიგრაციო ინფრასტრუქტურა. არამონიშნული გასვლის ან შემოსვლის ადგილი არის ნებისმიერი საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო გადასაკვეთი წერტილი, რომელიც არ არის ოფიციალურად გამოყოფილი სახელმწიფოს მიერ მგზავრების და/ან საქონლისთვის, მაგ. მწვანე საზღვარი, საზღვაო სანაპირო და ადგილობრივი აეროპორტები. [21G]</p> <p>⌘ იხ. აგრეთვე <b>border crossing point</b></p> |
| <p><b>prevention set</b></p> <p>A smallest set of events that will prevent the outcome of a logic model. For a fault tree, a prevention set is a smallest set of basic events that should be prevented in order to prevent the top event. [16T]</p>   | <p><b>პრევენციული ნაკრები (ერთობლიობა)</b></p> <p>მოვლენების უმცირესი ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ლოგიკური მოდელის შედეგის პრევენციას. მიზეზების ხის შემთხვევაში, პრევენციული ერთობლიობა არის საბაზისო მოვლენების უმცირესი ნაკრები, რომელთა პრევენციაც აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს მიზეზების ხის წვერზე აღნიშნული საბოლოო შედეგის თავიდან აცილება. [16T]</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p><b>probabilistic safety assessment</b></p> <p>A comprehensive, structured approach to identifying failure scenarios, constituting a conceptual and mathematical tool for deriving numerical estimates of risk. [16T]</p> <p>‡ This definition is from the IAEA Safety Glossary.</p> | <p><b>უსაფრთხოების ალბათური შეფასება (ალბათური მეთოდი)</b></p> <p>სრულფასოვანი, სტრუქტურირებული მიდგომა წარუმატებელი სცენარების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც წარმოადგენს კონცეპტუალურ და მათემატიკურ ინსტრუმენტს რისკის რაოდენობრივი შეფასების მისაღებად. [16T]</p> <p>‡ განსაზღვრება მოცემულია აესს-ის უსაფრთხოების ლექსიკონში</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>ალბათური მეთოდი - ანალიზის მეთოდი, რომლის დროს განიხილება მაღალი ალბათობის შეთხვევა, რომელსაც გარკვეული გავლენა შეიძლება ჰქონდეს განხორციელებულ საქმიანობაზე და მათემატიკური გათვლებით განისაზღვრება ამ შემთხვევის მოხდენის შედეგები. (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 მარტის N123 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „ძირითადი მოთხოვნები რადიოაქტიური ნარჩენების საცავის უსაფრთხოების შეფასებისადმი“</i></p> |
| <p><b>protected area</b></p>   | <p><b>დაცული სივრცე იხ. სივრცე (area)</b></p>  |
| <p><b>radiation exposure device</b></p>  | <p><b>რადიაციული დასხივების მოწყობილობა იხ. მოწყობილობა (device)</b></p>   |
| <p><b>radiation search</b></p> <p>The set of activities to detect, and identify suspicious nuclear or other radioactive material out of regulatory control and to determine its location. [15R, 18G, 21G]</p>  | <p><b>რადიაციის ძიება</b></p> <p>ქმედებების ერთობლიობა მარეგულირებელი კონტროლის მიღმა მყოფი საეჭვო ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის დეტექციის და იდენტიფიცირებისთვის, და ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის. [15R, 18G, 21G]</p>  |
| <p><b>radiation survey</b></p> <p>Activities to map the radiation background of natural and human made radioactive material in an area or to facilitate later search activities. [15R, 18G, 21G]</p>   | <p><b>რადიაციული მოძიება</b></p> <p>ქმედებები, რომელთა მიზანია კონკრეტულ სივრცეში არსებული ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი რადიოაქტიური მასალების რადიაციული ფონის რუკის</p>  |

|  |   |
|--|---|
| <p>! The term “radiological survey” is defined in the IAEA Safety Glossary as “An evaluation of the radiological conditions and potential hazards associated with the production, use, transfer, release, disposal or presence of radioactive material or other sources of radiation.”</p>   | <p>შედგენა და შემდგომი მოძიების საქმიანობის ხელის შეწყობა.<br/>! ტერმინი „რადიაციული მოძიება“ განსაზღვრულია აესს-ის უსაფრთხეობის ლექსიკონში როგორც „რადიოაქტიური მასალის და რადიაციის სხვა წყაროების წარმოებასთან, გამოყენებასთან, გადატანასთან, გამოთავისუფლებასთან, დამარხვასთან და არსებობასთან ასოცირებული რადიოლოგიური პირობების და პოტენციური რისკების შეფასება.“</p>   |
| <p><b>radioactive material</b></p> <p>1. Any material designated in national law, regulation, or by a regulatory body as being subject to regulatory control because of its radioactivity. [9G f/n, 14R, 15R, 21G, 23G]<br/>In the absence of such a designation by a State, any material for which protection is required by the current version of the International Basic Safety Standards. [20F, 24G]</p> <p>2. Nuclear material and other radioactive substances which contain nuclides which undergo spontaneous disintegration (a process accompanied by emission of one or more types of ionising radiation, such as alpha-, beta-, neutron particles and gamma rays) and which may, owing to their radiological and fissile properties, cause death, serious bodily injury, or substantial damage to property or to the environment. [12T f/n]</p> <p>† This definition is used in the ICSANT.</p> <p>3. Nuclear material, as defined in the CPPNM; radioactive sources, as defined in the Code of Conduct for the Safety and Security of Radioactive Sources and other radioactive substances containing nuclides which undergo spontaneous disintegration (a process accompanied by the emission of one or more types of ionizing radiation, such as alpha and beta particles, neutrons and gamma rays). [7G f/n]</p> | <p><b>რადიოაქტიური მასალა</b></p> <p>1. ნებისმიერი მასალა, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით, მარეგულირებელი აქტით ან მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებით ექვემდებარება მარეგულირებელ კონტროლს მისი რადიოაქტიურობის გამო. [9G f/n, 14R, 15R, 21G, 23G]. თუ ეს არაა განსაზღვრული სახელმწიფოს მიერ, მაშინ ნებისმიერი მასალა, რომლის დაცვაც მოთხოვნილია საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების (International Basic Safety Standards) მოქმედი ვერსიით. [20F, 24G]</p> <p>2. ბირთვული მასალა ან სხვა რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც შეიცავს ნუკლიდებს, რომლებიც განიცდიან სპონტანურ დაშლას (პროცესი, რომელსაც თან ახლავს ერთი ან მეტი ტიპის მაიონებელი გამოსხივება, როგორცაა ალფა, ბეტა, ნეიტრონების ნაწილაკების ემისია და გამა სხივები) და რომლებმაც თავიანთი რადიოლოგიური და ხლექადი თვისებების გამო შეიძლება გამოიწვიონ სიკვდილი, სხეულის დაზიანება, ან საკუთრების ან გარემოს ზიანი. [12T f/n]</p> <p>† განსაზღვრება მოცემულია ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის საერთაშორისო კონვენციაში (ICSANT).</p> <p>3. ბირთვული მასალა, როგორც განსაზღვრულია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის კონვენციაში (CPPNM); რადიოაქტიური წყარო, როგორც განსაზღვრულია რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოების და დაცულობის ქცევის</p> |

|   |  |
|---|--|
|   | <p>კოდექსში და სხვა რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც შეიცავს ნუკლიდებს, რომლებიც განიცდიან სპონტანურ დაშლას (პროცესი, რომელსაც თან ახლავს ერთი ან მეტი ტიპის მაიონებელი გამოსხივება, როგორცაა ალფა, ბეტა, ნეიტრონების ნაწილაკების ემისია და გამა სხივები). [7G f/n]</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p><i>ქართული კანონმდებლობა რადიოაქტიურ მასალას, წყაროს და ნივთიერებას აძლევს ერთ განმარტებას იხ. რადიოაქტიური ნივთიერება</i></p>   |
| <p><b>radioactive source</b></p> <p>1. Radioactive material that is permanently sealed in a capsule or closely bonded, in a solid form and which is not exempt from regulatory control. [9G f/n] It also means any radioactive material released if the radioactive source is leaking or broken, but does not mean material encapsulated for disposal, or nuclear material within the nuclear fuel cycles of research and power reactors. [11G, 12T f/n, 14R]</p> <p>† The full definition is from the Code of Conduct.</p> <p>2.A means of containment of radioactive material such that the radioactive material remains protected in a leaktight capsule but the radiation is allowed to be emitted for its intended purpose. Also known as a sealed source or source. Radioactive sources are manufactured in accordance with international law for integrity. [5T]</p> | <p><b>რადიოაქტიური წყარო</b></p> <p>1. რადიოაქტიური მასალა დალუქული ან მჭიდროდ ჩამაგრებული კაფსულაში, მყარ მდგომარეობაში, და რომელიც ექვემდებარება მარეგულირებელ კონტროლს. [9G f/n] ის აგრეთვე გულისხმობს გარემოში გაშვებულ ნებისმიერ რადიოაქტიურ მასალას, თუ რადიოაქტიური წყარო დაზიანებულია ან ჟონავს, მაგრამ არ გულისხმობს დასამარხად კაფსულირებულ მასალას, ან კვლევითი ბირთვული რეაქტორების და ატომური ელექტროსადგურების ბირთვული საწვავის ციკლის პროცესში მყოფ ბირთვულ მასალას.</p> <p>† სრული განსაზღვრება გადმოტანილია ქცევის კოდექსიდან (Code of Conduct)</p> <p>2. რადიოაქტიური მასალის დახურვის საშუალება, როდესაც რადიოაქტიური მასალა რჩება მჭიდრო კაფსულაში და დაცულია გაჟონვის შესაძლებლობისაგან, თუმცა დაშვებულია მაიონებელი გამოსხივების გამოშვება დაგეგმილი მიზნით. ასევე ცნობილია როგორც დახურული წყარო ან წყარო. რადიოაქტიური წყაროები დამზადებულია მთლიანობის (ურღვევობის) შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. [5T]</p> |

|   |   |
|---|---|
| <p><b>radioactive substance</b></p> <p>! Stated or implied in some Nuclear Security Series publications (e.g. Refs [13R] and [14R]) to be synonymous with radioactive material, in order to confirm consistency with the 2005 CPPNM Amendment. In contexts related to the CPPNM Amendment, the terms are synonymous, but in general they may have different meanings – see the entry in the IAEA Safety Glossary.</p> | <p><b>რადიოაქტიური ნივთიერება</b></p> <p>! გამოყენებული ან ნაგულისხმევია ბირთვული დაცულობის ციკლის ზოგიერთ პუბლიკაციაში (მაგ. Refs [13R] და [14R]) როგორც რადიოაქტიური მასალის სინონიმი 2005 წლის ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის კონვენციის (CPPNM) დამატებასთან შესაბამისობის მიზნით. CPPNM-ის დამატებასთან დაკავშირებულ კონტექსტში ეს ტერმინები სინონიმებია, მაგრამ ზოგადად მათ შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეთ – იხ. აესს-ის უსაფრთხოების ლექსიკონი.</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p><i>ნივთიერება (რადიოაქტიური წყარო ან მასალა), რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არის მაიონებელი გამოსხივების წყარო. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“)</i></p> |
| <p><b>radiochronometry</b></p> <p>The use of measurements of radioactive decay products in a sample of material to determine the time elapsed since the last separation of progeny from the parent material (and thus, the ‘age’ of the material in the measured sample). [2G]</p>  | <p><b>რადიოქრონომეტრია</b></p> <p>რადიოაქტიური დაშლის პროდუქტების გაზომვები მასალის ნიმუშში იმ დროის გამოსათვლელად, რომელიც გადის საწყისი მასალის შვილობილის სრულ გამოყოფამდე. (და, ამდენად, მოცემულ ნიმუშში მასალის „ასაკის“ განსასაზღვრავად)</p>  |
| <p><b>radiological assessor</b></p> <p>A person who, at a radiological crime scene, assists by performing radiation surveys, performing dose assessments, assisting with the control of radionuclide contamination, ensuring the radiation protection of crime scene personnel and formulating recommendations on protective actions. [22G]</p>   | <p><b>რადიოლოგიური შემფასებელი</b></p> <p>პირი, რომელიც რადიოლოგიური დანაშაულის ადგილზე აწარმოებს რადიოლოგიურ კვლევას, აწარმოებს დოზის შეფასებას, მონაწილეობს რადიონუკლიდური დაბინძურების კონტროლში და უზრუნველყოფს დანაშაულის ადგილზე პერსონალის დაცვას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დამცავი ზომების შესახებ. [22G]</p>   |

|   |   |
|---|---|
| <p><b>radiological crime scene</b></p>  | <p>რადიოლოგიური დანაშაულის ადგილი იხ. დანაშაულის ადაგილი ( <b>crime scene</b>)</p>  |
| <p><b>radiological dispersal device</b></p>   | <p>რადიოლოგიური გამფრქვევი მოწყობილობა იხ. მოწყობილობა (<b>device</b>)</p>  |
| <p><b>regulatory authority</b></p> <p>1 May be used, with definition 1 of regulatory body, to avoid confusion in nuclear security contexts in which the term regulatory body might be assumed by readers to imply only the regulatory body for safety. (See, for example, [19G])</p>  | <p><b>მარეგულირებელი ორგანო</b></p> <p>1 შეიძლება გამოყენებული იყოს მარეგულირებელი ორგანოს (<b>regulatory body</b>) „1“ განსაზღვრებით, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობა ბირთვული დაცულობის კონტექსტებში, სადაც მკითხველმა მარეგულირებელი ორგანო შეიძლება აღიქვას უსაფრთხოების მარეგულირებელ ორგანოდ (იხ. მაგ., [19G])</p>  |
| <p><b>regulatory body</b></p> <p>1. One or more authorities designated by the government of a State as having legal authority for conducting the regulatory process, including issuing authorizations. [20F]<br/>2. An organization designated by a national government as having legal authority for regulating nuclear, radiation, radioactive waste and transport safety. [5T]</p>   | <p><b>მარეგულირებელი ორგანო</b></p> <p>1. ერთი ან მეტი ორგანო, რომელსაც სახელმწიფოს მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს სამართლებრივი უფლებამოსილება მარეგულირებელი პროცესების განსახორციელებლად, ავტორიზაციის ჩათვლით [20F]<br/>2. ორგანიზაცია, რომელსაც ეროვნული მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს ბირთვული, რადიაციული, რადიოაქტიური ნარჩენების და ტრანსპორტის უსაფრთხოების რეგულირების სამართლებრივი უფლებამოსილება. [5T]</p>   |
| <p><b>regulatory control</b></p> <p>1. Any form of institutional control applied to nuclear material or other radioactive material, associated facilities, or associated activities by any competent authority as required by the legislative and regulatory provisions related to safety, security, or safeguards. Explanation: The phrase ‘out of regulatory control’ is used to describe a situation where nuclear or other radioactive material is present in sufficient quantity that it</p> | <p><b>მარეგულირებელი კონტროლი</b></p> <p>1, ინსტიტუციური კონტროლის ნებისმიერი ფორმა, რომელიც გამოიყენება ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის, ასოცირებული ობიექტის ან ასოცირებული საქმიანობის მიმართ ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს მიერ სამართლებრივი და მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად, რომლებიც შეეხება უსაფრთხოებას, დაცულობას და ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებს. განმარტება: ტერმინი „მარეგულირებელი კონტროლის გარეშე“ გამოიყენება ისეთი</p> |

should be under regulatory control, but control is absent, either because controls have failed for some , or they never existed. [20F, 15R, 21G, 22G, 24G]

2. Any form of institutional control applied to nuclear material or other radioactive material, associated facilities, or associated activities by any competent authority as required by the legislative and regulatory provisions related to safety, security, or safeguards. Explanation: The phrase ‘out of regulatory control’ is used to describe a situation where nuclear or other radioactive material is present without an appropriate authorization, either because controls have failed for some reason, or they never existed. [14R, 19G f/n]

**! out of regulatory control** refers to the absence of the direct control over material by an authorized person that is or would be mandated by regulatory control for such material. Material might therefore be designated as out of regulatory control even when some aspects of regulatory control are in place. response All of the activities by a State that involve assessing and responding to a nuclear security event. [15R, 18G, 19G, 21G]  
! In safety, “response” normally refers to response to a nuclear or radiological emergency, i.e. to the consequences for the safety of people and the environment of an accident or a nuclear security event. In security, “response” normally refers to response to a nuclear security event itself, including identifying, pursuing and interdicting the cause of the event.

სიტუაციის აღსაწერად, რომელშიც ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალა არსებობს იმ რაოდენობით, რომ მასზე უნდა დაწესდეს მარეგულირებელი კონტროლი, მაგრამ კონტროლი არ არსებობს, რადგან კონტროლი წარუმატებელია რაიმე მიზეზის გამო ან ის საერთოდ არ არსებობდა. [20F, 15R, 21G, 22G, 24G]

2. ინსტიტუციური კონტროლის ნებისმიერი ფორმა, რომელიც გამოიყენება ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის, ასოცირებული ობიექტის ან ასოცირებული საქმიანობის მიმართ ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს მიერ, როგორც ამას მოითხოვს სამართლებრივი და მარეგულირებელი დებულებები, რომლებიც შეეხება უსაფრთხოებას, დაცულობას და ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებს. განმარტება: ფრაზა **მარეგულირებელი კონტროლის მიღმა**“ გამოიყენება ისეთი სიტუაციის აღსაწერად, რომელშიც ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალა არსებობს სათანადო ავტორიზაციის მიღმა, რადგან კონტროლი წარუმატებელია რაიმე მიზეზის გამო ან ის საერთოდ არ არსებობდა. [15R, 18G, 19G, 21G]

! უსაფრთხოების კონტექსტში, „რეაგირება“, როგორც წესი, შეეხება რეაგირებას საგანგებო ბირთვულ ან რადიოლოგიურ სიტუაციაზე ანუ მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოებისთვის რადიაციული ავარიის ან ბირთვული შემთხვევის შედეგებზე. დაცულობის კონტექსტში „რეაგირება“ ჩვეულებრივ შეეხება რეაგირებას თვითონ ბირთვული უსაფრთხოების მოვლენაზე, რაც გულისხმობს, სხვათა შორის, მოვლენის მიზეზების იდენტიფიცირებას, გამოკვლევა-ზემოქმედებას და გაუვნებელყოფას.

ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:

2' მარეგულირებელი ორგანოს მიერ ბირთვული და რადიაციული ობიექტების ან საქმიანობის კონტროლისა და რეგულირების



|  |  |
|--|--|
|  | <p><i>ნებისმიერი ფორმა, რომლის მიზანია მაიონებელი გამოსხივებისაგან დაცვის ან/და რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოების და დაცულობის არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“)</i></p>  |
| <p><b>response forces</b></p> <p>Persons, on-site or off-site, who are armed and appropriately equipped and trained to counter an attempted unauthorized removal or an act of sabotage. [13R, 26G]</p> | <p><b>რეაგირების ძალები</b></p> <p>ადგილობრივი და გარეშე პირები, რომლებიც აღჭურვილი და მომზადებული არიან, შეეწინააღმდეგონ არაავტორიზირებულ გატანას ან საზოტაჟის აქტს. [13R, 26G]</p>   |
| <p><b>response measure</b></p> <p>A measure intended to assess an alarm/alert and to respond to a nuclear security event. [15R, 18G, 21G, 22G]</p>   | <p><b>რეაგირების ზომა</b></p> <p>ზომა, რომლითაც ხდება განგაშის/გაფრთხილების შეფასება და ბირთვული დაცულობის შემთხვევაზე რეაგირება. [15R, 18G, 21G, 22G]</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p><i>რეაგირება – დაცულობის ფუნქცია, რომელიც მოიცავს უკანონო ქმედების აღმოჩენის შემდეგ ოპერატორის პერსონალის, დაცვის სამსახურისა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირების ქმედებათა ერთობლიობას და რომლის მიზანია უკანონო ქმედების ჩამდენი პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება და შესაძლო რადიოლოგიური შედეგების შემცირება(საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“).</i></p> |

|   |  |
|---|--|
| <p><b>response system</b></p> <p>An integrated set of response measures including capabilities and resources necessary for assessing the alarms/alerts and response to a nuclear security event. [15R, 21G, 22G]</p>  | <p><b>რეაგირების სისტემა</b></p> <p>რეაგირების ზომების ერთობლიობა, მათ შორის, განგაშის/გაფრთხილების შეფასების და ბირთვული დაცულობის შემთხვევაზე რეაგირებისთვის საჭირო შესაძლებლობები და რესურსები, [15R, 21G, 22G]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>რადიაციული ავარიებისთვის მზადყოფნა და მათზე რეაგირება</i><br/> <i>პოტენციურ ბირთვულ და რადიაციულ ავარიებზე რეაგირებისათვის მზადყოფნის, ამგვარი ავარიების მოხდენისას მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 4, პუნქტი „თ“)</i></p>  |
| <p><b>risk</b></p> <p>1. The potential for an unwanted outcome resulting from a nuclear security event as determined by its likelihood and the associated consequences. [24G]~</p> <p>2. The potential that a given threat will exploit the vulnerabilities of an asset, or group of assets, and thereby cause harm to the organization. It is measured in terms of a combination of the likelihood of an event and the severity of its consequences. [17T]</p> | <p><b>რისკი</b></p> <p>1. ბირთვული დაცულობის შემთხვევის არასასურველი შედეგის პოტენციური შესაძლებლობა, რაც განისაზღვრება მისი მოხდენის ალბათობით და მასთან დაკავშირებული შედეგებით. [24G]</p> <p>2. პოტენციური შესაძლებლობა იმისა, რომ მოცემული საფრთხე გამოიყენებს აქტივის, ან აქტივების ჯგუფის სისუსტეებს და, ამდენად, ზიანს მიაყენებს ორგანიზაციას. მისი გაზომვა ხდება შემთხვევის ალბათობის და მისი მოსალოდნელი შედეგების სიმწვავის ერთობლივად შეფასებით. [17T]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>2' საფრთხის, საშიშროების, არსებული ან პოტენციური დასხივების შედეგად წარმოქმნილი მავნე შედეგების ალბათობა. (საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“).</i></p> |

|   |  |
|---|--|
| <p><b>risk assessment</b></p> <p>1. The overall process of systematically identifying, estimating, analysing and evaluating risk for the purpose of informing priorities, developing or comparing courses of action, and informing decision making. [24G]</p> <p>2. Overall process of systematically identifying, estimating, analysing and evaluating risk. [17T]</p>   | <p><b>რისკის შეფასება</b></p> <p>1. რისკის სისტემატური იდენტიფიცირების, გათვლის, გაანალიზების და შეფასების ერთიანი პროცესი, რომლის მიზანია პრიორიტეტების შეტყობინება, ქმედებების თანამიმდევრობის შემუშავება და შედარება და გადაწყვეტილებების მიღებისთვის მომზადება. [24G]</p> <p>2. რისკის სისტემატური იდენტიფიცირების, გათვლის, გაანალიზების და შეფასების ერთიანი პროცესი. [17T]</p>  |
| <p><b>sabotage</b></p> <p>1. Any deliberate act directed against a nuclear facility or nuclear material in use, storage or transport which could directly or indirectly endanger the health and safety of personnel, the public or the environment by exposure to radiation or release of radioactive substances. [13R, 26G, 16T]</p> <p>! This definition of sabotage is of a technical nature and does not aim to provide a definition for the purpose of criminal law, such as those provided for in the relevant international instruments or national law of States. [13R]</p> <p>‡ The definition in [13R] is the same as that in the 2005 CPPNM Amendment.</p> <p>2. Any deliberate act directed against an associated facility or an associated activity that could directly or indirectly endanger the health and safety of personnel, the public, or the environment by exposure to radiation or release of radioactive substances. [14R]</p> <p>3. Any deliberate act directed against a nuclear or radiological facility or nuclear or radioactive material in use, storage or transport that could directly or indirectly endanger the health and safety of personnel, the public and the environment by</p> | <p><b>საბოტაჟი</b></p> <p>1, ნებისმიერი წინასწარგანზრახული აქტი, რომელიც ჩადენილია ბირთვული ობიექტის ან ბირთვული მასალის მიმართ მისი გამოყენების, შენახვის და ტრანსპორტირების პროცესში, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე შეუქმნას პერსონალის, საზოგადოების ან გარემოს ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას მაიონებელი გამოსხივების ზეგავლენით ან რადიოაქტიური ნივთიერებების გაშვებით გარემოში. [13R, 26G, 16T]</p> <p>! საბოტაჟის ეს განსაზღვრება ტექნიკური ხასიათისაა და არ წარმოადგენს განსაზღვრებას სისხლის სამართლის კანონმდებლობის კონტექსტში, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებში ან სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობებში. [13R]</p> <p>‡ განსაზღვრება [13R]-ში იგივე რაც მოცემულია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის კონვენციის (CPPNM) 2005 წლის დამატებაში.</p> <p>2. ნებისმიერი წინასწარგანზრახული აქტი, რომელიც ჩადენილია ასოცირებული ობიექტის ან ასოცირებული საქმიანობის მიმართ, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე შეუქმნას პერსონალის, საზოგადოების ან გარემოს</p> |

|   |   |
|---|---|
| <p>exposure to radiation or release of radioactive substances. [10G, attributed to CPPNM]</p> <p>4. Deliberate damage; sabotage in this context means deliberate damage to a radioactive source in use, storage or transport or to an associated facility. A deliberate act directed against a radioactive source in use, storage or transport could directly or indirectly endanger the health and safety of personnel, the public or the environment by exposure to radiation or release of radioactive material. [11G, “adapted from” INFCIRC/225 Rev 4]</p> <p>5. Deliberate damage; sabotage in this context means deliberate damage to nuclear material or radioactive material in use, storage or transport or to an associated facility. A deliberate act directed against a nuclear facility or radioactive material in use, storage or transport could directly or indirectly endanger the health and safety of personnel, the public or the environment by exposure to radiation or release of radioactive material. [9G f/n, “adapted from” INFCIRC/225 Rev 4]</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• [14R] states in a footnote that radioactive substances and radioactive material have the same meaning.</li> </ul> | <p>ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას მაიონებელი გამოსხივების ზეგავლენით ან რადიოაქტიური ნივთიერებების გარემოში გაშვებით. [14R]</p> <p>3. ნებისმიერი წინასწარგანზრახული აქტი, რომელიც მიმართულია ბირთვული ან რადიაციული ობიექტის მიმართ ან ბირთვული ან რადიოაქტიური მასალის მიმართ მისი გამოყენების, შენახვის და ტრანსპორტირების პროცესში, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე შეუქმნას პერსონალის, საზოგადოების ან გარემოს ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას მაიონებელი გამოსხივების ზეგავლენით ან რადიოაქტიური ნივთიერებების გარემოში გაშვებით. [10G, CPPNM]</p> <p>4. წინასწარგანზრახული ზიანი; საბოტაჟი ამ კონტექსტში ნიშნავს გამოყენების, შენახვის ან ტრანსპორტირების პროცესში მყოფი რადიოაქტიური წყაროს ან ასოცირებული ობიექტის წინასწარგანზრახულ დაზიანებას. ნებისმიერი წინასწარგანზრახული აქტი, რომელიც მიმართულია რადიოაქტიური წყაროს მიმართ მისი გამოყენების, შენახვის და ტრანსპორტირების პროცესში, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე შეუქმნას პერსონალის, საზოგადოების ან გარემოს ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას მაიონებელი გამოსხივების ზეგავლენით ან რადიოაქტიური ნივთიერებების გარემოში გაშვებით. [11G, “ადაპტირებული” INFCIRC/225 Rev 4-დან]</p> <p>5. წინასწარგანზრახული ზიანი; საბოტაჟი ამ კონტექსტში ნიშნავს გამოყენების, შენახვის ან ტრანსპორტირების პროცესში მყოფი ბირთვული ან რადიოაქტიური მასალის ან ასოცირებული ობიექტის წინასწარგანზრახულ დაზიანებას. ნებისმიერი წინასწარგანზრახული აქტი, რომელიც მიმართულია ბირთვული ობიექტის ან რადიოაქტიური მასალის მიმართ მისი გამოყენების, შენახვის და ტრანსპორტირების პროცესში, რომელმაც</p> |
|---|---|

|   |   |
|---|---|
|   | <p>შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე შეუქმნას პერსონალის, საზოგადოების ან გარემოს ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას მაიონებელი გამოსხივების ზეგავლენით ან რადიოაქტიური ნივთიერებების გარემოში გაშვებით. [9G f/n, “ადაპტირებული” INFCIRC/225 Rev 4-დან]</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• [14R] სქოლიოში აზუსტებს, რომ რადიოაქტიურ ნივთიერებას და რადიოაქტიური მასალას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.</li> </ul> |
| <b>sabotage area logic model</b>  | საბოტაჟის სივრცის ლოგიკური მოდელი იხ. ლოგიკური მოდელი.( logic model).   |
| <b>sabotage logic model</b>   | საბოტაჟის ლოგიკური მოდელი იხ. ლოგიკური მოდელი.( logic model).   |
| <p><b>safety alarm</b></p> <p>Acoustic, visual or vibration signal produced when the radiation level exceeds the safety alarm threshold value. [1T]</p>   | <p>უსაფრთხოების განგაში</p> <p>აკუსტიკური, ვიზუალური ან ვიბრაციული სიგნალი, რომელიც წარმოიქმნება, როდესაც რადიაციის დონე აღემატება უსაფრთხოების განგაშის ზღვრის მნიშვნელობას. [1T]</p>  |
| <p><b>safety alarm threshold value</b></p> <p>Absolute ambient dose equivalent rate (or absolute count rate) equivalent to the maximum permissible values (100 <math>\mu\text{Sv h}^{-1}</math> ). Exceeding of the safety alarm threshold requires immediate radiation safety measures. [1T]</p> | <p>უსაფრთხოების განგაშის ზღვრული მნიშვნელობა</p> <p>აბსოლუტური ამბიენტური დოზის ექვივალენტური სიმძლავრე (ან ნაწილაკთა ოდენობა დროის ერთეულში), რომელიც შეესაბამება ზღვრულ დასაშვებ მნიშვნელობებს (100 მკზვ/სთ). ზღვრული მნიშვნელობის გადამეტების შემთხვევაში აუცილებელია რადიაციული უსაფრთხოების გადაუდებელი ზომების მიღება. [1T]</p>   |
| <b>safety margin</b>  | უსაფრთხოების ზღვარი იხ. ზღვარი (margin).  |
| <p><b>scenario</b></p> <p>A postulated or assumed set of conditions and/or events. Most commonly used in analysis or</p>  | <p>სცენარი</p> <p>აღიარებული ან მიღებული პირობების და/ან მოვლენების ერთობლიობა. ყველაზე ხშირად გამოყენებულია ანალიზში და შეფასებაში</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p>assessment to represent possible future conditions and/or events to be modelled, such as possible accidents at a nuclear facility. A scenario may represent the conditions at a single point in time or a single event, or a time history of conditions and/or events (including processes). Safety analysts use accident scenarios to describe and model plant response to potential accidents. An accident scenario, which usually has an initiating event superimposed on a proposed plant configuration, can be used to model system response, including various operator actions as appropriate. [4T]</p> <p><b>threat scenario:</b> A scenario whose initiating event is an act of sabotage. [4T]</p>   | <p>მოდელირებისთვის საჭირო შესაძლო მომავალი პირობების და/ან მოვლენების წარმოსადგენად, როგორცაა შესაძლო ავარია ბირთვულ ობიექტზე. სცენარში შეიძლება წარმოდგენილი იყოს პირობები ერთ მოცემულ დროში ან ერთი ცალკე მოვლენა, ან პირობების ან მოვლენების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა (მათ შორის პროცესების). უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ანალიტიკოსები იყენებენ შემთხვევების სცენარებს პოტენციურ ავარიებზე საწარმოში რეაგირების აღსაწერად და მოდელირებისათვის. ავარიის სცენარი, რომელშიც, როგორც წესი, საწყის (მაპროვოცირებელ) მოვლენას იყენებენ კონკრეტული საწარმოს კონფიგურაციის მიმართ, შეიძლება გამოყენებული იყოს სისტემის რეაგირების მოდელირებისთვის, მათ შორის ოპერატორების სხვადასხვა ქმედების მოდელირებისთვის. [4T]</p> <p><b>საფრთხის სცენარი:</b> სცენარი, რომლის საწყისია საბოტაჟის აქტი [4T]</p> |
| <p><b>screening</b></p> <p>A type of analysis aimed at eliminating from further consideration factors that are less significant for protection or safety, in order to concentrate on the more significant factors. This is typically achieved by consideration of very pessimistic hypothetical scenarios. Screening is done in various disciplines using a variety of tools:</p> <p>(a) In threat assessment, screening is used to eliminate certain possible terrorist acts because of, for example, the existence of other State protective strategies, the perceived low capability level of the adversaries, strong protective forces and/or the low probability of the event.</p> <p>(b) Site and plant screening may exclude certain threat scenarios because of, for example, site location or the inherent robustness of the design. [4T]</p> | <p><b>სკრინინგი</b></p> <p>ანალიზის ტიპი, რომლის მიზანია შემდგომი მოსაზრებებიდან იმ ფაქტორების ამორიცხვა, რომლებიც ნაკლებად მნიშვნელოვანია რადიაციული დაცვის და უსაფრთხოებისთვის, რათა მოხდეს ფოკუსირება უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებზე. როგორც წესი, ასეთი ქმედება ხორციელდება ყველაზე პესიმისტური სცენარების გათვალისწინებით. სკრინინგი სხვადასხვა დისციპლინებში სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით ტარდება:</p> <p>(ა) საფრთხის შეფასებისას სკრინინგი გამოიყენება გარკვეული შესაძლო ტერორისტული აქტის აღსაკვეთად, რადგან, მაგალითად, არსებობს სახელმწიფოს სხვა დაცვის სტრატეგიები, რომლებიც გულისხმობს, რომ დამრღვევებს აქვთ სავარაუდოდ დაბალი შესაძლებლობები, არსებობს ძლიერი დამცავი საშუალებები (ძალები) და/ან მოვლენას მოხდენის დაბალი ალბათობით ხასიათდება.</p>                                 |

|  |  |
|--|--|
|  | (ბ) ადგილის და საწარმოს სკრინინგი შეიძლება არ შეიცავდეს გარკვეულ საფრთხის სცენარებს, მაგალითად, ობიექტის ლოკაციის ან დიზაინის სხვა მახასიათებლის სიმძლიერის გამო.  |
| <p><b>security plan</b></p> <p>A document — prepared by the operator and possibly required to be reviewed by the regulatory body — that presents a detailed description of the security arrangements in place at a facility. [11G]</p>   | <p><b>დაცულობის გეგმა</b></p> <p>დოკუმენტი, რომელსაც ამზადებს ოპერატორი და რომელსაც, სავარაუდოდ, განიხილავს მარეგულირებელი ორგანო და რომელიც წარმოადგენს ობიექტზე მოქმედი დაცულობის ღონისძიებების დეტალურ აღწერას. [11G]</p>   |
| <p><b>self-assessment</b></p> <p>Referred to simply as ‘assessment’ in this report, self-assessment is the evaluation process performed by the operating organizations, with the assistance of external agencies and consultants as needed, to identify and correct safety and security problems that hinder the achievement of the organization’s safety and security objectives. The end result of self-assessment activities may be risk reduction strategies that include changes and upgrades to the nuclear facility. This is considered to be the first step of a more formal review (e.g. regulatory review) by an external organization. [4T]</p> | <p><b>თვითშეფასება</b></p> <p>ასევე მოიხსენიება როგორც „შეფასება“ ამ ანგარიშში. თვითშეფასება არის შეფასების პროცესი, რომელსაც ატარებენ ოპერატორი ორგანიზაციები, საჭიროების შემთხვევაში გარე სააგენტოების და კონსულტანტების დახმარებით, უსაფრთხოების და დაცულობის იმ პრობლემების იდენტიფიცირების და გამოსწორების მიზნით, რომლებიც ორგანიზაციის უსაფრთხოების და დაცულობის მიზნების მიღწევას უშლიან ხელს. თვითშეფასების აქტივობების საბოლოო შემდეგი შეიძლება იყოს რისკის შემცირების სტრატეგიები, რომლებიც გულისხმობს ბირთვული ობიექტის ცვლილებებს და განახლებას. ეს ითვლება პირველ ნაბიჯად უფრო ფორმალური განხილვისკენ (მაგ. მარეგულირებლის მხრიდან შემოწმება), რომელსაც გარე ორგანიზაცია ატარებს. [4T]</p> |
| <p><b>sensitive information</b></p> <p>Information, in whatever form, including software, the unauthorized disclosure, modification, alteration, destruction, or denial of use of which could compromise nuclear security. [20F, 15R, 18G, 21G, 23G]</p>   | <p><b>სენსიტიური ინფორმაცია</b></p> <p>ინფორმაცია, წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, კომპიუტერული პროგრამები, რომლის არავტორიზირებულ გამჟღავნებას, მოდიფიკაციას, შეცვლას, დაზიანებას ან რომლის გამოყენების უარყოფასაც შეუძლია მიაყენოს ზიანი ბირთვულ დაცულობას [20F, 15R, 18G, 21G, 23G]</p>  |

|   |  |
|---|--|
| <p><b>sensitive information assets</b></p> <p>Any equipment or components that are used to store, process, control or transmit sensitive information. For example, sensitive information assets include control systems, networks, information systems and any other electronic or physical media. [20F, 23G]</p>   | <p><b>სენსიტიური ინფორმაციის აქტივები</b></p> <p>ნებისმიერი აღჭურვილობა ან მისი შემადგენელი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება სენსიტიური ინფორმაციის შენახვის, გადამუშავების, კონტროლის ან გადაცემისთვის. მაგ., საკონტროლო სისტემები, ქსელები, საინფორმაციო სისტემები და სხვა ელექტრონული ან ფიზიკური საშუალებები. [20F, 23G]</p>   |
| <p><b>shipment</b></p> <p>The specific movement of a consignment (nuclear material) from origin to destination. [26G]</p>   | <p><b>ტვირთის გაგზავნა</b></p> <p>(ბირთვული მასალის) ტვირთის კონკრეტული მოძრაობა თავდაპირველი ადგილიდან მის დანიშნულების ადგილამდე, [26G]</p>  |
| <p><b>shipper</b></p> <p>1. Any person, organization or government that prepares or offers a consignment of nuclear material for transport (i.e. the consignor). [13R, 26G]</p> <p>2. Any person, organization or government that prepares or offers a consignment of radioactive material for transport (i.e. the consignor). [14R]</p> <p>† The term shipper is used in security in relation to the transport of nuclear material, whereas consignor is used in safety and security in the context of radioactive material.</p> | <p><b>ტვირთვის გამგზავნი</b></p> <p>1. ნებისმიერი პირი, ორგანიზაცია ან მთავრობა, რომელიც გაგზავნისთვის ამზადებს ბირთვულ მასალას ან სთავაზობს ამგვარ მომზადებას. (ანუ the consignor). [13R, 26G]</p> <p>2. ნებისმიერი პირი, ორგანიზაცია ან მთავრობა, რომელიც ტრანსპორტირებისთვის ამზადებს რადიოაქტიურ მასალას ან სთავაზობს ასეთ მომზადებას. (ანუ the consignor). [14R]</p> <p>† ეს ტერმინი გამოიყენება დაცულობის კონტექსტში ბირთვული მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში, ხოლო ტერმინი ტვირთგამგზავნი (consignor) გამოიყენება რადიოაქტიური მასალის შემთხვევაში უსაფრთხოების და დაცულობის კონტექსტში.</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>2' ტვირთის გადამზიდავი ოპერატორი – „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ავტორიზაციის მქონე ფიზიკური ან</i></p> |



|  |  |
|--|--|
|  | <p>იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ტრანსპორტირება. (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის N305 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესი“)</p>   |
| <p><b>sigma multiplier</b></p> <p>The net signal count rate above background divided by the square root of the background count rate. [1T f/n]</p>   | <p><b>სიგმა მამრავლი</b></p> <p>სიგნალის თვლის სიჩქარე ფონზე ზემოთ, გაყოფილი კვადრატულ ფესვზე ფონური თვლის სიჩქარიდან [1T f/n]</p>   |
| <p><b>signature</b></p> <p>A characteristic or a set of characteristics of a given sample that enables that sample to be compared with reference materials. [2G]</p>   | <p><b>ხელმოწერა</b></p> <p>მოცემული ნიმუშის მახასიათებელი ან მახასიათებელთა ერთობლიობა, რომელიც ნიმუშის სარეფერენციო მასალებთან შედარების საშუალება იძლევა. [2G]</p>   |
| <p><b>social engineering</b></p> <p>A non-technical form of information gathering or attack that relies on human interaction to manipulate people into inadvertently breaking security procedures, for example disclosing information or performing other actions with a security impact. [17T]</p>  | <p><b>სოციალური ინჟინერია</b></p> <p>ინფორმაციის შეგროვების ან შეტევის არატექნიკური ფორმა, რომელიც ეყრდნობა ადამიანის ჩარევას იმ მიზნით, რომ მოახდინოს ადამიანების მანიპულირება, რათა მათ შემთხვევით დაარღვიონ დაცულობის პროცედურები, მაგალითად, გაამჟღავნონ ინფორმაცია ან განახორციელონ სხვა ქმედება, რომელსაც გავლენა ექნება დაცულობაზე.</p>                                       |
| <p><b>source material</b></p> <p>Uranium containing the mixture of isotopes occurring in nature; uranium depleted in the isotope 235; thorium; any of the foregoing in the form of metal, alloy, chemical compound, or concentrate; any other material containing one or more of the foregoing in such concentration as the Board of Governors shall from time to time determine; and such other</p> | <p><b>წყარო მასალა</b></p> <p>ბუნებაში არსებული ურანის იზოტოპების ნარევი; იზოტოპ 235-ით გაღარიბებული ურანი; თორიუმი; ნებისმიერი ზემოთხსენებული, რომელიც წარმოდგენილია ლითონის, შენადნობის, ქიმიური ნაერთის, ან კონცენტრატის სახით; ნებისმიერი სხვა მასალა, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ზემოთხსენებულს იმ კონცენტრაციით, რომელზეც პერიოდულ გადაწყვეტილებას იღებს აესს-ის მმართველი</p> |

|   |   |
|---|---|
| <p>material as the Board of Governors shall from time to time determine; but not including ore or ore residue. [20F]</p> <p>† Taken from the IAEA Statute, as amended by INFCIRC/153.</p>   | <p>საბჭო (Board of Governors); და სხვა მასალა, რომელზე გადაწყვეტილებასაც იღებს აესს-ის მმართველი საბჭო (Board of Governors) დროდადრო, მაგრამ არ გულისხმობს მადანს ან მადნის ნარჩენს.</p> <p>† აღებულია აესს-ის წესდებიდან, შესწორებული INFCIRC/153-ით.</p>  |
| <p><b>source term</b></p> <p>The amount and isotopic composition of radioactive material released (or postulated to be released) following sabotage. [26G]</p>  | <p><b>წყაროს მონაცემები</b></p> <p>საბოტაჟის შედეგად გარემოში გაშვებული (ან სავარაუდოდ გაშვებული) რადიოაქტიური მასალის ოდენობა და იზოტოპური შემადგენლობა. [26G]</p>   |
| <p><b>special fissionable material</b></p> <p>Plutonium-239; uranium- 233; uranium enriched in the isotopes 235 or 233; any material containing one or more of the foregoing; and such other fissionable material as the Board of Governors shall from time to time determine; but not including source material. [20F]</p> <p>† Taken from the IAEA Statute.</p> | <p><b>სპეციალური ხლეჩადი მასალა</b></p> <p>პლუტონიუმი-239; ურანი-233; ურანი გამდიდრებული იზოტოპებით 235 და 233; ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს რომელიმე ზემოთხსენებულს; და სხვა ხლეჩადი მასალა, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს აესს-ის მმართველი საბჭო (Board of Governors) პერიოდულად; მაგრამ არა წყარო მასალა. [20F]</p> <p>† აღებულია აესს-ის წესდებიდან</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>ურანი 233; ურანი235-ით ან ურანი 233-ით გამდიდრებული ურანი; ამ იზოტოპების შემცველი ურანი, რომლის შემადგენლობა ემთხვევა ბუნებრივს, მაგრამ რომელიც არ არის მადანი ან მადნის ნარჩენი; გადარიბებული ურანი; პლუტონიუმი, გარდა პლუტონიუმ 238-ისა, რომელშიც იზოტოპური კონცენტრაცია აღემატება 80%-ს; თორიუმი მეტალური, შენადნობის, სინჯის, ქიმიური მინარევის ან კონცენტრატის სახით ; ნებისმიერი მასალა, რომელიც ხდება ხლეჩადი მის შემადგენლობაში მყოფი იზოტოპების ნეიტრონებთან ურთიერთქმედებისას და რომელიც წარმოქმნის მაიონებელ გამოსხივებას ბირთვული ხლეჩადი პროცესის დროს.</i></p> |

|  |   |
|--|---|
|  | <i>(საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“) საქართველოს კანონმდებლობა აიგივეს ბირთვულ და ხლეჩად მასალებს.</i>   |
| <b>stand-off attack</b><br><br>An attack, executed at a distance from the target nuclear facility or transport, which does not require adversary hands-on access to the target, or require the adversary to overcome the physical protection system. [13R] | <b>დისტანციური შეტევა</b><br><br>შეტევა, რომელიც სამიზნე ბირთვულ ობიექტზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე ხორციელდება დისტანციურად და არ მოითხოვს სამიზნეზე პირდაპირ ხელმისაწვდომობას ან ფიზიკური დაცვის სისტემის დაძლევას. [13R]   |
| <b>standard gamma ray background</b><br><br>Ambient dose equivalent rate ( $dH^*(10)/dt$ ) of $0.1 \mu\text{Sv h}^{-1} \pm 50\%$ as measured by a legal dose rate meter with a wide energy range of 30 keV–3 MeV. [1T, with typos corrected]               | <b>სტანდარტული გამა გამოსხივების ფონი</b><br><br>ამბიენტური დოზის ექვივალენტური სიმძლავრე ( $dH^*(10)/dt$ ) of $0,1 \text{ მკუზ/სთ} \pm 50\%$ , გაზომილი დოზის სიმძლავრის გამზომი ლეგალური ხელსაწყოთი, რომელიც ხასიათდება გასაზომი გამოსხივების ენერჯის ფართო სპექტრით (30კეე - 3 მეე) [1T, with typos corrected] |
| <b>standard neutron background</b><br><br>Value of the neutron flux outside and at sea level. This is approximately $0.015 \text{ n cm}^{-2} \text{ s}^{-1} (\pm 30\%)$ . [1T]   | <b>სტანდარტული ნეიტრონული ფონი</b><br><br>ნეიტრონების ნაკადის მნიშვნელობა გარემოში და ზღვის დონეზე. ეს დაახლოებით არის $0.015 \text{ ნ/სმ}^2 \text{ წმ} (\pm 30\%)$ . [1T]  |
| <b>standard neutron source configuration</b><br><br>A $^{252}\text{Cf}$ source emitting a specified number of neutrons per second surrounded by 1 cm of lead. [1T]   | <b>ნეიტრონების წყაროს სტანდარტული კონფიგურაცია</b><br><br>1 სმ ტყვიით გარშემორტყმული $\text{Cf-252}$ წყარო, რომელიც ერთ წამში გამოყოფს ნეიტრონების კონკრეტულ რაოდენობას. [1T]   |
| <b>storage</b><br><br>The holding of radioactive sources in a facility that provides for their containment with the intention of retrieval. [11G]  | <b>შენახვა</b><br><br>ობიექტზე რადიოაქტიური მასალის შენახვა, რაც უზრუნველყოფს მის შეკავებას შემდგომი ამოღება-მოხმარების მიზნით. [11G]   |

|  |  |
|--|--|
| <p><b>strategic location</b></p> <p>1. A location of high security interest in the State which is a potential target for terrorist attacks using nuclear material or other radioactive material, or a location at which nuclear material or other radioactive material that is out of regulatory control is located. [20F, 21G, 24G with “nuclear or other radioactive material out of regulatory control”]</p> <p>2. A location of high security interest in the State which is a potential target for terrorist attacks using nuclear and other radioactive material or a location for detection of nuclear and other radioactive material that is out of regulatory control. [15R, 18G]</p> | <p><b>სტრატეგიული ლოკაცია</b></p> <p>1. სახელმწიფოსთვის დაცულობის თვალსაზრისით მაღალი მნიშვნელობის მქონე ლოკაცია, რომელიც ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის გამოყენებით ტერორისტული შეტევის პოტენციური სამიზნეა, ან ლოკაცია, სადაც მოთავსებულია ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალა, რომელიც მარეგულირებელი კონტროლის მიღმაა. [20F, 21G, 24G “მარეგულირებელ კონტროლს მიღმა არსებული ბირთვული და რადიოაქტიური მასალა”]</p> <p>2. სახელმწიფოსთვის მაღალი დაცულობის მნიშვნელობის ლოკაცია, რომელიც ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის გამოყენებით ტერორისტული შეტევის პოტენციური სამიზნეა, ან ლოკაცია ისეთი ბირთვული ან სხვა რადიოაქტიური მასალის დეტექციისთვის, რომელიც მარეგულირებელ კონტროლს მიღმაა. [15R, 18G]</p> |
| <p><b>success criteria</b></p> <p>The minimum system performance that will allow for performance of a system safety function under the specific conditions created by an initiating event. [16T]</p>   | <p><b>წარმატების კრიტერიუმები</b></p> <p>სისტემის ფუნქციონირების მინიმალური ხარისხი, რომელიც განაპირობებს სისტემის უსაფრთხოების ფუნქციის შესრულებას კონკრეტულ პირობებში, რომლებიც წარმოქმნილია საწყისი (მაპროვოცირებელი) მოვლენით. [16T]</p>   |
| <p><b>success path</b></p> <p>A minimal set of components for a subset of plant systems — including safety systems, support systems, containment structures and operator actions — whose operability and survivability are sufficient to ensure the safe shutdown of a nuclear power plant, removal of residual heat, containment as required and the necessary continued control actions for the threat scenario under consideration. [4T]</p>  | <p><b>წარმატებული გეზი</b></p> <p>საწარმოს სისტემების - მათ შორის, უსაფრთხოების სისტემების, მხარდამჭერი სისტემების, შეკავების (იზოლირების) მექანიზმების და ოპერატორების ქმედებების - კომპონენტების მინიმალური ერთობლიობა, რომელთა ოპერაბელურობა და მედეგობა საკმარისია ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხო დახურვისთვის, ნარჩენი სითბოს მოშორებისთვის, სათანადო უსაფრთხო იზოლირებისთვის და საფრთხის სცენარის შესაბამისი შემდგომი საჭირო კონტროლისათვის. [4T]</p>  |

|  |   |
|--|---|
| <p><b>support system</b></p> <p>A system required for the proper functioning of one or more front line system(s). [16T]</p>  | <p><b>მხარდამჭერი სისტემა</b></p> <p>სისტემა, რომლის სათანადო ფუნქციონირება განაპირობებს ერთი ან მეტი წინა ხაზის სისტემის სათანადო ფუნქციონირებას. [16T]</p>  |
| <p><b>surveillance</b></p> <p>The collection of information through devices or direct observation to detect unauthorized movements of nuclear material, tampering with containment of nuclear material or falsification of information related to location and quantities of nuclear material. [25G]</p>   | <p><b>ზედამხედველობა</b></p> <p>ინფორმაციის შეგროვება ხელსაწყოების და პირდაპირი დაკვირვების საშუალებით ბირთვული მასალის არაავტორიზირებული მოძრაობის, ბირთვული მასალის იზოლაციის დარღვევის ან ბირთვული მასალის ან რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გაყალბებების შემთხვევების დეტექციის მიზნით. [25G]</p>   |
| <p><b>system for nuclear material accounting and control</b></p> <p>An integrated set of measures designed to provide information on, control of and assurance of the presence of nuclear material, including those systems necessary to establish and track nuclear material inventories, control access to and detect loss or diversion of nuclear material, and ensure the integrity of those systems and measures. [13R (with “accountancy”), 25G]</p> | <p><b>ბირთვული მასალის აღრიცხვის და კონტროლის სისტემა</b></p> <p>ზომების ერთობლიობა, რომელთა მიზანია ბირთვული მასალის გარანტირებული არსებობის და კონტროლის შესახებ ინფორმაციის მოწოდება, მათ შორის, იმ სისტემების შესახებ, რომლებსაც იყენებენ ბირთვული მასალის აღრიცხვის საწარმოებლად და მასში ცვლილებების აღსაზრუნავად, ბირთვული მასალის წვდომაზე კონტროლისთვის და მისი დაკარგვის ან სხვა (არადეკლარირებული) მიზნით მისი გამოყენების დეტექციისთვის, და ამ სისტემების და ზომების ურღვევობის უზრუნველყოფისთვის. [13R (“accountancy”), 25G]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>ბირთვული მასალების აღრიცხვა – ბირთვული მასალების რაოდენობის და შემცველობის განსაზღვრა, აღრიცხვისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 ნოემბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული გაუფრცვლელბლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“)</i></p> |

|   |   |
|---|---|
| <p><b>target</b></p> <p>Nuclear material, other radioactive material, associated facilities, associated activities, or other locations or objects of potential exploitation by a nuclear security threat, including major public events, strategic locations, sensitive information, and sensitive information assets. [20F, 15R, 21G, 12T]</p>   | <p><b>სამიზნე</b></p> <p>ბირთვული მასალა, სხვა რადიოაქტიური მასალა, ასოცირებული ობიექტები, ასოცირებული საქმიანობა, ან სხვა ლოკაციები და საგნები, რომლებიც შეიძლება იყოს ბირთვული დაცულობის საფრთხის საგანი, მათ შორის მნიშვნელოვანი საჯარო მოვლენები, სტრატეგიული ლოკაციები, სენსიტიური ინფორმაცია და სენსიტიური ინფორმაციის აქტივები. [20F, 15R, 21G, 12T]</p>   |
| <p><b>threat</b></p> <p>1. A person or group of persons with motivation, intention and capability to commit a malicious act. [13R, 26G, 4T, 16T]</p> <p>2. A likely cause of harm to people, damage to property or harm to the environment by an individual or individuals with the motivation, intention and capability to commit a malicious act. [8G]</p> <p>3. An entity with motivation, intention and capability to commit a malicious act. [10G]</p> <p>4. A characterization of an adversary capable of causing undesirable consequences, including the objectives, motivation and capabilities, e.g. number of potential attackers, equipment, training and attack plan. [9G f/n]</p> <p>5. Potential cause of an unwanted incident, which may result in harm to a system or organization. [17T – from ISO]</p> <p>Note: In other IAEA Nuclear Security Series publications, ‘threat’ is typically defined as ‘a person or group of persons with motivation, intention and capability to commit a malicious act’. However, this publication [17T] uses the term in the computer security context, where a threat is not necessarily a person or persons.</p> <p><b>nuclear security threat:</b> A person or group of persons with motivation, intention and capability to commit</p> | <p><b>საფრთხე</b></p> <p>1. პირი ან პირთა ჯგუფი, რომლებსაც აქვთ მოტივაცია, განზრახვა და შესაძლებლობა, ჩაიდინონ ბოროტი ზრახვით აქტი. [13R, 26G, 4T, 16T]</p> <p>2. სავარაუდო მიზეზი, რის გამოც მოხდა ადამიანებისთვის ზიანის მიყენება, საკუთრების ან გარემოს დაზიანება პირის ან პირების მიერ, რომლებსაც აქვთ მოტივაცია, განზრახვა და შესაძლებლობა, ჩაიდინონ ბოროტი ზრახვით აქტი. [8G]</p> <p>3. სუბიექტი, რომელსაც აქვს მოტივაცია, განზრახვა და შესაძლებლობა, ჩაიდინოს ბოროტი ზრახვით აქტი. [10G]</p> <p>4. დამრღვევის მახასიათებლები, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს არასასურველი შედეგები, მათ შორის მიზნები, მოტივაცია და შესაძლებლობები, მაგ., მთელი რიგი პოტენციური თავდამსხმელები, აპარატურა, ტრენინგი და შეტევის გეგმა. [9G f/n]</p> <p>5. არასასურველი ინციდენტის პოტენციური მიზეზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემის ან ორგანიზაციის დაზიანება. [17T – from ISO]</p> <p>შენიშვნა: აესს-ის ბირთვული დაცულობის ციკლის სხვა პუბლიკაციებში, „საფრთხე“ როგორც წესი განისაზღვრება შემდეგნაირად: „პირი ან პირების ჯგუფი რომლებსაც აქვთ მოტივაცია, განზრახვა და შესაძლებლობა, ჩაიდინონ ბოროტი ზრახვით აქტი“. თუმცა, ეს პუბლიკაცია [17T] იყენებს ამ ტერმინს კომპიუტერული უსაფრთხოების კონტექსტში,</p> |

|   |  |
|---|--|
| <p>criminal or intentional unauthorized acts involving or directed at nuclear material, other radioactive material, associated facilities or associated activities or other acts determined by the State to have an adverse impact on nuclear security. [20F, 24G]</p>  | <p>რომელშიც საფრთხე არ ნიშნავს მაინცდამაინც პირს ან პირებს.</p> <p><u>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</u></p> <p>5' პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია უკანონო ქმედების ჩადენის მოტივი, განზრახვა და შესაძლებლობა, ასევე ქმედება, მიმართული საბოტაჟისკენ ან სხვა უკანონო ქმედებისაკენ. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივნისის N26 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“)</p> <p><b>ბირთვული დაცულობის საფრთხე:</b><br/>პირი ან პირთა ჯგუფი, რომლებსაც აქვთ მოტივაცია, განზრახვა და შესაძლებლობა, ჩაიდინონ კრიმინალური ან წინასწარგანზრახული არალეგალური აქტი, რომელშიც გამოიყენება ან აქვს შემხებლობა ბირთვულ მასალასთან, სხვა რადიოაქტიურ მასალასთან, ასოცირებულ ობიექტებთან ან ასოცირებულ საქმიანობასთან ან სხვა აქტებთან, რომლებსაც სახელმწიფო განსაზღვრავს როგორც ბირთვულ დაცულობაზე უარყოფითი ზეგავლენის მომხდენებს.</p> |
| <p><b>threat assessment</b></p> <p>1. An evaluation of the threats — based on available intelligence, law enforcement, and open source information — that describes the motivation, intentions, and capabilities of these threats. [13R, 14R, 24G (with nuclear security threats), 26G]</p> <p>2. An evaluation of the existing threats, usually including intelligence assessments, which describe the motivation, intentions, and capabilities of these threats to commit malicious acts. [10G]</p> | <p><b>საფრთხის შეფასება</b></p> <p>1. საფრთხის შეფასება, რომელიც ეფუძნება დაზვერვის, სამართალდამცავი და ღია წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას და რომელიც აღწერს ამ საფრთხეების მოტივაციას, განზრახვებს და შესაძლებლობებს, [13R, 14R, 24G (nuclear security threats), 26G]</p> <p>2. არსებული საფრთხეების შეფასება, როგორც წესი, მოიცავს დაზვერვის შეფასებას, რომელიც აღწერს ამ საფრთხეების მოტივაციას, განზრახვებს და შესაძლებლობებს. [10G]</p>  |

|  |   |
|--|---|
| <p>3. An analysis that documents the credible motivations, intentions and capabilities of potential adversaries that could cause undesirable consequences with regard to radioactive material in use or storage and its associated facilities. [9G f/n, 11G]</p> <p>4. The process of analysing systematically the hazards associated with facilities, activities or sources within or beyond the borders of a State in order to identify: (a) Those events and the associated areas for which protective actions may be required within the State; (b) The actions that would be effective in mitigating the consequences of such events. The term threat assessment does not imply that any threat, in the sense of an intention and capability to cause harm, has been made in relation to such facilities, activities or sources. [4T]</p> | <p>3. ანალიზი, რომელიც ასაბუთებს პოტენციური დამრღვევების სარწმუნო მოტივაციას, განზრახვებს და შესაძლებლობებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გამოყენების ან შენახვის პროცესში მყოფი რადიოაქტიური მასალის ან მასთან დაკავშირებული ასოცირებული ობიექტისთვის არასასურველი შედეგები. [9G f/n, 11G]</p> <p>4. სახელმწიფოს შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ არსებულ ობიექტებთან, საქმიანობასთან ან წყაროებთან დაკავშირებული რისკების სისტემატური ანალიზის პროცესი, რათა მოხდეს იდენტიფიცირება: (ა) იმ მოვლენების და ასოცირებული სივრცეების, რომლებისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს დამცავი ზომების მიღება სახელმწიფოს შიგნით; (ბ) ქმედებების, რომლებიც ეფექტური იქნება ამგვარი მოვლენების შედეგების შესამსუბუქებლად. ტერმინი არ გულისხმობს, რომ ზიანის მიყენების განზრახვის ან შესაძლებლობის საფრთხე უკვე რეალურად ემუქრება ამ ობიექტებს, საქმიანობას ან წყაროებს. [4T]</p> |
| <p><b>threat beyond the DBT</b></p> <p>A threat identified in the assessment that, while not included in the DBT, remains credible. Threats beyond the DBT need to be taken into account to ensure the physical protection of nuclear facilities. [4T]</p>   | <p><b>საფრთხე რომელიც პროექტირების საბაზისო საფრთხის (პსს) მიღმაა</b></p> <p>საფრთხე, რომელიც არ არის გათვალისწინებული პსს-ში, მაგრამ შეფასების თანახმად, იდენტიფიცირებულია როგორც სარწმუნო. ბირთვული ობიექტების ფიზიკური დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა ამგვარი საფრთხეების მხედველობაში მიღება. [4T]</p>  |
| <p><b>threat scenario</b></p>  | <p><b>საფრთხის სცენარი იხ. სცენარი (scenario)</b></p>   |
| <p><b>threat statement</b></p> <p>A document that summarizes the threat assessment and has been modified to account for policy considerations. The DBT is an example of a threat statement. [10G]</p>  | <p><b>დოკუმენტი საფრთხის შესახებ დოკუმენტი,</b></p> <p>რომელშიც შეჯამებულია საფრთხის შეფასება და რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკის მოსაზრებებს. პროექტირების საბაზისო საფრთხის (პსს) აღმწერი დოკუმენტი წარმოადგენს ასეთი დოკუმენტის მაგალითს. [10G]</p>   |



|  |   |
|--|---|
| <p><b>threat type 1 (TT-1)</b></p> <p>A threat posed to the nuclear facility by insiders or by adversaries intending to intrude into the facility to commit their act (with or without insider assistance). In general, the PPS of the facility is designed to counter this type of threat. The DBT considers many threats of this type. [4T]</p>  | <p><b>პირველი ტიპის საფრთხე (სტ1)</b></p> <p>საფრთხე, რომელსაც ბირთვულ ობიექტებს უქმნის შიდა დამრღვევი ან დამრღვევი, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტზე შეჭრა თავისი ქმედების განსახორციელებლად (შიდა დამრღვევის დახმარებით ან მის გარეშე). ზოგადად, ბირთვული ობიექტის ფიზიკური დაცვის სისტემა ისეა მოწყობილი, რომ შეუძლია შეეწინააღმდეგოს ამ ტიპის საფრთხეს. პროექტირების საბაზისო საფრთხე (პსს) ითვალისწინებს ამ ტიპის ბევრ საფრთხეს. [4T]</p>   |
| <p><b>threat type 2 (TT-2)</b></p> <p>A threat posed to the nuclear facility initiated outside the plant boundary that does not require the presence of the adversaries onsite. Examples of this type of threat include standoff attacks such as shoulder launched missiles and malicious aircraft impacts. It is normally difficult for the facility's PPS to counter this type of attack, as it is not designed for this purpose. For many, but not all, nuclear facilities, a TT-2 is considered to be beyond the DBT. [4T]</p> | <p><b>მეორე ტიპის საფრთხე (სტ2)</b></p> <p>საფრთხე, რომელიც ექმნება ბირთვულ ობიექტს საწარმოს საზღვრებს გარედან და რომელიც არ მოითხოვს დამრღვევის ადგილზე ყოფნას. ამ ტიპის საფრთხის მაგალითებია დისტანციური შეტევები, როგორცაა ხელით სატარებელი რაკეტები და ბოროტი ზრახვით ჩადენილი საჰაერო თავდასხმები. ჩვეულებრივ, საწარმოს ფიზიკური დაცვის სისტემას უჭირს ამ ტიპის თავდასხმასთან გამკლავება, რადგან არ არის შექმნილი ამ მიზნით. ბევრი, მაგრამ არა ყველა, ბირთვული ობიექტის შემთხვევაში მეორე ტიპის საფრთხე არაა გათვალისწინებული პროექტირების საბაზისო საფრთხეში (პსს) [4T]</p> |
| <p><b>trace element</b></p> <p>An element in a sample that has an average concentration of less than 1000 µg/g or 0.1% of the matrix composition. [2G]</p> <p>† This term is used in various areas of science with different numerical meanings. This definition is specific to nuclear forensics.</p>   | <p><b>ელემენტის კვალი</b></p> <p>ნიმუშში არსებული ელემენტი, რომლის საშუალო კონცენტრაცია მატრიცულ შემადგენლობაში 1000 მკგ/გ-ზე ან 0.1%-ზე ნაკლებია. [2G]</p> <p>† ტერმინი გამოიყენება მეცნიერების სხვადასხვა დარგებში სხვადასხვა რიცხობრივი მნიშვნელობებით. ეს განსაზღვრება კონკრეტულად შეეხება ბირთვულ ექსპერტიზას.</p>   |

|  |  |
|--|--|
| <p><b>transport</b></p> <p>International or domestic carriage of nuclear material by any means of transport, beginning with the departure from a nuclear facility of the shipper and ending with the arrival at a nuclear facility of the receiver. [13R, 26G]</p>   | <p><b>ტრანსპორტირება</b></p> <p>ბირთვული მასალის საერთაშორისო და შიდა ტრანსპორტირება ნებისმიერ სახის ტრანსპორტით, დაწყებული ბირთვული ობიექტიდან ტვირთის გაგზავნით და დამთავრებული ტვირთის ჩასვლით მიმღების ბირთვულ ობიექტზე. [13R, 26G]</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>რადიოაქტიური მასალის განზრახი ფიზიკური გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე. ტრანსპორტირება მოიცავს ყველა ქმედებასა და მდგომარეობას, რომელიც უკავშირდება ან გამოიყენება რადიოაქტიური მასალის გადაადგილებას: შეფუთვის პროექტირება, წარმოება და ტექნიკური მომსახურება, ასევე, რადიოაქტიური მასალისა და შეფუთვის გადასაზიდად მომზადება, გადაცემა, ჩატვირთვა, გადაზიდვა, მათ შორის, შენახვა გადაზიდვისას, გადმოტვირთვა და დანიშნულების ადგილას მიღება. (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის N305 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესი“)</i></p> |
| <p><b>transport control centre</b></p> <p>A facility which provides for the continuous monitoring of a transport conveyance location and security status and for communication with the transport conveyance, shipper/receiver, carrier and, when appropriate, its guards, and the response forces. [13R, 26G]</p> | <p><b>ტრანსპორტირების საკონტროლო ცენტრი</b></p> <p>ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსპორტის საშუალების ლოკაციის და დაცულობის სტატუსის მუდმივ მონიტორინგს და კომუნიკაციას სატრანსპორტო საშუალებასთან, ტვირთის გამგზავნთან/მიმღებთან, გადამზიდავთან და, სადაც ეს შესაფერისია, დაცვასთან და რეაგირების ძალებთან. [13R, 26G]</p>  |
| <p><b>two-person rule</b></p> <p>A procedure that requires at least two authorized and knowledgeable</p>   | <p><b>ორი პირის წესი</b></p> <p>პროცედურა, რომელიც მოითხოვს ორი უფლებამოსილი და კვალიფიცირებული</p>  |

|   |   |
|---|---|
| <p>persons to be present to verify that activities involving nuclear material and nuclear facilities are authorized in order to detect access or actions that are unauthorized. [13R, 25G]</p>  | <p>პირის ადგილზე ყოფნას იმის დასადასტურებლად, რომ საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბირთვულ მასალას და ბირთვულ ობიექტს, ნებადართულია, რათა დადგინდეს არავტორიზირებული წვდომა და ქმედებები. [13R, 25G]</p>   |
| <p><b>unacceptable radiological consequences</b></p> <p>1. A level of radiological consequences, established by the State, above which the implementation of nuclear security measures is warranted. [13R* , 26G, 4T, 16T* ]</p> <p>† It may sometimes be necessary to clarify that this is definition refers to hypothetical, potential consequences for the purposes of planning nuclear security measure; it does not refer to actual consequence that might be used as a basis for decisions on response actions. — 30 — v 1.3 November 2015</p> <p>2. A threshold of consequence that a State decides is so severe as to justify that resources be expended to prevent its occurrence. The resources are expended by those organizations responsible for providing the protection. [10G]</p> | <p><b>მიუღებელი რადიოლოგიური შედეგები</b></p> <p>1. რადიოლოგიური შედეგების დონე, რომელსაც განსაზღვრავს სახელმწიფო და რომელზე ზემოთაც გარანტირებულია ბირთვული დაცულობის ზომების განხორციელება. [13R* , 26G, 4T, 16T* ]</p> <p>† ზოგჯერ შეიძლება საჭირო იყოს განმარტება, რომ ეს განსაზღვრება შეეხება ჰიპოთეტურ, პოტენციურ შედეგებს ბირთვული დაცულობის ზომების დაგეგმვის მიზნით; ის არ შეეხება ფაქტიურ შედეგს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს რეაგირების ქმედებების შესახებ გადაწყვეტილებების საფუძველად. — 30 — v 1.3 November 2015</p> <p>2. შედეგის ის ზღვრული ნიშნული, რომელიც, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, ისეთი მძიმეა, რომ გამართლებულია რესურსების ხარჯვა მისი თავიდან ასაცილებლად. რესურსებს გაიღებენ ის ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაცვის უზრუნველყოფაზე. [10G]</p> |
| <p><b>unauthorized act</b></p>  | <p><b>არავტორიზირებული აქტი იხ. კრიმინალური ან არავტორიზირებული აქტი (criminal or unauthorized act)</b></p>   |
| <p><b>unauthorized removal</b></p> <p>1. The theft or other unlawful taking of radioactive material. [13R* , 25G* , 26G* , 4T]</p> <p>2. The theft or other unlawful taking of radioactive sources. [11G]</p>   | <p><b>არავტორიზირებული გატანა</b></p> <p>1. რადიოაქტიური მასალის ქურდობა ან სხვა სახის უკანონო გატანა. [13R* , 25G* , 26G* , 4T]</p> <p>2. რადიოაქტიური წყაროს ქურდობა ან სხვა სახის უკანონო გატანა. [11G]</p>  |

|  |   |
|--|---|
| <p><b>uranium enriched in the isotope 235 or 233</b></p> <p>Uranium containing the isotope 235 or 233 or both in an amount such that the abundance ratio of the sum of these isotopes to the isotope 238 is greater than the ratio of the isotope 235 to the isotope 238 occurring in nature. [20F]</p> <p>† Taken from the IAEA Statute. Also used in CPPNM and ICSANT.</p>     | <p><b>ურანი, გამდიდრებული 235 ან 233 იზოტოპით</b></p> <p>ურანი, რომელიც შეიცავს იზოტოპს 235 ან 233 ან ორივეს ისეთი რაოდენობით, რომ ამ იზოტოპების კონცენტრაციის თანაფარდობა იზოტოპ 238-თან აღემატება ბუნებაში არსებული იზოტოპი 235-ის თანაფარდობას იზოტოპ 238-თან. [20F]</p> <p>† აღებულია აესს-ის წესდებიდან. გამოყენებულია ასევე ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის კონვენციაში (CPPNM) and ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის საერთაშორისო კონვენციაში (ICSANT).</p> <p><i>ქართული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა:</i></p> <p><i>გამდიდრებული ურანი – ურანი, რომელშიც ურან-235-ის შემცველობა მეტია დაახლოებით 0.72%ზე. (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 ნოემბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული „ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“)</i></p> |
| <p><b>venue</b></p> <p>Any identified location (such as a building, stadium, open area/park, religious place) where a major public event actually takes place. A venue is considered to be a strategic location.</p>   | <p><b>ლონისძიების ჩატარების ადგილი</b></p> <p>ნებისმიერი იდენტიფიცირებული ლოკაცია (შენობა, სტადიონი, ღია სივრცე/პარკი, რელიგიური ადგილი), სადაც ტარდება მნიშვნელოვანი საჯარო მოვლენა. ლონისძიების ჩატარების ადგილი ითვლება სტრატეგიულ ლოკაციად.</p>   |
| <p><b>vital area</b></p> <p>1. Area inside a protected area containing equipment, systems or devices, or nuclear material, the sabotage of which could directly or indirectly lead to high radiological consequences. [13R]</p> <p>2. An area inside a protected area containing equipment, systems or devices, or nuclear material, the sabotage of which could directly or</p> | <p><b>სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცე</b></p> <p>1. დაცული სივრცის შიგნით არსებული სივრცე, რომელშიც მოთავსებულია აპარატურა, სისტემები ან მოწყობილობები, ან ბირთვული მასალა, რომლის საბოტაჟმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს სერიოზული რადიოლოგიური შედეგები. [13R]</p> <p>2. დაცული სივრცის შიგნით არსებული სივრცე, რომელშიც მოთავსებულია აპარატურა,</p>   |

|  |   |
|--|---|
| <p>indirectly lead to unacceptable radiological consequences. A protected area is an area under surveillance containing category I or II nuclear material and/or vital areas surrounded by a physical barrier. [4T]</p>  | <p>სისტემები ან მოწყობილობები, ან ბირთვული მასალა, რომლის საბოტაჟმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს მიუღებელი რადიოლოგიური შედეგები. დაცული სივრცე არის სივრცე, რომელზეც ხორციელდება ზედამხედველობა და რომელიც შეიცავს პირველი და მეორე კატეგორიის ბირთვულ მასალას და /ან სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცეებს, რომლებიც შემოსაზღვრულია ფიზიკური ბარიერებით. [4T]</p>   |
| <p><b>vulnerability</b></p> <p>1. A physical feature or operational attribute that renders an entity, asset, system, network, facility, activity or geographic area open to exploitation or susceptible to a given threat. [24G]<br/>2. Weakness of an asset or control that can be exploited by a threat. [17T – from ISO]</p>  | <p><b>მოწყვლადობა</b></p> <p>1. ფიზიკური თვისება ან საოპერაციო ატრიბუტი, რომელიც ხდის სუბიექტს, აქტივს, სისტემას, ქსელს, ობიექტს, საქმიანობას ან გეოგრაფიულ სივრცეს ღიას გამოყენებისთვის ან მგრძნობიარეს მოცემული საფრთხის მიმართ. [24G]<br/>2. აქტივის სისუსტე ან კონტროლი, რომელიც ზრდის არსებულ საფრთხეს. [17T – from ISO]</p>   |
| <p><b>vulnerability assessment</b></p> <p>A process which evaluates and documents the features and effectiveness of the overall security system at a particular target. [11G (with “facility” instead of “target”), 24G]</p>   | <p><b>მოწყვლადობის შეფასება</b></p> <p>პროცესი, რომელიც აფასებს და დოკუმენტურად აფიქსირებს კონკრეტულ სამიზნე ობიექტზე მოქმედი მთლიანი დაცულობის სისტემის მახასიათებლებს და ეფექტურობას. 11G (გამოყენებულია “ობიექტის” ნაცვლად “სამიზნე“-ს), 24G]</p>  |
| <p><b>walkdown</b></p> <p>Techniques to enable a team of experienced engineers, operators, security and safety personnel, and technicians to quickly understand plant configuration and procedures based on thorough in-plant — 31 — v 1.3 November 2015 inspections and the review of existing documents such as design drawings, operating procedures, safety analysis reports and PSA reports (e.g. level 1, level 2, level 3, fire PSA, seismic PSA, shutdown PSA). [4T]</p> | <p><b>საწარმოს მიმოხილვითი გაცნობა</b></p> <p>ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს გამოცდილი ინჟინრების, ოპერატორების, უსაფრთხოების და დაცულობის პერსონალის და ტექნიკოსების ჯგუფებს, სწრაფად გაეცნონ საწარმოს კონფიგურაციას და პროცედურებს, და რომელიც ეფუძნება საწარმოს შიდა სტრუქტურის შესახებ (— 31 — v 1.3 ) 2015 წლის ინსტრუქციებს და არსებული დოკუმენტების, მათ შორის, დიზაინის ნახაზების, საოპერაციო პროცედურების, დაცულობის ანალიზის და უსაფრთხოების ალბათური შეფასების (უაშ) ანგარიშების მიმოხილვას. (მაგ. პირველი, მეორე, მესამე დონეები, ხანძრის უაშ, სეისმური უაშ, საწარმოს დახურვის უაშ). [4T]</p> |